აფხაზეთის პერიოდს ეძღვნება ამ სტრიქონების ავტორის რამდენიმე ნაშრომიც - «წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი. კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო **ჯემალ გამახარიაშვილი**. თბ., 2006 (რუსულ და ქართულ ენებზე); «წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე. 1824-1907. დიდი ქველმოქმედი, მუდმივ მქნელი სიკეთისა“. - წიგნში: **მორწმუნე ადამიანები: სამართლიანი ადამიანები**. თბ., 2011, გვ.39-40»; „ალექსანდრე (ოქროპირიძე)“. - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ენციკლოპედია, I. თბ., 2015, გვ. 143-146; „წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს მისიონერული და პედაგოგიური მოღვაწეობა აფხაზეთში. 1851-1861“. - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. პრომათა კრებული, № 11, გვ. 70-95.

არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ეპისკოპოს ალექსანდრეს მოღვაწეობის

მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ სანყის ეტაპზე იმყოფება. წინამდებარე კრებული წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მღვდელმთავრის მისიონერულ და პედაგოგიურ სარბიელზე მსახურების აფხაზეთის პერიოდის უფრო ღრმად შესწავლის მცდელობას, 2006 წელს ავტორის მიერ გამოქვეყნებული კრებულის («წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი») ფაქტობრივად მეორე გამოცემას. მასში დამატებით შეტანილია ალექსანდრე ოქროპირიძის აფხაზეთში მოღვაწეობის უფრო სრულად და ყოველმხრივ ამსახველი ექვს ათეულზე მეტი ახალი საარქივო დოკუმენტი, რომელიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

წინამდებარე კრებულის მიზანია აფხაზეთში ალექსანდრე ოქროპირიძის მისიონერული და საგანმანათლებლო, საქმიანობის, მისი როგორც მღვდელმთავრის მოღვაწეობის დოკუმენტური გაშუქება, რეგიონთან შემდგომი კავშირის წარმოჩენა, სპეციალისტებისთვის ადრე უცნობი ან ნაკლებად ცნობილი წყაროების გამომზეურება.

* * *

ალექსანდრე ოქროპირიძე დაიბადა 1824 წლის სექტემბერში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ალექსანდრე ოქროპირიძის პირადი ფონდი, №1460, წინასიტყვაობა) გორის მაზრის სოფ. დისევში (ამჟამად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის შემადგენლობაში) იმავე სოფლის მღვდლის — **დავით ოქროპირიძის** ოჯახში. სხვა მონაცემებით, იგი 1822 წელს არის დაბადებული (**ზ. ჭიჭინაძე**. სიტყვები და წერილები, გვ. 119; **ვ. გურგენიძე**. წმ. მარიაშვილის წილხვედრ ქვეყანაში. წიგნი II, გვ. 72). ალექსანდრე ოქროპირიძის დაბადების თარიღად პრესაში 1826 წელიც დასახელებულია (ყოვლადსამღვდლო ეპისკოპოსი ალექსანდრე. - გაზ. კვალი, 1895, 23 ივლისი, № 31). 1859 წელს შედგენილ და 1862 წელს შევსებულ მის ფორმულიარში (დოკ. № 82) ჯერ (ე. ი. 1859 წელს) მითითებული იყო ასაკი — 44 წელი,

შემდგომში (ე. ი. 1862 წელს) — 47 წელი, რაც, ვფიქრობთ, შეცდომაა. ვინაიდან ეპისკოპოს ალექსანდრეს სიცოცხლეში გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან საიუბილეო წერილებში, ასევე გარდაცვალებასთან დაკავშირებულ პუბლიკაციებში ყველგან 1824 წელია დაფიქსირებული (**ზ. ჭიჭინაძე**, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, გვ. 7, 12, 14, 23; **ზ. ჭიჭინაძე**, სიტყვები და წერილები, გვ. 1, 48, 76), ამ უკანასკნელ ვერსიას უფრო ვემხრობით.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების (1839 წელი) შემდეგ ალექსანდრე ოქროპირიძემ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში გააგრძელა და 1845 წელს დაასრულა. ფორმულიარის მიხედვით, 1845 წლის 8 ივლისს თბილისის ფერიცვალების მონასტერში ბერად აღიკვეცა. 1846-1850 წლებში ალექსანდრე ოქროპირიძე ყაზანის სასულიერო აკადემიის სტუდენტია; 1849 წლის 9 ოქტომბერს მღვდელმონაზონის ხარისხში აიყვანეს. აკადემია დამთავრებულ ალექსანდრეს 1850 წლის 6 ოქტომბერს ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი მიენიჭა. 1851 წლის 15 თებერვლიდან სასწავლო წლის ბოლომდე თბილისის სასულიერო სემინარიის დაბალ განყოფილებაზე ბიბლიას, ლათინურ ენას, მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ასწავლიდა, ხოლო უმაღლეს განყოფილებაზე — ზნეობრივ ღვთისმეტყველებას და არქეოლოგიას.

სასულიერო ხელისუფლება ალექსანდრე ოქროპირიძეს აფხაზეთში სამოღვაწეოდ ამზადებდა; 1851 წლის 15 აპრილს იმპერატორის ბრძანებულებით და იმავე წლის 30 მაისს უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით დაფუძნდა აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრა და აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი. აფხაზეთის ეპისკოპოსად **გერმანე (გოგოლაშვილი)** დაინიშნა, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად (დირექტორად) და ადგილობრივი ეპისკოპოსის ამაღლაში მღვდელმონაზონად - ალექსანდრე (ოქროპირიძე). რადგანაც აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ვინაობა სასწავლებლის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე წინასწარ იყო ცნობილი, მღვდელმონაზონი ალექსანდრე, პედაგოგიური

და ადმინისტრაციული გამოცდილების მიღების მიზნით, 1851 წლის 15 თებერვლიდან, როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად დაინიშნა, იმავე წლის 28 ივლისიდან 28 სექტემბრამდე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და მასწავლებლად მსახურობდა. ქუთაისიდან ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთში გადავიდა, სადაც საეპარქიო კათედრის მღვდელმონაზონისა და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

აფხაზეთის ცალკე ეპარქიისა და სასულიერო სასწავლებლის გახსნას, მათ ხელმძღვანელებად ქართული სამღვდლოების წარმომადგენლების დანიშვნას წინ უძღოდა ქართველი მისიონერების ხანგრძლივი და მიზანმიმართული მუშაობა აფხაზეთში, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების აღდგენისკენ, დამოუკიდებელი ეპარქიის დაფუძნებისთვის წინაპირობების შექმნისკენ იყო მიმართული. ეს მუშაობა ჯერ კიდევ 1810 წლის 17 თებერვლამდე ანუ აფხაზეთის რუსეთთან შეერთებამდე (რუსეთის მერ აფხაზეთის ოკუპაციამდე) დაიწყო. არსებობს საკმაოდ სანდო ცნობები აფხაზეთის მთავრის **ქელეშბეის** (1780-იანი-1808 წწ.) ვაჟიშვილის, მომავალი მთავრის **სეფერბეი/გიორგი შარვაშიძის** მონათვლის შესახებ. ირიბი ცნობების მიხედვით კი, 1806 წელს თვით **ქელეშბეიც** მოინათლა (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 346, 368).

საქართველოს რუსული ადმინისტრაცია, კავკასიის დაპყრობის სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ცდილობდა მთიელ ხალხთა (აფხაზთა ჩათვლით) შორის თურქეთის გავლენის შესუსტებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო რეგიონის გაქრისტიანება. რუსეთის ერთადერთ დასაყრდენ ძალას ამ შემთხვევაში ქართული სამღვდლოება წარმოადგენდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რა ნათელი წარმოდგენა რუსეთის სამღვდიო მიზნების შესახებ, სამეგრელოს სამთავრო სახლი და სამღვდლოება საქართველოს რუსულ ხელისუფლებას ეხმარებოდა აფხაზეთში

დამკვიდრებისა და ქრისტიანობის აღდგენის საქმეში. ასე მაგალითად, 1805 წლის 9 ივლისს სამურზაყანოს მმართველებმა სოფელ ბანძაში ჭყონდიდელი მიტროპოლიტის **ბესარიონის (დადიანი)** წინაშე ხელი მოაწერეს ფიცს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრისადმი ერთგულების შესახებ. ფიცის ტექსტი დამონშმებულია მიტროპოლიტ **ბესარიონის** ბეჭდით (Акты, Собранные Кавказской Археографической Комиссией, т. 2. Тифлис, 1868, с. 527 - შემდგომში - Акты...).

გიორგი შარვაშიძის მიერ ხელმოწერილი და 1808 წლის 12 აგვისტოს იმპერატორის სახელზე გაგზავნილი ე. წ. „სათხოვარი პუნქტები“ შედგენილი იყო სამეგრელოს სამთავრო კარის ეკლესიის წინამძღვრის, ცნობილი სასულიერო მოღვაწის დეკანოზ **იოანე იოსელიანის** მიერ (**ჯემალ გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 350). 1805-1806 წლებში სამეგრელოს სამთავრო დელეგაციის შემადგენლობაში ის პეტერბურგში იმყოფებოდა. დელეგაცია მიიღო იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა**. **იოანე იოსელიანი** მან ოქროს მედლით დააჯილდოვა და მუდმივი პენსიაც დაუნიშნა.

იმპერიის დედაქალაქში ვიზიტის შემდეგ დეკანოზი **იოანე იოსელიანი** კიდევ უფრო მეტი მონდომებით ცდილობდა აფხაზეთში რუსული გავლენის გაძლიერებას. როგორც ცაიშის მიტროპოლიტი **გრიგოლი (ჩიქოვანი)** 1822 წლის 3 ოქტომბერს **ეგზარქოს იონას** (1821-1832) წერდა, როდესაც დეკანოზი **იოანე იოსელიანი** 1806 წელს პეტერბურგიდან საქართველოში აფხაზეთის (საიდანაც იყო მისი აფხაზი მეუღლე **ასტანდა ინალიშვილი**) გავლით ბრუნდებოდა, ის განადიდებდა რუსეთის იმპერატორის სახელს, მოაქცია ბევრი აფხაზი, მათ შორის მთავარიც თავის შვილებთან ერთად (**ჯემალ გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 368).

სწორედ **იოანე იოსელიანის** რჩევით მიიღო **გიორგი შარვაშიძემ** რუსეთის მფარველობის ქვეშ აფხაზეთის შეყვანის გადაწყვეტილება (Акты..., т. 3. Тифлис, 1869, с. 209). მანვე მიიღო მონაწილეობა 1815 წლის 29 ნოემბერს წებელის მფლობელ

დაუმორჩილებელ მარშანიებთან სოფელ ოქუშში გამართულ მოლაპარაკებებში. მასში ასევე მონაწილეობდნენ ცაიშის მიტროპოლიტი **გრიგოლი (ჩიქოვანი)** და **არქიმანდრიტი გიორგი კუხალაშვილი** (მომავალში სამეგრელოს ეპისკოპოსი). მოლაპარაკებების შედეგად მაჰმადიანმა მარშანიებმა ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოების წარმომადგენლების წინაშე ყურანზე დაიფიცეს რუსეთის იმპერატორისა და სამეგრელოს მთავრის ერთგულებაზე (Акты..., т. 5. Тифлис, 1873, с. 507-508).

ხელს უწყობდნენ რა იმპერიას, სამეგრელოს სამთავრო სახლს და სამღვდელოებას მიამიტურად მიაჩნდათ, რომ მადლიერების ნიშნად ერთმორწმუნე რუსეთი დააბრუნებდა სამეგრელოს შემადგენლობაში ენგურის მარჯვენა მხარეს მდებარე მის ისტორიულ ტერიტორიებს. აღნიშნულ ტერიტორიებზე პრეტენზიებს სამეგრელოს მმართველები მუდმივად გამოთქვამდნენ აფხაზეთის რუსეთთან მიერთების თაობაზე მიმონერაში საქართველოს რუსულ ადმინისტრაციასთან და თვით იმპერატორთან (Акты..., т. 3, с. 201, 202; Утверждение русского владычества на Кавказе, т. 3, часть 2-я. Под редакцией **В. Потто**. Тифлис, 1904, с. 560). მათი აზრით, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების, ქართული ტაძრებისა და ქართული ღმრთისმსახურების აღდგენა. აღნიშნული მიზანი განაპირობებდა აფხაზეთში გაგზავნილი ქართული სამღვდელოების წარმომადგენლების მაღალ მოტივაციას და აქტიურობას.

მისიონერული საქმიანობა თითქმის ნულიდან იყო დასაწყები. XVII საუკუნის ბოლოდან განხორციელებული დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად ქრისტიანობა აფხაზეთში განადგურდა და მის მაგივრად ჩამოსახლებულ მთიელთა რელიგია - წარმართობა დამკვიდრდა. ტაძრების უმრავლესობა დაინგრან დაცარიელდა. აფხაზეთის თანამედროვე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა მხოლოდ ილორის წმინდა გიორგის ეკლესია,

რომელიც ცაიშის ეპარქიის შემადგენლობაში შედიოდა. ვითარებას ამძიმებდა ის გარემოება, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაცია (1810 წლის 17 თებერვალი) დროში დაემთხვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას და რუსეთის ეკლესიის უნმინდესი სინოდისადმი მის დაქვემდებარებას. 1811 წლის 30 ივნისს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსი **ანტონ მეორე** განთავისუფლდა თანამდებობიდან და დაწესდა საეგზარქოსო მართვა-გამგეობა. 1815 წლის 8 მაისიდან გაიხსნა 1814 წლის 30 აგვისტოს დაფუძნებული საეგზარქოსო მმართველობის უმაღლესი ორგანო - საქართველო - იმერეთის სინოდალური კანტორა. მისმა ამოქმედებამ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსოს ფორმალური არსებობის შეწყვეტა გამოიწვია.

დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი **მაქსიმე II აბაშიძე** (1776-1795) 1784 წლიდან იმერეთის სამეფოს დელეგაციის შემადგენლობაში რუსეთში იმყოფებოდა. რუსეთსა და იმერეთის სამეფოს შორის სამფარველო ტრაქტატის გაფორმების შესახებ იმავე წლის 29 დეკემბერს იმპერატრიცა **ეკატერინე II**-სთან (1762-1796) გამართულმა მოლაპარაკებამ შედეგი ვერ გამოიღო. მიუხედავად ამისა, **მაქსიმე II** რუსეთში დარჩა, სადაც აქტიურად აგრძელებდა დიპლომატიურ მისიას. 1792 წლის 27 ივლისის წერილში დასავლეთ საქართველოს სამღვდლოებისადმი აფხაზეთის კათალიკოსი წერდა დიპლომატიურ სარბიელზე განეული მუშაობის, ბიჭვინთისა და აფხაზეთის საერისთავოს მიმართ განუხორციელებელი მიზნებისა და იმედგაცრუების შესახებ. როგორც წერილიდან ირკვევა, შავიზღვისპირა ქალაქ ანაპიდან ოსმალების განდევნის (1791 წლის 22 ივნისი) შემდეგ კათალიკოსი **მაქსიმე II** დარწმუნებული იყო, რომ რუსული ჯარი გააგრძელებდა წინსვლას სამხრეთის მიმართულებით, გაანთავისუფლებდა ბიჭვინთას და მთლიანად დასავლეთ საქართველოს. იგი ასევე იმედოვნებდა, რომ **ეკატერინე II**-ის წყალობით ბიჭვინთის ტაძარსაც აღადგენდა. ვინაიდან ეს მიზანი და ოცნება ვერ განხორციელდა, **მაქსიმე II-მ**

დასავლეთ საქართველოს მომავალ კათოლიკოსს და მთელს სამღვდელოებას ანდერძად დაუტოვა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა: „უმეტესი ღვაწლი თქვენი იყავნ აფხაზეთის მოქცევასა და ბიჭვინთის ეკლესიის განახლებისათვის“ (**ჯემალ გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 338-340). 1792 წელს აფხაზეთის კათოლიკოსი **მაქსიმე II (აბაშიძე)** კიევ-პეტერბურის ლავრაში გადავიდა, სადაც ის 1795 წლის 30 მაისს აღესრულა, დაკრძალულია იქვე.

მაქსიმე II-ის გარდაცვალების შემდეგაც აფხაზეთის საკათოლიკოსო აგრძელებდა ფუნციონირებას, თუმცა, როგორც ეპისკოპოსი **კირიონი** წერდა, დაიწყო მისი თანდათანობით მცხეთის გავლენის ქვეშ მოქცევის პროცესი (წმინდა მღვდელმთავარი **კირიონ II** და აფხაზეთი. თბილისი, 2006, გვ. 341). აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობდა აფხაზეთის საკათოლიკოსოს უკანასკნელი მმართველი, ქუთაისის მიტროპოლიტი, შემდგომში ქართული ეკლესიის წმინდანად შერაცხული **დოსითეოსი (წერეთელი)**. XIX საუკუნის დასაწყისისთვის ქართული ეკლესია ფაქტობრივად ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენდა. მისი ავტოკეფალიის გაუქმებისა და განსაკუთრებით საქართველო - იმერეთის სინოდალური კანტორის ჩამოყალიბების შემდეგ ის ერთიანად აღმოჩნდა საეგზარქოსო მმართველობის, შესაბამისად, რუსეთის უწმინდესი სინოდის დაქვემდებარებაში.

XVII საუკუნის ბოლოდან საკუთრივ აფხაზეთში (მდინარე ლალიძგის ჩრდილო-დასავლეთით) არც ერთი ქრისტიანული ტაძარი არ ფუნქციონირებდა. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც შეიქმნა ხელსაყრელი პირობები აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენისთვის, ქართული სამღვდელოება, მისი ცალკეული წარმომადგენლები საკუთარი ინიციატივით იწყებენ იქ მისიონერულ საქმიანობას. განსაკუთრებულ აქტიურობას დეკანოზი **იოანე იოსელიანი** იჩენდა. 1809 წლის 23 დეკემბერს მან მიმართა საქართველოს მთავარმართებელ **ა.პ. ტორმასოვს** (1808-1811) და სთხოვა

ხელშეწყობა ბიჭვინთის, ლიხნის, დრანდის, მოქვის, ბედიის ტაძრების აღდგენაში, მღვდლების დანიშვნასა და საეკლესიო ნივთებით მათ მომარაგებაში (АКТЫ..., т. 4, с.415-416). 1810 წლის 2 იანვარს გაგზავნილ მეორე წერილში დეკანოზი იმავე **ა. პ. ტორმასოვს** სთხოვდა ლიხნის ეკლესიის განახლებას, ორი მღვდლისა და ერთი დიაკონის დანიშვნას (АКТЫ..., т. 4, с.416). **იოანე იოსელიანს** დახმარება არ მიუღია, მაგრამ მან საკუთარი სახსრებით განაახლა ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი - შარვაშიძეთა კარის ეკლესია და იქ მღვდლები **იოანე ქავთარაძე და სიმეონ ჟორდანი**ა მიავლინა (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 368).

წერილში, რომელიც 1810 წლის 26 ნოემბრით არის დათარიღებული, დეკანოზმა **იოანე იოსელიანმა** საქართველოს რუსული ხელისუფლების წინაშე დააყენა ლიხნის ტაძრის კურთხევის, ხატებითა და სხვა აუცილებელი ნივთებით მისი მომარაგების საკითხი. მასში აღნიშნულია, რომ ლიხნში უკვე დაინიშნა მღვდლები **იოანე ქავთარაძე**, რომელმაც მოასწრო 20 აფხაზის მონათვლა, და **სიმეონ ჟორდანი**; ამ უკანასკნელს იმ დროისათვის 10 აფხაზი, ხოლო პირადად **იოანე იოსელიანს** 3 თავადი და 2 აზნაური მოუნათლავეთ. ღმრთისმსახურების განახლების მიზნით ბედიის ტაძარშიც მღვდელმონაზონი **დავითი** ყოფილა მივლინებული. წერილში ყურადღებაა გამახვილებული იმ გარემოებაზე, რომ „აფხაზეთში მცხოვრებნი უნიგნურები და გაუნათლებლები არიან“. ამასთან დაკავშირებით **იოანე იოსელიანი** პირველად აფხაზთა ისტორიაში აყენებს საკითხს ლიხნის ეკლესიასთან ერთგვარი სასწავლებლის მოწყობის შესახებ. აღნიშნულ სასწავლებელში სასულიერო განათლება უნდა მიეღო 12 აფხაზ ყმაწვილს, რომლებიც შემდგომში აფხაზთა შორის ქრისტეს 12 მოციქულის მისიას შეასრულებდნენ. **იოანე იოსელიანი** ითხოვდა სასწავლებლისთვის დაფინანსების („წყალობის“) გამოყოფას (АКТЫ..., т. 6, часть вторая, с.416). სამწუხაროდ, ხელისუფალთა მხრიდან უყურადღებობის გამო, დეკანოზ **იოანე იოსელიანის**

კეთილშობილური იდეა ქალაქადღე დარჩა, მაგრამ გაივლის წლები და მას ალექსანდრე ოქროპირიძე განახორციელებს.

რუსული ადმინისტრაცია დაინტერესებული იყო კავკასიელ მთიელებში, მათ შორის აფხაზებში, ქრისტიანობის გავრცელებით. ამასთანავე იგი მშვენივრად აცნობიერებდა ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეში ქართული სამღვდელოების ჩართვის აუცილებლობას. უწმინდესი სინოდის 1818 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება ქართულ ეპარქიებს პირდაპირ ავალებდა ეგზარქოსის ზედამხედველობით განეხორციელებინათ ოსური სასულიერო კომისიის (1745-1860 წლებში არსებული მისიონერული ორგანიზაცია) ფუნქციები მათ მოსაზღვრედ მცხოვრები წარმართებისა და სხვა ურწმუნოთა მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილება აფხაზეთ-სამურზაყანოსაც ეხებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს საეგზარქოსო მ ვერ მოახერხა იქ მისიონერული საქმიანობის დაუყოვნებლივ დაწყება აფხაზეთში ანტირუსული შეიარაღებული გამოსვლების გამო. ხელისშემშლელი ფაქტორი გახდა ასევე სამეგრელოს სამღვდელოებამე საქართველოს საეგზარქოსოს იურიდიქციის გაუვრცელებლობა.

ამ ვითარებაშიც კი ქართული სამღვდელოების წარმომადგენლები ახერხებდნენ მისიონერული საქმიანობის წარმართვას. ზემოხსენებული სასულიერო პირების (**იოანე იოსელიანი**, **სიმეონ უორდანი**, **იოანე ქავთარაძე**) გარდა, XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი მღვდელმა **სოლომონ ნადიროვმა** (ნადარაია, ნადირაძე?), რომელიც სოხუმის სამხედრო ეკლესიაში მსახურობდა. არსებობს მის მიერ მონათლულთა 50 კაციანი სია. **მიხეილ შარვაშიძის** ხელმოწერით 1823 წელს **სოლომონ ნადიროვისთვის** გაცემულ მონუმბაში აღნიშნულია, რომ ის „უქადაგებს რწმენას ურწმუნო, გაუნათლებელ მთიელ და აფხაზ ხალხებს“; რომ მასთან „მოდინ ნათლობის თხოვნის სრული და გულწრფელი სურვილით“ (სცსია, ფ.488, ანან.1, ს. 963, ფფ.1, 9, 14, 15, 17-20, 22).

სამისიონერო ასპერეგზე მიღწეული წარმატებებისთვის

ლიხნის კარის ეკლესიის მღვდელი **იოანე ქავთარაძე** 1818 წლიდან პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში მიავლინეს. ის გახდა XIX საუკუნეში აფხაზეთის სამთავროს პირველი საეკლესიო ხელმძღვანელი. 1821 წლის 15 აგვისტოს იმპერატორის ბრძანებითა და უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, მიტროპოლიტმა **სერაფიმემ (გლაგოლევსკი** - სინოდის თავმჯდომარე 1821-1843 წწ.) **იოანე ქავთარაძე** ლიხნის „ღმრთისმშობლის მიძინების ტაძრისა და მთელი აფხაზეთის ოლქის არქიმანდრიტად“ აკურთხა. იმპერატორის მიერ ახლადდამტკიცებულ მთავართან **დიმიტრი შარვაშიძესთან** ერთად არქიმანდრიტი **იოანე** აფხაზეთში დაბრუნდა (1821 წლის ოქტომბერი). 1821 წლის დეკემბერში მან ჩაიბარა ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარი „ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აფხაზი ხალხის მოქცევის ღმრთივსათნო სამსახურის გასაწევად“ (სცსია, ფ.488, ანან.1, ს. 963, ფ. 3). ძალიან მალე 70 აფხაზის მონათვლისთვის **იოანე ქავთარაძემ** საქართველოს ეგზარქოს **იონასგან (ვასილევსკი** -1821-1832) მადლობის წერილი დაიმსახურა (სცსია, ფ.488, ანან.1, ს. 963, ფ. 1-2). მთლიანობაში, აფხაზეთის არქიმანდრიტს 216 აფხაზი მოუნათლავს. შესაბამისი სიები დამოწმებულია ახალგაზრდა მთავრის **მიხეილ შარვაშიძის**, მისი დედის - **თამარა დადიანისა და იოანე ქავთარაძის** ხელმოწერებით. აფხაზეთში უფრო ფართოდ მისიონერული საქმიანობის გაშლას, ახალი ეკლესიების, მათ შორის ისტორიული ტაძრების აღდგენას ხელს უშლიდა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ აფხაზეთში მიმდინარე აჯანყება, ასევე სამთავრო სახლის შიგნით პოლიტიკური, შესაბამისად სარწმუნოებრივი ორიენტაციის საკითხებზე არსებული განხეთქილება. არქიმანდრიტი **იოანე ქავთარაძე** 1824 წლის ოქტომბერში ეგზარქოსს აცნობებდა: „მთელი აფხაზეთი აჯანყდა, სოუკ-სუ დატოვეს რუსის რაზმებმა, ტაძარი განითლებულია სისხლით. ტაძრის შიგნით აფხაზების მიერ მოკლულია ათი კაცი, საეკლესიო ნივთები და ფული დაიკარგა. ბუნტოვშიკების მალე დაწყნარება შეუძლებელია“ (**გივი როგავა**. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX – XX სს. თბილისი, 2002, გვ. 81).

20-იანი წლების ბოლოსათვის მოიხსნა ზემოაღნიშნული ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც აფერხებდნენ აფხაზეთში მისიონერული საქმიანობის უფრო ფართოდ გაშლას. პირველ რიგში, დასრულდა პერმანენტული შეიარაღებული გამოსვლები. 1825 წლის 26 მარტს სამეგრელოს სამთავროს ეკლესიები საქართველოს საეგზარქოსოს გამგებლობის ქვეშ მოექცა. ეგზარქოსისა და **ლევან V დადიანის** მოთხოვნით, ამ დღიდან ჭყონდიდის ეპარქიის ერთ-ერთი მთავარი მოვალეობა გახდა აფხაზეთში მისიონერების მივლინება. რუსულმა ადმინისტრაციამ კვლავაც გააქტიურა კავკასიელ მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისკენ მიმართული ძალისხმევა. 1829 წლის 13 აპრილის იმპერატორის ბრძანებულება ითვალისწინებდა კავკასიაში მართლმადიდებლობის გავრცელების მიზნით სპეციალური მისიონერული საზოგადოებების შექმნას. ამასთან დაკავშირებით მთავარმართებელი **ი. პასკევიჩი** (1827-1831) საქართველოს ეგზარქოს **იონას** 1830 წლის 26 იანვარს წერდა, რომ ის ეთანხმება მისიონერებად პირველ ეტაპზე ქართველი სასულიერო პირების გაგზავნას (Акты..., т. 7. Тифлис, 1878, с. 248; т. 8. Тифлис, 1881, с. 247). რუსული ხელისუფლებისთვის მისიონერული საქმიანობა იმპერიული, ასიმილაციური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, ამიტომ მას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი ამ საქმიანობაში ქართული სამღვდლოების მხოლოდ პირველ ეტაპზე გამოყენება.

30-იანი წლების დასაწყისში ჭყონდიდის ეპარქიიდან პირველი მისიონი გაიგზავნა სამურზაყანოში, სადაც მოსახლეობა ძირითადად ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, მაგრამ ეკლესიების არარსებობის გამო ქრისტიანული წესებით არ ცხოვრობდა. გარდა ამისა, სამურზაყანოში მცირე რაოდენობით მაჰმადიანებიც სახლობდნენ. სამეგრელოდან გაგზავნილმა მისიონმა მოკლე დროში დიდ წარმატებებს მიაღწია (Весы Кавказ, №1, Тифлис, 1903. Исторический отдел, с. 60-61).

საკუთრივ აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენის დაჩქარების

მიზნით და ამ საკითხის პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით, **მიხეილ შარვაშიძემ** 1831 წელს იმერეთის მმართველს მიმართა თხოვნით აფხაზეთის ცალკე ეპარქიის შექმნისა და ეპისკოპოსად ცაგერის მონასტრის ილუმენის **ანტონ დადიანის** დანიშვნის შესახებ. აფხაზეთის მთავრის თხოვნა საქართველოს მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებელთან **ნ. პანკრატოვთან** იქნა გადაგზავნილი. ამ უკანასკნელის კანცელარიამ 1831 წლის 2 აგვისტოს იგი დასკვნისთვის საქართველოს ეგზარქოს **იონას** გადაუმისამართა. ამასთან დაკავშირებით საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა ჭყონდიდელი მიტროპოლიტ **დავითის (წერეთელი)** მოსაზრებით დაინტერესდა. აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ მიტროპოლიტმა **დავითმა** 1831 წლის 5 ნოემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აცნობა, რომ სამთავროს მთელი მოსახლეობა, მთავრის ოჯახის გარდა, მაჰმადიანობის მიმდევარია; მიტროპოლიტის მონაცემებით, იმუამად აფხაზეთში ფუნქციონირებდა მხოლოდ ერთი - სამთავრო კარის ეკლესია, რომლის წინამძღვარი იყო სამეგრელოს ეპარქიის მღვდელი **სვიმონ უორდანია**.

საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ, გაითვალისწინა რა **მიტროპოლიტ დავითის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია, არ დააკმაყოფილა **მიხეილ შარვაშიძის** თხოვნა ცალკე ეპარქიის დაფუძნების შესახებ; ამასთანავე მიიღო გადაწყვეტილება, მთავრის თანხმობის შემთხვევაში, სამეგრელოს ეპარქიიდან აფხაზეთში მღვდლების გარკვეული რაოდენობის მივლინების შესახებ. 1832-1833 წლების მიჯნაზე ამ საკითხზე იმსჯელა უწმინდესმა სინოდმა. მან მიიღო გადაწყვეტილება ცაგერის მონასტრის წინამძღვრის **ანტონ დადიანის** არქიმანდრიტის ხარისხში აყვანისა და მისთვის აფხაზეთში სასულიერო მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის დაკისრების შესახებ.

საქართველოს ეგზარქოსმა **მოსემ** (ბოგდანოვი - 1832-1834), უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა და 1833 წლის 12 თებერვალს **ანტონ დადიანი** არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა. მისიონის ხელმძღვანელად აფხაზეთში

მისი ჩასვლა **მიხეილ შარვაშიძის** თხოვნით რამდენიმე თვით გადავადდა ჩერქეზთა მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის არსებობის გამო. **ანტონ დადიანი** აფხაზეთში 1834 წლის დასაწყისში ჩავიდა. იმავე წლის 2 მარტს მთავარმართებელ **გ. როზენს** (1831-1837) ის წერდა, რომ უკვე იმყოფება მთავრის სახლში და შეუდგა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. XVII საუკუნის შემდეგ ეს იყო საკუთრივ აფხაზეთში გაგზავნილი პირველი სასულიერო მისია. **ანტონ დადიანის**, როგორც მისიონერის, უფლებამოსილება ვრცელდებოდა მხოლოდ საკუთრივ აფხაზეთზე ანუ მდ. ლალიძგის ჩრდილო-დასავლეთით. ვინაიდან აღნიშნულ მისიონს, სარწმუნოებრივის გარდა, დიდი პოლიტიკური დატვირთვაც ენიჭებოდა, მისიის ხელმძღვანელს მიეცა მთავარმართებელთან უშუალო კავშირურობის დამყარების უფლება. ურწმუნოთა მოქცევასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე ის საქართველოს ეგზარქოსთან ურთიერთობდა.

აფხაზეთის სასულიერო მისიის დაკომპლექტებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეგრელოს მთავარი **ლევან V დადიანი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი დავითი** (წერეთელი). XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან აფხაზეთში მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ისეთი სასულიერო პირები, როგორებიც იყვნენ **სვიმონ (სიმეონ) ჟორდანიას, დავით ახვლედიანი, თეოფანე გაბუნია, გიორგი ბერიძე, ანდრია გელოვანი, მარკოზ კიზირია, იოსებ და მარკოზ თათარაშვილები, ათანასე ჭკადუა, ანდრია გოლეთიანი, რომან მერჯვილე, პავლე დეკანოზიშვილი, ვასილ ნემსაძე**, აფხაზეთის პირველი არქიმანდრიტის **იოანე ქავთარაძის ვაჟი - გიორგი ქავთარაძე** (აფხაზურ-რუსულ-თურქული ენების თარჯიმანი) და სხვები. ისინი დიდი მონდომებით შეუდგნენ მისიონერულ საქმიანობას. შედეგმაც არ დააყოვნა. ეგზარქოსი **მოსე**, მაღალ შეფასებას აძლევდა რა **ანტონ დადიანის** მისიონის საქმიანობას, 1834 წელს წერდა: „ბევრმა აფხაზმა მიიღო ქრისტიანობა... შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ ახლოვდება ამ ხალხის მონათვლის უამი და მღვდელმთავარი **ანტონის**,

მონდომებული ქრისტიანის, საშუალებების გაძლიერება, რა თქმა უნდა, მოგვეცემს კიდევ უფრო მეტ იმედს საამისოდ“ (Акты..., т. 8, с.252). მარტო 1834-1836 წლებში 2 ათასამდე აფხაზი მოინათლა, აშენდა სამი ეკლესია - ათარაში, შქანყარში, ასევე ტამიშის, კინდლისა და კვიტოულის ერთიანი მრევლისთვის (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 374-379). მისიონერებმა, რომლებსაც მხარში ედგა მთავარი და მისი ოჯახი, განსაკუთრებულ წარმატებებს ბზიფის მხარეში და აბჟუაში მიაღწიეს. ბზიფის მხარეში წარმატების მიღწევას დიდად შეუწყო ხელი მთავრის დედამ **თამარ კაციას ასულმა დადიანმა**. აბჟუაში აქტიურ მისიონერულ საქმიანობას ეწეოდა ამ მხარის მეფლობელის **ალექსანდრე (ნათლობამდე - ალი-ბეი) შარვაშიძის მეუღლე - კესარია ნიკოს ასული დადიანი**, რისთვისაც 1835 წელს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ მას მადლობა გამოუცხადა (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 3741, ფ. 65, 66).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მისიონერებს არ მიეცათ გუმისთასა და წებელში მუშაობის შესაძლებლობა, ამიტომაც ვერ ვხედავთ იქიდან მონათლულებს, ვერ ვხედავთ იქ გახსნილ ეკლესიებს. მოგვიანებით ეს ყოველივე გამოიღებს კატასტროფულ შედეგებს, გახდება რა აღნიშნული რეგიონებიდან მასობრივი მუჰაჯირობის, მოსახლეობის სრულად აყრისა და ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

რუსული ადმინისტრაცია მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი მისიონერების მოღვაწეობას, რომლებიც უკიდურესად მძიმე პირობებში შრომობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეულებმა სხვადასხვა ხარისხის ჯილდოები მიიღეს. იმპერატორ **ნიკოლოზ პირველის** ბრძანებულებით, 1837 წლის მაისში არქიმანდრიტი **ანტონ დადიანი** წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა. იღუმენ **დავით ახვლედიანს** ოქროს ჯვარი გადაეცა, **სვიმონ უორდანიას** - ხავერდის იისფერი კამილავკა (**გივი როგავა**. რელიგია და ეკლესია საქართველოში XIX- XX საუკუნეებში. თბ., 1998, გვ. 91)

მთელი რიგი მიზეზების გამო, 1837 წლისთვის სამისიონერო საქმიანობა რამდენადმე შესუსტდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმ გააფრთხეულ წინააღმდეგობაში უნდა ვეძიოთ, რომელსაც თავიდანვე აწყდებოდნენ მისიონერები მაჰმადიანი და წარმართი მთიელების მხრიდან. წინააღმდეგობა გამოიხატებოდა აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების პარალელურად მაჰმადიანობის გავრცელებაში, აგრეთვე ახლადმონათლულთა მიერ მაჰმადიანთა ზეწოლით ქრისტიანობის ნებაყოფლობით თუ იძულებით დატოვების შემთხვევების ზრდაში. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლიტიკური ფაქტორიც. ქრისტიანობის გავრცელება აფხაზებისთვის ნიშნავდა მათთვის მიუღებელი რუსული ხელისუფლების განმტკიცებას, სხვა მთიელებთან დაპირისპირებას. აფხაზები ხვდებოდნენ, რომ რუსეთი მათ გაქრისტიანებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ცდილობდა, ამიტომაც მათი მხრიდან სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობას იწვევდა. შექმნილი საგანგაშო ვითარების შესახებ **ანტონ დადიანი** ზუსტ ინფორმაციას აწვდიდა საქართველოს საეგზარქოსოს (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 25638, ფ. 1-4).

მისიონერული საქმიანობის წარმატება აფხაზეთში დიდად იყო დამოკიდებული სამეგრელოს ეპარქიაზე. ეგზარქოსი **ევგენი (ბაჟენოვი - 1834-1844)** რატომღაც მიიჩნევდა, რომ სამეგრელოს ეპისკოპოსი **გიორგი (კუხალაშვილი)** არ იყო საკმარისად მონდომებული მეზობელ მთიელთა ანუ აფხაზთა, ასევე ეპარქიის შიგნით - სამურზაყანოში მცხოვრებ ურწმუნოთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის საქმეში. 1836 წლის 25 იანვრის წერილში ეგზარქოსი ეპისკოპოსს **გიორგისგან** მისიონერული საქმიანობის გააქტიურებას და განეული მუშაობის შესახებ დადგენილი ფორმით შედგენილი ყოველწლიური ანგარიშების საეგზარქოსოში წარდგენას მოითხოვდა. წერილს თან ერთვოდა უწმინდესი სინოდის მიერ 1818 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქცია მთიელთა შორის მოქმედი მისიონერებისათვის (სცსია, ფ. 489, ანან. 1, ს.5095, ფფ. 5-10). **ეგზარქოს ევგენის** მიერ მთავარმართებლისა და მთავრის

გვერდის ავლით სამეგრელოს ეპისკოპოსისთვის გამოგზავნილი წერილი და ინსტრუქცია, დავალებების გაცემა ეპარქიაში და მის ფარგლებს გარეთ გასატარებელი ზომების შესახებ, **ლევან V დადიანმა** ეგზარქოსის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებად მიიჩნია, რამაც მისი ამკარა უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით 1836 წლის 31 მარტს **ლევან V დადიანმა** წერილით მიმართა მთავარმართებელ **გ. როზენს**, რომელშიც ჩამოყალიბებულია აფხაზთა შორის მისიონერულ საქმიანობასთან დაკავშირებული ახალი ხედვები, ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელეები, რომელიც თან ახლდა ამ რთულ პროცესს. სამეგრელოს მთავარი ეჭვსქვეშ აყენებდა მთავრობის პოლიტიკის რეალობას „საჭურვლისა ჭვარისათა“ დაეძლია მთიელთა წინააღმდეგობა და ურჩობა; აღნიშნავდა, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სხვადასხვა მთიელი ტომების მფლობელთა მხრიდან ქრისტიანობის მიღებაზე იძულებითი თანხმობაც და თავშეკავებაც მათი პირადი ინტერესებით, არსებული გარემოებებით იყო განპირობებული. **ლევან V დადიანის** აზრით, მთიელთა მოქცევის საქმეში ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ხალხის ცნობიერება, წარმოდგენები და ხასიათი. გარდა ამისა, მთავრის აზრით, სამეგრელოდან სათანადო განათლების არმქონე მისიონერების გაგზავნა აფხაზებთან სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა. წერილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოგვყავს მისი სრული ტექსტი:

„მისს მაღალ აღმატებულებას მთავარ მართებელს საქართველოისას უფალს ღენერალ-ოტ ინჰანტერს, ღენერალ ადიუტანტს და კავალერს ბარონ **გრიგორი ვლადიმროვიჩს როზენს**.

31 მარტს 1836 წელს

თქვენო მაღალაღმატებულებაჲ

მონყალეო ხელმწიფეჲ

მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი მონწერილობითა 25 წარსულის იანვრისას № 42 არწმუნებს ყოვლად სამღვდელო სამენგრელოს ეპისკოპოზს

გიორგის: შედგომად განკარგულებისადმი განვრცელებისათვის ქრისტიანებისა სარწმუნოებისა შორის იმა მთის ურწმუნოთა და მაჰმედიანთასა, რომელნიცა ესამზღვრებიან განგებულსა მისს ეპარქიასა და კერძობითის მოქცევისათვის მათისა, რომელნიცა იმყოფებიან რა თვით მინგრელიასა შინა, არა ნათელღებულ არიან ჯერეთ სჯულითა ქრისტესითა, ზედა დართვითა მასთანავე ხელთმძღვანელად ინსტრუქციისა, შემდგარის საფუძველთა ზედა კანონთა უმაღლესად დამტკიცებულთა 29 დღესა დეკემბრისას 1818 წელსა და წარდგინებისათვის მის და უწინარესთა ამის გამო ცნობათა.

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოზი **გიორგი** აღძრული გულსმოდგინებითა საქმისადმი მოქცევისა ურწმუნოთასა, გარნა არა მექონი, არცა ღონისძიებისა, არცა საშუალებისა მოქმედებად მას შინა ესრედ, რათა, რათა (ასეა ტექსტში - ჯ.გ.) შესაძლებელი იყოსმცა მოლოდინება სარწმუნოდ წარმატებისა და მიწთომად უპირატესის განზრახვისადმი კაცთმოყვარულის მართებლობისა, მსურველის განფინებითა ნათლისათა წყნარის სახარებითის დარიგებითა და საჭურველითა ჯვარისათა დამარცხებად შეუპოვრობისა და ურჩობისა მთის ერისა, უმჯობესის კეთილ მდგომერეობისათვის მრთელის კავკასიის აქეთის მხრისა. წარმომიდგინა მე ვითარცა მიწერილობა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ექსარხოსისა ინსტრუქციითა, ეგრეთვე პასუხი თვისი მისდამი და ითხოვს ჩემსა დარიგებასა: ვითარ შეუდგეს მოთხოვილისადმი განკარგულებასა.

არა რას ძალუძს ყვედრებად ჩემდა ერთსულოვანებასა შინა საქმისადმი განვრცელებისა და დამტკიცებისა სჯულისა ქრისტიანებისა, სასტიკთ კანონთა შინა, რომლისაცა მყოფნი აღზრდილ, მე ვიპოებ მას შინა სულიერსა დამშვიდებასა, ხოლო გულსმოდგინებითი ერთგულება ჩემი სამსახურისადმი როსსიის მართებლობისა და მზაობა შემწეობად ყოველის წინად განზრახულობისადმი მისისა, ცნობილ არს თქვენის მაღალ აღმატებულებისადმი. გარნა ვიცი რა ადგილობრივნი

გარემოებანი მხარისანი, საერო ცნობა და ხარაკტირი, ეგრეთვე შეერთება მფლობელთა, სხვადასხვა მთიელთა ნათესავთა ერთისა მეორისადმი, მათნი ღონენი საზრდელად თვისისა, იმედნი, რომელთა მიერცა ზოგნი მათგანნი იძულებულ არიან მიღებისადმი მართლმადიდებელის ქრისტიანებრის სჯულისა და თვით მიზეზნი შემაყენებელნი კვალად მისთა ურწმუნობათა შინა; მე მაქვს პატივი აღვინეროთ თქვენ, მონყალეო ხელმწიფევე, ჰაზრი ჩემი, რომელ წარგზვნა მოქადაგეთა მინგრელიის სამღვდელოთასა, ქადაგებათაგან რომელთა არა სრულიადის განათლებისა გამო მათისა, არა შესაძლო არს მოლოდინება იმა ძალის დატანებისა, რომელმანცა იმოქმედოსმცა გონებათა და გულთა ზედა ურწმუნოთასა, არა შემოგვიტანს მოლოდინებულსა სარგებელობასა.

ესოდენ მცირე წარმატება საქმესაში მოქცევისასა სრულიადის ერთგულებითა მისდამი და შემეცნება განათლებულის, წყნარის და მომთმენის დეკანოზის კულმატიცკისა შორის სვანეთთა ამტკიცებს სიმართლეთა ჩემის ჰაზრისასა, ადრე დროებითის ზედა დგომითის მოთხოვილებისა, წარგზავნად მთის ერისადმი ღვთის სიტყვის მოქადაგეთა შემძლებელთ თვით ნადილითა, მაგიერ განვრცელებისა ქრისტიანის სარწმუნოებისა გამოცხადებითა თვისითა ველურთ ერთა შორის წარმოებად თვით შენუხებულობისა, ვითარცა შემთხვა 1834 წელსა დროსა გამოცხადებისა თავისუფალთ სვანეთთა შორის მისულთ მუნ მისიონერთა. ხოლო კერძობითსა მოქცევასა ანაკლიასა შინა თათრის კალონისასა, მე ვპოვებ ქანატიზმითა ამა თათართა სრულიად შეუძლებელად, აგრეთვე ვითარცა მყოფთ სამურზაყანოსაში უმეტეს ნაწილად ქვეშევრდომთ ჩემდა თათართაგან და ურწმუნოთა ველურის ზნისა გამო, რომელთაცა ჯერეთ არა შემოსვლია დროი, რათა შესაძლო იყოს წინად განზრახულება მათის მოქცევისა; მით რომელ პირველითავე განვრცელებითა ხმაურობისათა მაზედ სრულიადსა მაზრასა ძალუქს დატევებაი თვისის საცხოვრებელისა და იპოვის სარწმუნოსა თავშესაფარებელსა მებობელთა შორის თვისთა აფხაზთასა და წებელთა

შინა და თვით ამით მოუმატებს რიცხვი მტაცებელთა და თითქმის ცხადად მტერთა პირისპირ თვით მმართველობისათა. ამისთვის არა გარდუნყვეტ წარმოდგენასა ჩემდამი ყოვლად სამღვდელლო მინგრელიის ეპისკოპოზისასა, მე ნამდვილად წარმოვადგენ ვითარცა მას, ეგრეთვე მეორესა კეთილ განსახილველად თქვენის მაღალ აღმატებულებისასა და უმორჩილესად გთხოვ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფე, მიწერასა მისის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობისადმი საქართველოს ექსარხოსისა: არა ინებებსა სრულიად შესახებელს მინგრელიის ეპარხიისადმი, რომელსაცა შეადგენს განსაკუთრებითსა სამთავროსა ჩემ მიერ ფლობილსა, საკუთართა უმაღლესად მონიჭებულთა ჩემდამო კანონთასა მოვსწერდე თქვენს მაღალ აღმატებულებას, ვითარცა იყო ისე უწინარეს, ვინაიდგან მოთხოვილებანი მისის მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობისანი, თქვენის, მოწყალეო ხელმწიფე, საშუალობითა რომლისადმიცა ცნობილ არს მდგომარეობა მინგრელიისა და მოსამზღვრეთა მისდამი ერთა, საჩქაროდ და უკეთესად იქმნებიან აღსრულებელნი თვით ჩემ მიერ, რომელიცა არაოდენ შემთხვევასა შინა თვინიერ საშუალობათა ჩემ მიერ ჩვენებელთა თვით თავით თვისით მოქმედება არა ძალუძს, რომელიცა თქვენის მაღალ აღმატებულებისა მიერ სრულის ზომით ცნობილ არს.

სრულიადითა პატივისცემითა და ჭეშმარიტითა ერთგულებითა მაქვს პატივი ყოფად მოწყალის ხელმწიფის თქვენის მაღალ აღმატებულების ყოვლად უმორჩილესი მოსამსახურე **ლ. დადიანი**“ (სცსია, ფ. 489, ანან. 1, ს.5095, ფ. 1-3).

ლევან V დადიანის წერილმა, რომელიც 1836 წლის 24 აპრილს მთავარმართველის კანცელარიამ ცნობისთვის საქართველოს ეგზარქოსს გადაუგზავნა, გარკვეული გავლენა იქონია სამთავრობო პოლიტიკაზე, რომელიც მთიელებში, მათ შორის აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდებოდა. საეკლესიო პოლიტიკის ცვლილება ამკარად შეინიშნება საქართველოს მთავარმართველების **ე. გოლოვინისა**

(1837-1842) და ა. ნეიდგარდტის (1842-1844) მმართველობის პერიოდში.

პირველ რიგში, ე. გოლოვინი აღმოჩნდა ანტონ დადიანის მიერ 1835 წლის ივლისში ეგზარქოსის წინაშე ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის თაობაზე დასმული წინადადების წინააღმდეგი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიჭვინთის განახლების იდეა დეკანოზმა იოანე იოსელიანმა ჯერ კიდევ 1810 წელს წამოაყენა. ამის შემდეგ საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. 1821 წელს ალექსანდრე I-მა საქართველოს მთავარმართებელს ა. ერმოლოვს (1816-1827) დაავალა ბიჭვინთის ტაძრის განახლება, მაგრამ დავალება ვერ შესრულდა აფხაზეთში მიმდინარე აჯანყებების გამო. 1832 წელს ნიკოლოზ I-მა გასცა განკარგულება ბიჭვინთის ისტორიული ტაძრის განახლების შესახებ, მაგრამ სამუშაოების დაწყება ჭიანურდებოდა. იყოფა რა ყოველივე ამის შესახებ, ანტონ დადიანმა ბიჭვინთის აღდგენის დაჩქარების მიზნით 1835 წლის ივლისში მიმართა ეგზარქოსს, რომელმაც ამის თაობაზე მთავარმართებელ გ. როზენს აცნობა. მთავარმართებელს არ სურდა ბიჭვინთის ტაძრის ქართველი მისიონერებისთვის გადაცემა. მიუხედავად ამისა, ბიჭვინთის საკითხზე მიმოწერა გაგრძელდა. მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიჭირა ე. გოლოვინმა. უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის ნ. პროტასოვის (1836-1855) სახელზე 1837 წლის 17 ნოემბერს გაგზავნილ წერილში ის საუბრობდა ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის მიზანშეუწონლობაზე და მოითხოვდა არსებული სახით მისი, როგორც გარდასულ საუკუნეთა დიდებული ძეგლის დატოვებას. მთავარმართებლის პოზიცია ნ. პროტასოვმა იმპერატორს გააცნო. საპასუხო წერილში ობერპროკურორმა 1838 წლის 28 დეკემბერს ე. გოლოვინს შეატყობინა ნიკოლოზ I-ს გადაწყვეტილება ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის საკითხის გადადების შესახებ (Н. Мурзакевич. Пицундский православный храм на восточном берегу Черного моря. Одесса, 1877, с. 22-24; ჯემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 372-373, 396-398).

ე. გოლოვინი არ დასჯერდა ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის გადადებას. ქრისტიანულ სარწმუნოებაზე აფხაზთა მოქცევა მას შორეული მომავლის საქმედ, ხოლო **ანტონ დადიანის** მისიონერული საქმიანობა არც თუ წარმატებულად მიაჩნდა. **ე. გოლოვინმა** ერთ-ერთმა პირველმა თქვა უარი ქრისტიანობის გავრცელების გზით ანუ „საჭურვლისა ჯვარისათა“ აფხაზეთში რუსეთის პოზიციების განმტკიცების ილუზიაზე და გეზი სამხედრო ძალაზე - შავი ზღვის სანაპირო ხაზის მოწყობაზე - აიღო. 1837-1839 წლებში მთავარმართებელი სწორედ ამ სანაპირო ხაზის მოწყობით იყო დაკავებული. თავიდან მისი მეორე განყოფილება, ხოლო 1840 წლიდან მესამე განყოფილება აფხაზეთის ტერიტორიას მოიცავდა. განყოფილების უფროსის მოვალეებებში შედიოდა აფხაზეთზე პოლიტიკური ზედამხედველობის განხორციელება, ჰქონდათ იარაღის გამოყენების უფლება. ასე მაგალითად, რუსმა ჯარისკაცებმა 1840-1841 წლებში სასტიკად დაარბიეს წებელი, 1841 წელს - უბიხები. საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ამ სისხლიან ლაშქრობებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა **მიხეილ შარვაშიძე** თავისი მილიციით.

ძალისმიერმა სამთავრობო პოლიტიკამ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მათ შორის აფხაზეთში შეცვალა დამოკიდებულება ქართველი მისიონერების მიმართ. 1840 წლის 10 და 20 მარტს საქართველოს ეგზარქოსისადმი გაგზავნილ წერილებში კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის შტაბის უფროსმა გენერალმა **ე. კოცებუმ** წამოაყენა წინადადება „ნახევრად ველურ მთიელთა შორის“ - აფხაზებში ქრისტიანობის გავრცელების მიზნით რუსი სასულიერო პირების დანიშვნისა და აფხაზეთის ეკლესიის შავი ზღვის სანაპირო ხაზის საეკლესიო განყოფილებისადმი დაქვემდებარების შესახებ. ეგზარქოსმა წინადადება მოიწონა. **ე. კოცებუს** მხარი დაუჭირა მთავარმართებელმა **ე. გოლოვინმა**ც საქართველოს ეგზარქოსისადმი 1840 წლის 10 აგვისტოს გაგზავნილ მიმართვაში. აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა

შეიძინა მაშინ, როდესაც **ანტონ დადიანი** სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა (1842წ.) და აფხაზეთის სასულიერო მისიის ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტური გახდა. შექმნილ ვითარებაში საბოლოო სიტყვა აფხაზეთის მთავარს **მიხეილ შარვაშიძეს** ეკუთვნოდა. აფხაზეთის მთავარმა განაცხადა: „მე მსურს ჩემს სამფლობელოში **ანტონის** წასვლის შემდეგ მის ადგილზე ვიხილო **ილუმენი თეოფანე**, რომელიც **ანტონთან** ერთად კარგად იცნობს აფხაზებს და თავისი კეთილგანწყობილებითა და გონიერი მიდგომით დაიმსახურა მათი პატივისცემა... მე მსურს, რომ ჩემი სამფლობელოს ეკლესია უშუალოდ დაექვემდებაროს სამეგრელოს ეპისკოპოსს **ანტონს**“ (გივი როგავა. რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 93-94). რუსული ხელისუფლება იძულებული გახდა ანგარიში გაენია აფხაზეთის მთავრისთვის. **მიხეილ შარვაშიძის** ნებით, კავკასიის რუსული ხელისუფლების გეგმები აფხაზეთში ამ ეტაპზე ჩაიშალა - სასულიერო მისიას სათავეში ჩაუდგა **თეოფანე გაბუნია**, რომელიც სამეგრელოს ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა. ეგზარქოსთან ოფიციალურ მიმონერებში **ანტონ დადიანი** სამეგრელოსა და აფხაზეთის ეპისკოპოსად მოიხსენიებოდა (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 10653, ფ. 2).

ქართველმა მისიონერებმა გააგრძელეს საქმიანობა აფხაზეთში. საქართველოს საეგზარქოსოში წარდგენილი სიების თანახმად, მომდევნო ორ წელიწადში ხუთასამდე აფხაზი მონათლეს (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 9600. მთელი საქმე მონათლულთა სიებისგან შესდგება).

1845 წლის შემოდგომაზე ეპისკოპოსმა **ანტონმა** აფხაზეთ-სამურზაყანოში იმოგზაურა. იმავე წლის 5 დეკემბერს იგი ეგზარქოსს **ისიდორეს** (ნიკოლსკი - 1844-1858) ატყობინებდა, რომ აკურთხა „ახლად აღმენებულნი აფხაზეთსა შინა სამრევლო და სასახლის ეკლესიები“; აღნიშნავდა ააცის, მაზუხვის, შუა წყაროს (შქანყარი), გუდავის ეკლესიებისა და მათი ქართველი წინამძღვრების კარგ მუშაობას (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 10653, ფფ. 1, 2, 7-10, 14, 15, 19).

1845 წლის ბოლოდან იღუმენი **თეოფანე გაბუნია** სამეგრელოში დაბრუნდა. ქართულ სასულიერო მისიას აფხაზეთში სათავეში ჩაუდგა **მიხეილ შარვაშიძის** სულიერი მოძღვარი, **იღუმენი გერმანე გოგოლაშვილი**. მისი მეცადინეობით, სულ რაღაც ნახევარ წელიწადში ათასამდე აფხაზი მოინათლა. 1847 წელს, უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით, **გერმანე გოგოლაშვილი** აფხაზეთის არქიმანდრიტად დაინიშნა და ამ ხარისხში იგი ეპისკოპოსმა **ანტონ დადიანმა** აკურთხა (**გივი როგავა**, რელიგია და ეკლესია საქართველოში, გვ. 95). რუსეთ-კავკასიის ომის ფონზე და შამილის მიმდევართა მთავარი იდეოლოგიის - მიურიდიზმის აფხაზეთში გავრცელების საფრთხის, ასევე ე. წ. აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებისა და მოსალოდნელი ომის საფრთხის გათვალისწინებით, რუსული ადმინისტრაციის პოლიტიკა საქართველოში შედარებით ლიბერალური ხდებდა. შექმნილ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისიონერულ საქმიანობას სტრატეგიულად უაღრესად მნიშვნელოვან აფხაზეთში.

XIX საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთში ჩამოყალიბებულია უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებებში, მეფისნაცვალ **მ. ვორონცოვის** (1844-1854), უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის **ნ. პროტასოვისა** და შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსის **ლ. მ. სერებრიაკოვის** (კ. მ. არცატაგორიანცი) წერილებში. **მ. ვორონცოვის** 1846 წლის 14-18 ივნისის წერილიდან **ნ. პროტასოვისა**ში ცნობილი ხდება, რომ იმავე წლის დასაწყისში უწმინდესმა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში რუსული სასულიერო მისიის დაფუძნების შესახებ. მისიის ხელმძღვანელი არქიმანდრიტი, როგორც ამას შემოხსენებული გენერალი **ე. კოცეზუ** ჯერ კიდევ 1840 წლიდან მოითხოვდა, იმავედროულად იქნებოდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სამღვდელთა ხელმძღვანელიც და უშუალოდ უწმინდეს სინოდს დაექვემდებარებოდა. აფხაზეთში არსებული ვითარების, აფხაზთა ზნე-ჩვეულებების კარგად

მცოდნე მეფისნაცვალმა დაარწმუნა საერო და საეკლესიო მთავრობა, რომ საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელი იყო მისიონერული მიზნებისთვის აფხაზეთში ქართველი სასულიერო პირების, მათ შორის არქიმანდრიტ **გერმანე გოგოლაშვილის**, ასევე სამეგრელოს ეპისკოპოს **ანტონ დადიანის** გამოყენება, ამ საკითხში **მიხეილ შარვაშიძის** სურვილის გათვალისწინება, სასულიერო მისიის საქართველოს ეგზარქოსის დაქვემდებარებაში დატოვება (АКТЫ..., т. 10. Тифлис, 1885, с. 225-226).

აფხაზეთში რუსული სასულიერო მისიის დაფუძნების თაობაზე უწმინდესი სინოდის მიერ 1846 წლის დასაწყისში მიღებული გადაწყვეტილების შესრულება, **მ. ვორონცოვის** დაუინებელი მოთხოვნით, თავიდან იქნა აცილებული. 1846 წლის 24 აგვისტოს საპასუხო წერილში **ნ. პროტასოვმა** მეფისნაცვალ **მ. ვორონცოვს** შეატყობინა, რომ მის მოსაზრებებს უწმინდესი სინოდი დაეთანხმა და მიღებულ გადაწყვეტილებაში არსებითი ცვლილებები შეიტანა. კერძოდ, ეპისკოპოსი **ანტონ დადიანი** მისიის საპატიო წევრი ხდებოდა, რომლისგანაც მისიის წევრებს სახელმძღვანელო რჩევა-დარიგებები უნდა მიეღოთ; **მიხეილ შარვაშიძის** სულიერი მოძღვარი **გერმანე გოგოლაშვილი**, რჩებოდა რა აფხაზეთის არქიმანდრიტის თანამდებობაზე, შეყვანილ იქნა მისიის შემადგენლობაში; რუსული სასულიერო მისიის ხელმძღვანელი არ შეითავსებდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის წინამძღვრის ფუნქციას, შესაბამისად დაექვემდებარებოდა არა უწმინდეს სინოდს, არამედ საქართველოს ეგზარქოსს; მისიის ხელმძღვანელის ადგილსამყოფელში - ბიჭვინთაში გათვალისწინებული იყო აფხაზი და სხვა მოსაზღვრე ტომთა ბავშვებისთვის სასწავლებლის დაფუძნება (АКТЫ..., т. 10, 1885, с.227).

რუსული სასულიერო მისიის დაფუძნება იგეგმებოდა ბიჭვინთის ისტორიული ტაძრის განახლების დასრულებისთანავე - დაახლოებით ორ წელიწადში. ამ დროის განმავლობაში უნდა მომხდარიყო მომავალი მისიის წევრთა შერჩევა, მათი თბილისში მივლინება და აფხაზეთში მისიონერული სამსახურისთვის

მომზადება. ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა კი ჭიანურდებოდა, თუმცა შესაბამისი გადანყვეტილება იმპერატორმა **ნიკოლოზ პირველმა** 1844 წელს მიიღო. სამუშაოების დაწყების მიზნით, იმავე წელს შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსმა ადმირალმა **ლ. სერებრიაკოვმა** 12 249 რუბლი და 10 კაპიკი, **მ. ვორონცოვმა** კი 1845 წელს 35 193 რუბლი და 50 კაპიკი გამოყვეს. აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა არქიტექტურის ახალგაზრდა აკადემიკოსი **პ. ნოროვი**. მოსამზადებელი სამუშაოები დროში მეტისმეტად გაიწელა, ამასობაში კი ყირიმის ომმაც მოუსწრო და ბიჭვინთის ტაძრის აღდგენა დიდი ხნით გადაიდო (**ჭემალ გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 408-409). შესაბამისად, აფხაზეთში რუსული სასულიერო მისიის დაფუძნების გეგმაც ჩაიშალა.

ქართველი მისიონერების ძალისხმევით აფხაზეთში გრძელდებოდა ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელება. 40-იანი წლების ბოლოსთვის მომწიფდა პირობები ცალკე ეპარქიის დაფუძნებისთვის. შესაბამისი წინადადებით **მიხეილ შარვაშიძემ** 1849 წლის 14 მარტს საქართველოს ეგზარქოს **ისიდორეს** მიმართა. იქვე აფხაზეთის მთავარმა ეპისკოპოსად **გერმანე გოგოლაშვილის** კანდიდატურა დაასახელა (დოკ №1). **მიხეილ შარვაშიძის** წინადადება გაიზიარა როგორც ეგზარქოსმა, ისე მეფისნაცვალმაც. ამ უკანასკნელმა აფხაზეთის ეპარქიისა და სასულიერო მისიის დაფუძნების შესახებ შუამდგომლობა 1849 წელს იმპერატორს წარუდგინა. 1851 წლის 10 თებერვალს რუსეთის სამხედრო მინისტრმა **ა. ჩერნიშოვმა** მეფისნაცვალს შეატყობინა იმპერატორის მიერ მისი შუამდგომლობის მონონების თაობაზე.

იმპერიული ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში დათვიქსირდა აზრთა სხვადასხვაობა აფხაზეთის ეპარქიის, სასულიერო სასწავლებლისა და მისიის დაკომპლექტების საკითხში. განსაკუთრებული პრინციპულობის გამოჩენა დასჭირდა **მ. ვორონცოვს** აღნიშნული საკითხის განხილვისას. სრულად ფლობდა რა სიტუაციას აფხაზეთში და იცოდა

რა მიხეილ შარვაშიძის ცალსახა პოზიციის შესახებ, 1851 წლის 26 მარტს მან ვრცელი წერილით მიმართა რუსეთის სამხედრო მინისტრს ა. ჩერნიშოვს. „დარწმუნებული ვარ, - წერდა მ. ვორონცოვი, - რომ აფხაზეთში მისიონერებად ადგილობრივები (ტუბემცი) უნდა იყვნენ ... მართლმადიდებლურ სარწმუნოებაში შეუძლებელია იყო უფრო თბილი, ვიდრე ზოგადად ქართველები და იმერლები, სხვა ტომებიდან კი ისინი, ვინც თბილისში არიან აღზრდილები. მოსახლეობასთან ურთიერთობისთვის, მათთან საუბრებისთვის და დარიგებისთვის ადგილობრივები შეუდარებლად უფრო მოხერხებულები არიან და ისინი ყოველთვის უფრო სასარგებლონი იქნებიან, ვიდრე რუსები... მათთვის ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე ქართველისთვის ან იმერლისთვის დაეუფლოს სხვა კილო-კავებს... ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ ენების ცოდნის გარდა, არის სხვა პირობებიც, რომლებიც უეჭველად ექნებათ ადგილობრივებს, ვიდრე რუსებს. ნახევრადველური მოსახლეობის დარიგებებისთვის, მათთან ერთად ცხოვრებისთვის, მათი ნდობის მოპოვებისთვის და მათზე გავლენის მოხდენისთვის ადგილობრივ მისიონერებს აქვთ ის დიდი უპირატესობა, რომ ისინი გაჩნდნენ და გაიზარდნენ კავკასიონის იქით, მიჩვეული არიან ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, საკვებს და კლიმატს. ეს ყველაფერი რუსისთვის უცხოა, და იქ მცხოვრებნი მასში უცხოს დაინახავენ, მაშინ როდესაც ქართველში და იმერელში ისინი ნაწილობრივ თავისიანს ამოიცნობენ. ამ უკანასკნელთ არ გააოცებს და შეაჩერებს ის, რაც რუსს უცნაურად მოეჩვენება და დაბრკოლებად იქცევა“.

მიხეილ შარვაშიძის სურვილის შესაბამისად, მეფისნაცვალ კატეგორიულად მოითხოვდა აფხაზეთის ეპისკოპოსად მთავრის სულიერი მოძღვრის - არქიმანდრიტ **გერმანე გოგოლაშვილის** დანიშვნას (АКТЫ, т. 10, с. 230-232).

აფხაზეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში მისიონერული საქმიანობის ისტორიის მოკლე მომხილვა ცალსახად მიუთითებს, რომ ცალკე ეპარქიის დაფუძნებისთვის

აუცილებელი პირობების შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართული სამღვდელოების დაუღალავი შრომის შედეგია. რაც შეეხება რუსეთის საეკლესიო პოლიტიკას აფხაზეთში, იგი იმთავითვე იყო პოლიტიზირებული და მიზნად ისახავდა რუსული სამღვდელოების მეშვეობით რეგიონის დაჩქარებულ რუსიფიკაციას. სხვებზე მეტად **მ. ვორონცოვს** ესმოდა, რომ აღნიშნული მიზანი იყო ნაადრევი და, შესაბამისად, არარეალური რუსეთის საშინაო (ომი კავკასიაში) და საგარეო (აღმოსავლეთის საკითხი) პირობების გათვალისწინებით. ამაში მან პეტერბურგიც დაარწმუნა. იმ პერიოდში შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში რუსეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველთა მხრიდან ლოიალობის მოპოვებას. სწორედ ამით იყო ნაკარნახევი **მ. ვორონცოვის** ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ამ პოლიტიკამ განაპირობა იმპერატორისა და უნმინდესი სინოდის გადაწყვეტილებები აფხაზეთის პირველ ეპისკოპოსად **გერმანე გოგოლაშვილის**, ხოლო აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად მღვდელმონაზონ **ალექსანდრეს (ოქროპირიძე)** დანიშვნის შესახებ.

აფხაზეთის ცალკე ეპარქიის ჩამოყალიბება დროში დაემთხვა იმ ურთულეს პერიოდს, როდესაც აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილის ყურადღება მიურიდიზმის დროშის ქვეშ მებრძოლი კავკასიელი მთიელებისკენ იყო მიმართული. მიურიდიზმმა ფეხი მოიკიდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშიც, საიდანაც უბიხების, ჭიქებისა და სხვა მოსაზღვრე ტომების მეშვეობით აფხაზეთშიც შემოაღწია. მიურიდიზმის მქადაგებლები აფხაზურ მოსახლეობას რუსეთის წინააღმდეგ საერთო ბრძოლისკენ მოუწოდებდნენ. შექმნილ ვითარებაში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობა. ამ საკითხს შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსმა ადმირალმა **ლ. სერებრიაკოვმა** 1852 წლის 11 დეკემბერს დაწერილი ვრცელი ანალიტიკური ხასიათის ბარათი მიუძღვნა. ახლადდაფუძნებული აფხაზეთის ეპარქიისა და

სასულიერო სასწავლებლის დანიშნულებას ავტორი, ისევე როგორც საქართველოს რუსული ადმინისტრაცია აფხაზეთის მიურიდიზმისაგან დაცვაში ხედავდა (Акты, т. 10, с. 233-239).

1851 წლის 28 სექტემბერს მღვდელმონაზონი ალექსანდრე (ოქროპირიძე) ქუთაისიდან, სადაც ის ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად და პედაგოგად მსახურობდა, აფხაზეთისკენ გაემგზავრა. სასულიერო სასწავლებლის გახსნა თითქმის ერთი წელი გაჭიანურდა აფხაზეთში იმუამად გავრცელებული ეპიდემიისა და სხვა მიზეზების გამო. ამიტომაც მღვდელმონაზონი ალექსანდრე დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩავიდა და იმ ერთი წლის განმავლობაში ილორში იმყოფებოდა, რომელიც იმუამად ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შემავალ სამურზაყანოს საბოქაულოს ეკუთვნოდა. იქ მან საკუთარი სახსრებით აფხაზთა ბავშვებისთვის დროებითი სკოლა გახსნა. აღნიშნული სკოლის კურსდამთავრებულები მზად იყვნენ აფხაზეთის მომავალი სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასში სწავლის გაგრძელებისთვის (დოკ. №2). ილორის სკოლა აფხაზთა მთელი ეთნიკური ისტორიის მანძილზე სპეციალურად მათთვის გახსნილი პირველი, თუმცა არაოფიციალური, დროებითი სასწავლო დაწესებულებაა, ალექსანდრე კი - პირველი პედაგოგი. ილორში სკოლის მოწყობის პირველი მცდელობისას გამოჩენილი გულმოდგინებისთვის («за оказание усердия при первом опыте заведения школ для абхазских детей») მღვდელმონაზონი ალექსანდრე (ოქროპირიძე) 1852 წლის 8 მაისს სამხარეულით (набедренный) დაჯილდოვდა (დოკ. №82). არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს მტკიცება ალექსანდრეს 1851 წ. 8 მაისს (**ზ. ჭიჭინაძე**. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, გვ. 24; მისივე — სიტყვები და წერილები, გვ. 77), მითუმეტეს 1853 წ. 8 მაისს დაჯილდოვების შესახებ (**გ. როგავა**. დასახ. ნაშრომი, გვ. 35).

როგორც ცნობილია, იმპერატორის 1851 წ. 15 აპრილის ბრძანებულება აფხაზეთის კათედრის დაფუძნების შესახებ ითვალისწინებდა მის განთავსებას ბიჭვინთაში; იქვე უნდა გახსნილიყო სასულიერო სასწავლებელიც. უწმინდეს სინოდში

ჯერ კიდევ 1850 წლის ბოლოს იყო მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სასულიერო სასწავლებელი გაეხსნათ არა ბიჭვინთაში (ვინაიდან ირგვლივ არ იყო მოსახლეობა, რაც შექმნიდა მოსწავლეთა დაბინავების პრობლემას), არამედ ლიხნში, სადაც 700 ოჯახი ცხოვრობდა; სასწავლებელში ძირითადად იქაური ბავშვები ივლიდნენ და ბინებით მათი უზრუნველყოფა საჭირო არ იქნებოდა (ცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 15555, ფ. 35-39). ილორის სკოლა, როგორც უკვე აღინიშნა, იყო აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ამოქმედებამდე მისი ზედამხედველის მიერ დროებით გახსნილი ერთგვარი მოსამზადებელი, საცდელი სკოლა.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი ლიხნში 1852 წლის 25 სექტემბრიდან ამოქმედდა, რის შესახებაც აფხაზეთის ეპისკოპოსი **გერმანე** 1852 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ეგზარქოს **ისიდორეს** წერდა (დოკ. № 2). წერილში აღნიშნულია, რომ ახლადგახსნილ სასწავლებელს **მიხეილ შარვაშიძემ** გადასცა ერთი სახლი 40 მოსწავლეზე და კიდევ ორი — ეპისკოპოსისა და ლიხნის ეკლესიის კრებულისათვის. ეპისკოპოსმა **გერმანემ** მისთვის განკუთვნილი სახლის ნახევარი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს დაუთმო. მოგვიანებით, 1853 წლის 2 აგვისტოს, საქართველოს ეგზარქოსი **ისიდორე** აღნიშნული სასწავლებლის შესახებ უწმინდეს სინოდს აცნობებდა: „ვლადიკავკაზის მაგალითისამებრ, გაიხსნა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი, რომელშიც პირველ ჯერზე 11 აფხაზი გამოცხადდა, მათ შორის 5 ყმანვილი მაჰმადიანია. ამ სასწავლებლის შესანახად ბატონმა მეფისნაცვალმა ნება დართო საგანგებო სახსრებიდან, რომლებიც მის გამგებლობაშია, ყოველწლიურად გამოიყოს 125 ვერცხლის მანეთი“ (ცსსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 26485, ფ. 2 ა).

1853 წლის 21 მაისს საქართველოს ეგზარქოსის კანცელარიამ მღვდელმონაზონ ალექსანდრეს სახელმძღვანელოდ გაუგზავნა უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული „აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ინსტრუქცია“ (დოკ. № 6). დოკუმენ-

ტის მიხედვით, სასწავლებელი განკუთვნილი იყო აფხაზეთის სასულიერო პირებისა და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის (ТУЗЕМЦЫ) ყველა ფენის შვილების სწავლა-აღზრდისათვის; სასწავლებელი ოთხკლასიანი გახლდათ; ზედამხედველს ნიშნავდა უწმინდესი სინოდი ეგზარქოსის წარდგინებით; საუკეთესო მოსწავლეებს, მშობელთა სურვილის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელება შეეძლოთ თბილისის სასულიერო სემინარიაში, თუ მეფისნაცვალმა მათ შესანახ თანხას გაიღებდა. აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში ისწავლებოდა სჯულის კანონი, რუსული ენა, ქართული ენა (სამოქალაქო და საეკლესიო), სუფთა წერა რუსულად და ქართულად, არითმეტიკა, რუსული გრამატიკა, ქართული გრამატიკა, გალობა, გეოგრაფია, პრაქტიკული მეცადინეობა აფხაზურ ენაში.

1853 21 მაისს ეგზარქოსის კანცელარიაში მღვდელმონაზონ ალექსანდრეს მიანოდა კიდევ ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი - „ინსტრუქცია აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ეკონომიკურ საკითხებში“ (დოკ. № 7).

მღვდელმონაზონ ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ ოსური სასულიერო კომისიის კანცელარიაში 1853 წ. 27 იანვარს წარდგენილი მონაცემების მიხედვით, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში 11 ბავშვი სწავლობდა; სასწავლებელი განთავსებული იყო ლიხნის ღმრთისმშობლის მიძინების ეკლესიის გვერდით; სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ხარჯების ძირითადი ნაწილი, მათ შორის ერთი მოსწავლის სრულად შენახვა, ზედამხედველმა საკუთარ თავზე აიღო (დოკ. №№ 3, 4, 13). სასწავლებლის სასარგებლოდ გაღებული შემონირულობებისათვის ალექსანდრე ოქროპირიძემ 1853 წ. 7 თებერვალს უწმინდესი სინოდის კურთხევა მიიღო (დოკ. № 82). სასულიერო სასწავლებელს მზრუნველობას არ აკლებდა აფხაზეთის მთავარიც (დოკ. № 8).

1853 წლის განმავლობაში აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში მოსწავლეთა რაოდენობა თანდათანობით იზრდებოდა. 1852/53 სასწავლო წლის ბოლოსთვის (1853

წლის ივნისი) გამოცდები უკვე 19 მოსწავლემ ჩააბარა. კრებულში წარმოდგენილი დოკუმენტები, განსაკუთრებით მღვდელმონაზონ ალექსანდრეს მიერ 1853 წლის 10 აგვისტოს საქართველოს ეგზარქისისთვის წარდგენილი მოხსენება თავისი დანართებითურთ ნათელ წარმოდგენას იძლევიან ჩატარებული გამოცდების შედეგების, განვლილი სასწავლო საგნებისა და თითოეული მოსწავლის მოსწრების შესახებ (დოკ. №10). სწავლება მიმდინარეობდა ქართულ, რუსულ და ნაწილობრივ აფხაზურ ენებზე. სასწავლებელთან მონყობილი იყო სანიმუშო ბალი, სადაც მოსწავლეები სოფლის მეურნეობის დარგშიც გარკვეულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას იძენდნენ. 1853 წლის 10 აგვისტოს მღვდელმონაზონი ალექსანდრე ოსური სასულიერო კომისიის კანცელარიას წერდა, რომ 1853 წლის ივნისში ჩატარებულმა გამოცდებმა ბევრი ნიჭიერი და კეთილსაიმედო მოსწავლე გამოავლინა. ზედამხედველის აზრით, ისინი იმსახურებდნენ გადაყვანას მეორე კლასში, რომელიც უნდა გახსნილიყო. ოსურმა სასულიერო კომისიამ მეორე კლასის გახსნა ნაადრევად ჩათვალა სასწავლებლის შენობის მოწყობამდე და პედაგოგების დანიშვნამდე (დოკ. №11 და კომენტარი 11).

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ 1853 წლის 4 ივლისს ეპისკოპოსმა **გერმანემ** მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებული **სოლომონ იაკობის ძე ბლაბბას** წერილი თხოვნით აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად დანიშვნის შესახებ. იმავე წლის ივლისში საქართველოს ეგზარქოს **ისიდორეს**, ასევე **ელიზავეტა ვორონცოვას** (მეფისნაცვალ **მ. ს. ვორონცოვის** მეუღლე) სახელზე გაგზავნილ წერილებში **ს. ი. ბლაბბა** ითხოვდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში პედაგოგად ან თარჯიმნად დანიშვნას, აგრეთვე ქუთაისიდან სოხუმამდე მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას.

აღნიშნული წერილებიდან ირკვევა, რომ 1848 წელს 14 წლის ასაკში სოფელ ჭირხვაში მცხოვრები **ს. ი. ბლაბბა**

დაუახლოვდა ბომბორასა და ბიჭვინთაში განლაგებულ რუს ჯარისკაცებს - ქრისტიანებს; მათი ვავლენით ყმანვილმა მიიღო მონათვლის, თბილისში ან ქუთაისში სასულიერო განათლების მიღებისა და ქართულ-რუსულ-ბერძნულ-თათრული ენების შესწავლის გადაწყვეტილება. იმავე 1848 წელს **ს. ი. ბლაბბა** ქუთაისში ჩაიყვანეს, სადაც ის იმერეთის მიტროპოლიტმა **დავითმა (წერეთელი)** მონათლა. საქართველოს ეგზარქოს **ისიდორეს** განკარგულებით, **ს. ი. ბლაბბა** ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლე გახდა. სწავლის ხარჯები თავის თავზე აიღო **ელიზავეტა ვორონცოვამ** იმ პირობით, რომ სწავლის დასრულების შემდეგ ის აფხაზეთში სამღვდელლო სამსახურში ჩადგებოდა. ვინაიდან **ს. ი. ბლაბბას** გეგმები შეიცვალა, ზემოაღნიშნული წერილების სამივე აღდრესატმა მას უარი უთხრა თხოვნის დაკმაყოფილებაზე და მისცეს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელების ან ისეთ სამსახურში მონაწილის რეკომენდაცია, სადაც ის გამოცდილებას დააგროვებდა (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 26505, ფ. 1-7).

დიდი აღზატობით, **ს. ი. ბლაბბა** იყო პირველი აფხაზი ისტორიაში, რომელმაც ოფიციალური სასწავლო დაწესებულების სრული კურსი დაამთავრა, თანაც საკმაოდ წარმატებულადაც. ჩვენს წინაშეა სასწავლებლის მიერ 1853 წლის 1 ივლისს გაცემული მოწმობა. მასში ნათქვამია, რომ **მ. ს. ბლაბბა** არის ქუთაისის სამაზრო სასულიერო სასწავლებლის უმაღლესი განყოფილების მოსწავლე; 18 წლის; სასწავლებელში ჩაირიცხა 1848 წლის 22 მაისს. გამოირჩეოდა კარგი უნარებით, საკმაოდ გულმოდგინე სიბეჭითით და ძალიან კარგი ყოფაქცევით. დაეუფლა: ქართულ და რუსულ ენებს - საკმარისად, ბერძნულ და თათრულს - კარგად; მიიღო შეფასებები: ვრცელ კატეხიზმოსა და წმინდა ისტორიაში - კარგი, არითმეტიკასა და საერთო გეოგრაფიაში - არც ისე ცუდი, საეკლესიო წესდებასა და გალობაში - დამაკმაყოფილებელი (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 26505, ფ. 8). სამწუხაროდ, ჩვენთვის ხელმისაწვდომ საისტორიო ლიტერატურაში არ მოიპოვება ცნობები **ს. ი. ბლაბბას** შემდგომი ბედის

შესახებ. დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამღვდლო სამსახურში ის არ ყოფილა, არ უმუშავია ასევე აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით აგრძელებდა ფუნქციონირებას.

1853 წლის აგვისტო-სექტემბერში მღვდელმონაზონმა ალექსანდრემ ახალი, 1853/54 სასწავლო წლის დაწყებისთვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები გასწია. მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით მან საკუთარი სახსრებით ააშენა სახლი და სასწავლებელს აჩუქა (დოკ. № 13) ; 1853 წლის 1 სექტემბერს სახელმძღვანელოებიც შეუკვეთა, რომლებიც ოსურმა სასულიერო კომისიამ გამოავაზნა. შეკვეთილი სახელმძღვანელოების სია მიუთითებს, რომ აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები იმ დროისათვის კარგ განათლებას იღებდნენ (დოკ. № 12 და კომენტარი 12). გამოქვეყნებული დოკუმენტები ასევე მოწმობენ, რომ 1853/54 სასწავლო წელსაც მოსწრება საკმაოდ მაღალი იყო. ბავშვებმა წარმატებით დაძლიეს პირველი კლასის სასწავლო პროგრამა, ზოგიერთები კი მეორე კლასისთვის განკუთვნილ საგნებს ეუფლებოდნენ (დოკ. №№ 20, 21).

1852/53 სასწავლო წელს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ხარჯი თავის თავზე აიღეს ალექსანდრე ოქროპირიძემ და მიხეილ შარვაშიძემ. ეპისკოპოს გერმანესა და სასწავლებლის ზედამხედველის ძალისხმევით 1854 წლიდან მოხერხდა მოსწავლეთა გადაყვანა ხაზინის სრულ კმაყოფაზე (დოკ. №№ 14-18, 26). 1854 წლის 25 მაისს მღვდელმონაზონი ალექსანდრე საქართველოს ეგზარქოსს წერდა, რომ მოსწავლეთა შესანახად 1853 წელს გამოყოფილი სახსრები არ დახარჯულა, რადგანაც ბავშვები ხაზინის კმაყოფაზე 1854 წლის დასაწყისიდან აიყვანეს. ვინაიდან წლის დასაწყისიდან გაირკვა, - აგრძელებდა ალექსანდრე, - რომ ლიხნში (სოუკსუ) დიდხანს დარჩენა შეუძლებელი იქნებოდა შექმნილი საგარეო საფრთხის გამო, საჭიროდ ჩავთვალე ამ წელსაც არ დამეხარჯა სახაზინო

თანხები და საკუთარი სახსრებით მომემარაგებინა მოსწავლეები აუცილებელი ნივთებით (დოკ. № 26).

1853 წელს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლისთვის დახარჯულმა სახაზინო სახსრებმა შეადგინეს მხოლოდ 12 მან. და 54 კაპიკი, რომელიც სახელმძღვანელოების შესაძენად იქნა გაღებული (დოკ. № 26). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში მეფისნაცვლის ექსტრაორდინალური სახსრებიდან აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის შესანახად 1856 წლამდე ყოველწლიურად გამოიყოფოდა 1525 მან. მთლიანად ამ წლების მანძილზე გამოიყო 4575 მან. ვინაიდან ზედამხედველი საკუთარი სახსრებით ინახავდა სასწავლებელს, იმავე წლებში ამ თანხიდან დაიხარჯა მხოლოდ 49 მან. დანარჩენი 4526 მან. მღვდელმონაზონმა ალექსანდრემ ჩააბარა საზოგადოებრივი მზრუნველობის ამიერკავკასიის საგანგოს (პრიკაზ), სადაც აღნიშნულ თანხას გარკვეული პროცენტები ერიცხებოდა (დოკ. №№ 105, 107).

აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრისა და სასულიერო სასწავლებლის გახსნამ ხელი შეუწყო ქართველ მისიონერებს მათი საქმიანობის გააქტიურებაში. ოსური სასულიერო კომისიის 1852 წლის ანგარიშში, რომელიც უწმინდეს სინოდს წარედგინა, აღნიშნულია, რომ სამურზაყანოში 656 ადამიანი მონათლა; საკუთრივ აფხაზეთში მისიონერთა ძალისხმევით მონათლა 246 მაჰმადიანი და 325 წარმართი. მისიონერებისთვის ძნელად მისაწვდომ ადგილებში პირადად ეპისკოპოსმა **გერმანემ** 246 მაჰმადიანი და 15 წარმართი მონათლა (სცსია, ფ. 488, ანან. 1. ს. 26485, ფ. 6-7, 10-11).

ყირიმის ომის (1853-1856) დაწყების შემდეგ სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო ადმინისტრაციამ 1854 წლის 19 მარტიდან 5 აპრილამდე იძულებით დატოვა აფხაზეთი. ამ ოპერაციას პირადად **მიხეილ შარვაშიძე** ხელმძღვანელობდა. აფხაზეთი დატოვა სამღვდელოების დიდმა ნაწილმაც. ადგილზე დარჩნენ ააცის, შქანყარისა და კვიტოულის ეკლესიების მღვდლები. მთავრის დავალებით, აუცილებელ დახმარებას მათ უწევდა საეპარქიო თარჯიმანი **სიმონ ეშბა**. საეკლესიო

ქონების გარკვეულ ნაწილს აფხაზეთში დარჩენილი ქრისტიანი თავადები ინახავდნენ; დიდი ნაწილი სამეგრელოსა და იმერეთში გადაიტანეს. ლიხნისა და ილორის საკუთრება, მათი განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ინახებოდა მთავართან, რომელიც თავის სიმამრთან **გიორგი დადიანთან** ჭკადუაშსა და კურზუში ცხოვრობდა. სამღვდელმთავრო კათედრის ქონებას ინახავდა ეპისკოპოსი **გერმანე**. ის ხონში საკუთარ სახლში ცხოვრობდა, მღვდელმონაზონი ალექსანდრე ქუთაისში იმყოფებოდა; აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი კი დროებით დაიხურა (დოკ. №№22-25, 27). მისი კუთვნილი ქონება, როგორც ალექსანდრე 1854 წლის 25 მაისს ეგზარქოსს წერდა, „მიტანილია შესანახად სოუკ-სუს ეკლესიის ეზოში და დატოვებულია ღმერთის ანაბარა“ (დოკ. № 26).

1854 წლის 13 მაისიდან 1855 წლის 26 იანვრამდე, როცა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი არ ფუნქციონირებდა, ალექსანდრე ოქროპირიძე თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის განკარგულებით, რომელიც ეგზარქოსმა დაამტკიცა, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისა და უმაღლესი განყოფილების მასწავლებლის მოვალეობას ასრულებდა (დოკ. № 82); ერთდროულად იყო გელათის მონასტრის დროებითი წინამძღვარიც (**ზ. ჭიჭინაძე**, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, გვ. 13). უწმინდესმა სინოდმა თავისი 1855 წლის 12 თებერვლის ბრძანებულებით მღვდელმონაზონი ალექსანდრე ილუმენის ხარისხში აიყვანა (დოკ. № 82).

1855 წ. 31 იანვარს ეპისკოპოსი **გერმანე** ეგზარქოს **ისიდორეს** აცნობებდა, რომ იმ აფხაზებს და სასულიერო პირებს, რომელთა შვილები ირიცხებოდნენ სასულიერო სასწავლებელში, სურდათ სწავლის განახლება. ამიტომაც მან დააყენა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენის საკითხი სადმე **მიხეილ შარვაშიძის** ადგილსამყოფელის სიახლოვეს - ჭკადუაშში, მარტვილის მონასტერში ან ხონში (სუსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 15555, ფ. 90-92).

1855 წლის 13 აპრილის წერილში ეპისკოპოსი **გერმანე** საქართველოს ეგზარქოსს აფხაზეთის სასულიერო სასწავ-

ლებლის დაკომპლექტებასთან დაკავშირებული სიძნელეების შესახებ ატყობინებდა. იგი წერდა, რომ იმ მოსწავლეებიდან, რომლებსაც ილუმენ ალექსანდრესთან უნდა ესწავლათ, დასაწყისშივე არანაკლებ ხუთი წარმოშობით აფხაზი ჩამოვიდოდა, მათ შორის 2 სასულიერო წოდების და სამი — საერო. ეს უკანასკნელები ამჟამად აფხაზეთის მთავრინასთან იმყოფებიან; რამდენიმე მოსწავლის ჩამოყვანა შეეძლოთ იმ აფხაზებსაც, რომლებმაც აღნიშნულის შესახებ მთხოვეს; მაგრამ ბოლო დროს ამის თავდებად ვერ დავდგები, ვინაიდან აფხაზებს ზაფხულში შვილების თავისთან ყოლა ურჩევნიათ, წერდა ეპისკოპოსი **გერმანე** (სცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 15555, ფ. 92).

1855 წლის 27 აპრილს ილუმენი ალექსანდრე **მიხეილ შარვაშიძესთან** ჭკადუაში ჩავიდა. მთავარმა მას აღსაზრდელად ტახტის მემკვიდრე — 9 წლის **გიორგი** მიაბარა (დოკ. № 33). იმ დროისათვის ეგზარქოსს, აფხაზეთის ეპისკოპოს **გერმანეს** წინადადებით, უკვე ჰქონდა მიღებული გადაწყვეტილება ხონში (ეპ. **გერმანეს** სახლში) აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენის შესახებ (დოკ. №№ 32, 34). შექმნილ ვითარებაში, როცა ილუმენი ალექსანდრე სოფ. ჭკადუაში ტახტის მემკვიდრის აღზდით იყო დაკავებული, ეგზარქოსის გადაწყვეტილების შესრულება შეუძლებელი იყო. ილუმენ ალექსანდრეს წინადადებითა (რომელიც **მიხეილ შარვაშიძესთან** იყო შეთანხმებული) და ეპისკოპოს **გერმანეს** თხოვნით ეგზარქოსმა გადაწყვეტილება შეცვალა — აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენა ჭკადუაში გადაწყდა (დოკ. №№ 33, 34).

მოკლე დროში მოხერხდა მოსწავლეთა ნაწილის შეკრება და სასწავლებლის ფუნქციონირების განახლება. 1855 წ. 30 ივლისს ეგზარქოსი **ისიდორე** მეფისნაცვალ **ნ. მურავიოვს** (1854-1856 წწ.) აცნობებდა, რომ იმავე წლის 1 ივლისს აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ილუმენი ალექსანდრე თავის მოხსენებაში სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ ძალიან აქებს მთავრის ვაჟიშვილს, რომელიც სწავლობს მასთან ექვს აფხაზთან ერთად (**ჯემალ**

გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 421). სასწავლებლის ფუნქციონირებასთან და ბავშვების შენახვასთან დაკავშირებული მთელი ხარჯები ომის დამთავრებამდე ალექსანდრე ოქროპირიძემ თავის თავზე აიღო, ხოლო 1855 წლის 21 ივლისს სასწავლებლისათვის გამოყოფილი 500 მანეთი შესანახად ქუთაისის ხაზინას ჩააბარა. ამის შესახებ მან 1855 წ. 2 აგვისტოს ეგზარქოსს აცნობა (სცსია, ფ. 488, აღწ. 1, ს. 15555, ფ. 99, 100).

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის გახსნიდან მალევე **მიხეილ შარვაშიძე** აფხაზეთში დაბრუნდა. მისი ჩასვლა ლიხნში საზეიმო ვითარებაში - საეკლესიო ზარების რეკვის თანხლებით მოხდა. მთავარს ტაძარში მღვდელი **იოანე გეგია**, საეპარქიო თარჯიმანი **სიმონ ეშბა** და სხვა ქრისტიანი აფხაზები დახვდნენ (დოკ. №36). **მიხეილ შარვაშიძის** აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ სასწავლებელი ჭკადუშიდან სოფ. ქვაშხორში (სენაკი) **ელიზბარ დადიანის** სახლში გადაიტანეს. სამეგრელოს თურქული ოკუპაციის გამო, 1855 წლის ოქტომბერში სასწავლებელმა ფუნქციონირება შეწყვიტა (დოკ. №№ 38, 41).

მიუხედავად ამისა, ეგზარქოსმა **ისიდორემ** მეფისნაცვლის კანცელარიის უფროსის **დიმიტრი ყიფიანის** სახელზე 1856 წლის 27 მარტს გაგზავნილ წერილში მხარი დაუჭირა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლისთვის კუთვნილი დაფინანსების თუნდაც ნახევრის გამოყოფას, რათა ხელსაყრელი ვითარების დადგომისას დაბრკოლება არ შექმნოდა მის აღდგენას (დოკ. № 41). **დიმიტრი ყიფიანის** 1856 წლის 31 მაისის საპასუხო წერილიდან ვიგებთ, რომ მეფისნაცვალის სასწავლებლისთვის თანხის გამოყოფას მისი აღდგენის შემდეგ აპირებდა (სცსია, ფ. 488, ანან. 1. ს. 15555, ფ. 106). ამ დროისათვის ომი უკვე დასრულებული იყო და არაფერი უშლიდა ხელს სასწავლებლის აღდგენას, თუნდაც ალექსანდრეს დამსახურებით დაზოგილი და ბანკში შენახული სასწავლებლის კუთვნილი თანხებით. მეფისნაცვალმა ფაქტობრივად უარი თქვა სასწავლებლის აღდგენაზე. ეს ყოველივე 1853-1856 წლებში ოსმალთა მხარეს

გადასული აფხაზი ხალხის, თვით მთავრისა და სამთავროს მიმართ პოლიტიკის შეცვლაზე მიუთითებდა.

ხელისუფლება კვლავაც მაღალ შეფასებას აძლევდა იღუმენ ალექსანდრეს დაულალავ შრომას. 1856 წლის 26 თებერვალს უწმინდესმა სინოდმა იგი არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანა, მაგრამ არა წარმატებული პედაგოგიური და მისიონერული საქმიანობისთვის, არამედ ყირიმის ომის პერიოდში სევასტოპოლის დამცველების სასარგებლოდ გაღებული შემოწირულობებისთვის (დოკ. № 82).

კრებულში შეტანილია 1855-1856 წლებში სამურზაყანოს ბლალოჩინი (კეთილმოწესე) მღვდლის დავით მაჭავარიანის მიერ საქართველოს ეგზარქოსისთვის გაგზავნილი მოხსენებები. მათში ჩამოყალიბებულია ავტორის პირადი მოსაზრებები სამურზაყანო-აფხაზეთში, ასევე სამეგრელოში არსებული სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობის შესახებ (დოკ. №№ 28-30, 35, 37, 39, 40, 46). არსებობენ **დავით მაჭავარიანის** მიერ იმავე წლებში ეგზარქოსისთვის გაგზავნილი სხვა წერილებიც, რომლებიც ადრე გამოქვეყნდა (**შ. ჩხეტია**, აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. 1853-1856 წწ. - საქართველოს მოამბე, 1963, № 15-16, გვ. 170-171, 185-186, 242-244). აღნიშნული წერილებიც სამურზაყანო-აფხაზეთს, სამეგრელოს, **მიხეილ შარვაშიძის** „ლალატს“ ეხება. **დავით მაჭავარიანის** ამ წერილებიდან ზოგიერთი უკიდურესად სუბიექტური და ტენდენციურია, ატარებს ცილისმწამებლურ, დაბეზღების ხასიათს.

ყირიმის ომის პერიოდში აფხაზეთის თურქულმა ოკუპაციამ ქრისტიანული სარწმუნოების დასუსტება გამოიწვია. აფხაზური მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მხარი დაუჭირა თურქეთს. მათ შორის იყვნენ ქრისტიანებიც, რომლებმაც უარყვეს თავისი სარწმუნოება. შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ეპისკოპოსმა **გერმანემ** 1854-1855 წლებში რამდენჯერმე მიავლინა აფხაზეთში საეპისკოპოსო კათედრის თარჯიმანი **სიმონ ეშბა** და ისტორიაში ცნობილი პირველი აფხაზი მღვდელი **იოანე გეგია** (მღვდლად ეკურთხა 1855 წლის 1 მაისს). მათ მოახერხეს ასობით

აფხაზის მონათვლა. ქართველი მისიონერების მიერ ადრე მონათლულ და ქრისტიანობაში განმტკიცებულ აფხაზებთან ერთად ისინი მოითხოვდნენ მღვდლების დაბრუნებას და ეკლესიების ამოქმედებას (დოკ. №№ 31, 34, 36).

აფხაზი თავადებისგან უსაფრთხოების გარანტიების მიღების შემდეგ ეპისკოპოსი **გერმანე** 1854 წლის მიწურულს გეგმავდა აფხაზეთში ალექსანდრეს (ოქროპირიძე) მივლინებას (დოკ. №31). საომარმა მდგომარეობამ აფხაზეთში, ასევე სასულიერო სასწავლებლის აღდგენასთან დაკავშირებულმა სამუშაოებმა ხელი შეუშალეს მას აღნიშნული გეგმის განხორციელებაში. ომის დასრულებისთანავე (1856 წლის თებერვალი), დღის წესრიგში კვლავ დადგა მისიონერული მიზნებით ალექსანდრეს აფხაზეთში მივლინების საკითხი. 1856 წლის 8 აპრილს ეპისკოპოსმა **გერმანემ** არქიმანდრიტ **ალექსანდრეს** მისცა აფხაზეთში გამგზავრების, ეკლესიების დათვალიერებისა და მათი მდგომარეობის შესახებ დეტალური მოხსენების მომზადების დავალება. თავისი გადაწყვეტილების შესახებ ეპისკოპოსმა გერმანემ საქართველოს ეგზარქოსს აცნობა (დოკ. № 42).

1856 წლის 18 აპრილს არქიმანდრიტი ალექსანდრე აფხაზეთს გაემგზავრა და მთელი ეპარქია მოიარა. აფხაზეთიდან დაბრუნების შემდეგ 1856 წლის 22 ივლისს ეპისკოპოს **გერმანეს** მან მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ დაათვალიერა ეკლესიები, დაუბრუნა მათ ქონების ნაწილი, გადასცა გარკვეული თანხა, ჯვრები და ა. შ. მოხსენებიდან ირკვევა, რომ ღმრთისმსახურება მხოლოდ სამ ეკლესიაში აღესრულებოდა - სოუკსუში (ლიხნში), ააცსა და ილორში; ომის შედეგად დაზიანდნენ ბიჭვინთის, ათარის, ემკეთის, შქანყარის, კვიტოულის, ოჩამჩირის (შტატგარეშე) ეკლესიები და საჭიროებდნენ განახლებას. აფხაზეთში მოგზაურობისას არქიმანდიტმა ალექსანდრემ, როგორც მისი მოხსენებიდან ჩანს, დიდი ყურადღება დაუთმო მისიონერულ მუშაობას, რომელმაც სასურველი შედეგიც გამოიღო - ბევრმა აფხაზმა გადაწყვიტა ქრისტიანობის მიღება (დოკ. № 43).

აფხაზეთის ეპარქიაში ალექსანდრეს მივლინების შემდეგ

წარმოდგენილი მოხსენება ეპისკოპოსმა **გერმანემ** 1856 წლის 30 აგვისტოს საქართველოს ეგზარქოსს გადაუგზავნა (დოკ. № 45). იმავე წლის 20 ოქტომბრის საპასუხო წერილში ეგზარქოსმა მოითხოვა დაზიანებული ეკლესიების კურთხევა, მონათლულთა სიების წარმოდგენა და აფხაზეთის ეპარქიაში სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით განმეორებითი რევიზიის ჩატარება (დოკ. № 48-50).

ეპისკოპოსმა **გერმანემ** ვერ მოასწრო ეგზარქოსის დავალების შესრულება. იმპერატორის 1856 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებითა და უწმინდესი სინოდის იმავე წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტელებით ის იმერეთის ეპისკოპოსად დაინიშნა. შესაბამისი ბრძანებულება ეგზარქოსს შეახსენებდა, რომ 1851 წლის 30 მაისს უწმინდესმა სინოდმა აფხაზეთის მთავრის სულიერი მოძღვარი **გერმანე** დანიშნა ეპისკოპოსად მთავრის სურვილის გათვალისწინებით, ასევე ეგზარქოსისა და მეფისნაცვლის წარდგინებით; ეს გადაწყვეტილება უწმინდესმა სინოდმა მაშინ იმ პირობით მიიღო, რომ შემდგომში მთავრის სულიერი მოძღვარი ეპისკოპოსად არ დაინიშნებოდა. აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას დაევალა უწმინდესი სინოდისთვის აფხაზეთის ეპისკოპოსის თანმდებობაზე კანდიდატების წარდგენა (დოკ. № 47).

საქართველოს ეგზარქოსმა არქიმანდრიტ ალექსანდრეს 1856 წლის 20 ოქტომბერს დაავალა ეპისკოპოს **გერმანეს** განაფხაზეთის ეპარქიის საქმეების გადმოხარება (დოკ. № 49). იმავე წლის 25 ოქტომბერს ეგზარქოსმა საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აცნობა იმის შესახებ, რომ არქიმანდრიტ ალექსანდრეს დავალებული აქვს აფხაზეთის ეპარქიის მართვა (დოკ. № 51). იმის გამო, რომ აღნიშნული მითითებები და დავალებები სოხუმში დაგვიანებით - 1856 წლის დეკემბრის ბოლოს მოვიდა, არქიმანდრიტმა ალექსანდრემ მხოლოდ 1857 წლის 7 თებერვალს მოახსენა ეგზარქოსს ეპისკოპოს **გერმანეს** განაფხაზეთის საქმეების გადმოხარების შესახებ (დოკ. № 52, 53, 60).

პარალელურად მიმდინარეობდა კანდიდატების შერჩევა

აფხაზეთის ეპისკოპოსოსის ვაკანტურ თანამდებობაზე უწმინდესი სინოდისთვის მათი წარდგენის მიზნით. მეფისნაცვალ **ა. ბარიატინსკისთან** (1856-1862) შეთანხმებით, ეგზარქოსმა **ისიდორემ** 1857 წლის 22 თებერვალს უწმინდეს სინოდს სამი კანდიდატურა წარუდგინა: საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი **გერონტი (პაპიტაშვილი)**, აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი არქიმანდრიტი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორი მღვდელმონაზონი **გაბრიელი (ქიქოძე)**. 1857 წლის 16 ივლისს უწმინდესმა სინოდმა მოისმინა იმპერატორის მიერ დამტკიცებული მოხსენება სამი კანდიდატის თაობაზე. აფხაზეთის ეპისკოპოსად **გერონტი (პაპიტაშვილი)** დაინიშნა. ამის თაობაზე უწმინდესმა სინოდმა თავისი 1857 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით საქართველოს ეგზარქოსს აცნობა (დოკ. №№ 54-56; სცსია, ფ. 489, ანან. 1. ს. 62766, ფ. 4-5, 20-25). ეპისკოპოსი **გერონტი** თავისი მოვალეობის შესრულებას 1858 წლის იანვარში შეუდგა.

1856 წლის 20 ოქტომბრიდან 1858 წლის იანვრამდე აფხაზეთის ეპარქიას არქიმანდრიტი ალექსანდრე მართავდა. ამ პერიოდის განმავლობაში ის დაუღალავად შრომობდა. ეგზარქოსის დავალებების (დოკ. №№ 48-50) შესაბამისად, მან ჩაატარა აფხაზეთის ეკლესიების რევიზია და ამის შესახებ პირველი მოხსენება 1857 წლის 2 სექტემბერს წარმოადგინა. მასში აღნიშნულია, რომ მთიელთა ხშირი თავდასხმების, ადგილობრივ მოსახლეობაში მღვდელმთავრებისა და არეულებების გამო ვერ მოახერხა ბიჭვინთის ტაძრის, ასევე მღვდელმთავრის სახლის დათვალიერება და მათი მდგომარეობის აღწერა (დოკ. №57).

ეგზარქოსთან 1857 წლის 15 სექტემბერს წარდგენილ ორ მოხსენებაში (დოკ. №№ 58, 59) არქიმანდრიტი ალექსანდრე წერდა, რომ ომის პერიოდში დაზიანებული ყველა ეკლესია, ათარისა და მაზუხის (ბიჭვინთის) გარდა, განახლებულია, განმენდილია და წესის მიხედვით ნაკურთხია. მეორე მოხსენებაში

ასევე საუბარია მისიონერულ საქმიანობაში მიღწეული წარმატებების, რწმენით მონათლულთა და დროებით კათაკმეველებად დარჩენილთა შესახებ. არქიმანდრიტი ალექსანდრე აღნიშნავს, რომ მან უკვე წარუდგინა ეგზარქოსს მისი ხელშეწყობით მონათლულთა სიები 15 სექტემბრის №106 მოხსენებასთან ერთდ. „მე ვიყავი მოქმედი პირი, როგორც მისიონერი, ხოლო მღვდელი –საიდუმლოს აღმსრულებელი, - წერს იგი. - ამ მხრივ ხშირად პირადად ვახდენდი ზეგავლენას აფხაზთა გონებასა და გულებზე, ხშირდაც - მღვდლების მეშვეობით, რომლებიც არაერთხელ დავარეიგე, როგორ მოახდინონ ზემოქმედება აფხაზებზე, ნათლობის დროს როგორ გამოიყენონ მათ წინააღმდეგ სულიერი იარაღი, ღვთის სიტყვა! გარდა ამისა, ქადაგების გზით მოვასწარი ბევრი აფხაზის დაყოლიება წმინდა ნათლობის მიღებაზე, მაგრამ გარკვეულ დრომდე დავტოვე კათაკმეველებად.

დიდის მოკრძალებით მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ შემდგომ ამისა, ძალიან ვცდილობდი შემენარჩუნებინა განსაკუთრებული სიტუტხილე და ყურადღება ურწმუნოთა მართლმადიდებლობაზე მოქცევის წმინდა საქმისადმი. ზოგადად, მე ვცდილობდი მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმატების შემეცნებისთვის შემზადების გარეშე არ დაგვეშვა წმინდა ნათლობა, რათა წმინდა ნათლისღების შემდეგ არ ჩავარდნილიყვნენ მძიმე ცოდვაში ან მთლიანად არ განდგომოდნენ ქრისტიანობას, რის მაგალითებსაც თურქთა შემოსევების შემდეგ ბევრს ვხედავთ აფხაზეთში. ამის გამო მე ვცდილობდი აფხაზური სამრევლოების მღვდლების დარიგებას, რომ მათ ნათლისღებამდე ასწავლონ ურწმუნოებს რწმენის სიმბოლოში მოცემული მოძღვრება ქრისტიანობის მთავარი ჭეშმარიტებების შესახებ, რაც მთლიანად ეთანხმება თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ა. წ. 30 აპრილის №106 მოწერილობას, რომელიც გამომდინარეობდა თქვენდამი ბატონი მეფისნაცვალის ა.წ. 31 იანვრის №572 მიმართვიდან” (დოკ. №59). წერილი თარგმნილია და გამოქვეყნებულია ქართულ ენაზეც (**დინარა დარსალია**. მოვასწარი აფხაზების

სიყვარულის დამსახურება. - საპატრიარქოს უწყებანი, 2010, 4-10 ნომბერი, №36, გვ. 11-14).

არქიმანდრიტი ალექსანდრე 1857 წლის სექტემბერში კიდევ ერთხელ მიმართავს ეგზარქოსს, აცნობებს მას ხელისუფალთა გადაწყვეტილებას ბიჭვინთაში ბერძნებისა და რუსების ჩასახლების შესახებ, რაც მისი აზრით, ტაძრის აღდგენის საშუალებას მოგვცემდა. ამასთანავე ითხოვდა დახმარებას გელათიდან ბიჭვინთის ღრმთისმშობლის ხატის დაბრუნების საქმეში (დოკ.№ 61). ალექსანდრეს მხედველობაში ჰქონდა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათოლიკოსოს მთავარი სინმინდე, რომელიც კათოლიკოს **ვედემონ I ჩხეტიძის** (1557-1578) დაკვეთით 1568 წელს დამზადდა. მთიელთა შემოსევებით შექმნილი საფრთხის გამო, ის გელათში იქნა გადატანილი, სადაც XVI საუკუნის ბოლოდან აფხაზეთის დევნილ კათოლიკოსთა რეზიდენციაც გადავიდა (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 173-176). ამ ისტორიული ფაქტის შესახებ არქიმანდრიტ ალექსანდრეს, როგორც ჩანს, საკმარისი ინფორმაცია არ ჰქონდა. ეგზარქოს **ისიდორეს**, რომელსაც იგი მიმართავდა, არანაირი ზომა არ მიუღია ღრმთისმშობლის ხატის ბიჭვინთაში დაბრუნების თაობაზე. აღნიშნული საკითხი მოგვიანებით კიდევ ერთხელ წამოიჭრა და აფხაზური სოფლებიდან თბილისში წამოვიდა სპეციალურად ორგანიზებული „შუამდგომლობები“. 1910 წლის 26 ოქტომბერს ეს საკითხი საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ განიხილა და გადაწყვიტა, შუამდგომლობას „უარი ეთქვას როგორც კანონიერი საფუძვლის არმქონეს“ (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 688-690).

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს არქიმანდრიტ ალექსანდრეს მიერ 1857 წლის 20 დეკემბერს ოსური სასულიერო კომისიის კანცელარიაში გაგზავნილი წერილი (დოკ.№ 63), რომელშიც ის თითქოს აჯამებს თავის მოღვაწეობას აფხაზეთში. სავარაუდოდ, წერილი ქუთაისშია დაწერილი, სადაც ეპისკოპოს

გერონტისთან შესახვედრად იყო ჩასული. სწორედ იმ დღეებში, 1857 წლის 13 დეკემბერს, ქუთაისში საჩქაროდ ჩამოვიდა აფხაზი, რომელმაც არქიმანდრიტ ალექსანდრეს **მიხილ შარვაშიძის** მოძღვრის დეკანოზ **ვასილ მიქაბერიძის** წერილი გადასცა. მთავრისა და მთელი მისი ოჯახის მიწვევით, დეკანოზი სთხოვდა ალექსანდრეს შობის დღესასწაულზე აფხაზეთში დაბრუნებას. მიწვევამ ალექსანდრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. ამაში მან აფხაზთა წინაშე მისი ღვაწლის დაფასება და სიყვარული დაინახა. წერილიდან ჩანს, რომ მას გადანყვეტილი აქვს კვლავ აფხაზეთში გააგრძელოს მოღვაწეობა „აფხაზთა სასიკეთოდ და გადასარჩენად“. არქიმანდრიტ ალექსანდრეს აღნიშნული წერილის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოგვაქვს მისი სრული ტექსტის ქართული თარგმანი, რომელიც გამოქვეყნებულია:

„ამ თვის 13 რიცხვში, აფხაზეთის ეპიკოპოს გერონტისთან შესახვედრად ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ, სულ მალე, ჩემთან ქუთაისში საჩქაროდ მოვარდა აფხაზი, ეპკეთის აფხაზური სამრევლოს დეკანოზის, იმავდროულად აფხაზეთის მთავრისა და მთელი მისი ოჯახის სულიერი მოძღვრის **ვასილ მიქაბერიძის** წერილით. მთავრის დავალებითა და მთელი აფხაზეთის სახელით ის მთხოვს, დღესასწაულებზე ვიყო აფხაზეთში. სანაქებო, სასიხარულო და სანუგეშოა ჩემთვის ამგვარი მიწვევა. სანაქებოა იმიტომ, რომ მოვასწარი აფხაზების სიყვარულის დამსახურება და მათი მხრიდან საყოველთაო ყურადღების მიპყრობა. სასიხარულოა იმიტომ, რომ აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები არ ივინყებენ ჩემს გულითად თანაგრძნობას, რომელიც მაქვს მათ მიმართ, მისიონერული პრომაც სრული წარმატებით დაგვირგვინდა; სანუგეშოა იმიტომ, რომ შევძელი საქმიანობის წარმართვა მთავრობის გეგმის შესაბამისად და გავამართლე ძვირფასი მთავრობის ნდობა, ანუ მოვახერხე ჩემდამი აფხაზების კეთილგანწყობის მოპოვება და მთიელთა გონებაზე თავისუფალი ზემოქმედება. ამასთანავე, მხედველობაში მქონდა მხოლოდ ის, რომ მომიხდინა

შეხედულებებითა და გრძნობებით აფხაზთა შერწყმა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის და სამშობლოს შვილებთან. რა თქმა უნდა, მთავრობისთვის სასიამოვნოა იმის შეტყობა, რომ ერთ-ერთმა სასულიერო პირმა, რომელმაც რუსული ეკლესიის სულისკვეთებით აღზრდა ჩრდილოეთში მიიღო, მთავრობის არჩევანი და ნდობა, როგორც მისიონერმა, ყველა თვალსაზრისით გაამართლა.

მე არ ვიკადრებ თავი მოვიწონო საკუთარი წარმატებებითა და ღირსებებით, მაგრამ, უკიდურეს შემთხვევაში, ვიცი ის, რომ აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები ჩემით, მათდამი ჩემი დამოკიდებულებით და საქმიანობით კმაყოფილნი არიან, როგორც ამას თავად საქმეები ადასტურებენ; ვიცი ის, რომ აფხაზეთი და მისი მაცხოვრებლები მე დამლოცავენ, სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე. საკუთარ სიცოცხლეს და საკუთარ თავს სამომავლოდ ვანდობ უზენაესის განგებას და მთავრობის ნებას. მჯერა, განგებას ნებავს, რომ მე აფხაზეთში ვმოღვაწეობდე აფხაზთა სასიკეთოდ და გადასარჩენად და მე მას ვემორჩილები. მთავრობისადმი მადლიერებით გაცისკროვნებული ჩემი გული მთავრობის ყოველ ბრძანებას და განკარგულებას სიხარულით მიიღებს. ჩემს გულში, რა თქმა უნდა, მაქვს, მუდამ მექნება და მხურვალედ შევინახავ ერთგულების, სიყვარულისა და მორჩილების გრძნობას მთავრობისადმი, აფხაზთა მიმართ კი მექნება ქრისტიანული სიყვარულით გამთბარი თანაგრძნობა და სიბრალული.

ხსენებული მიწვევის გამო, რომელიც მივიღე მისი ბრწყინვალეების, აფხაზეთის მთავრისგან მისი სულიერი მოძღვრის დეკანოზ **ვასილ მიქაბერიძის** მეშვეობით და მაცხოვრებლებისგან იმ მხარისა, ბელმა ჩემი მოღვაწეობისა და წარმატებების ასპარეზად რომ აქცია, მე, უზენაესის შეწვევის იმედით, უხერხულ მოგზაურობაზე, აფხაზეთის მავნე ჰავაზე, ამჟამინდელ ჩვენს მოუწყობელ პირობებზე საუბრის გარეშე და ისე, რომ არ დაველოდები აფხაზეთის ეპისკოპოსს, რომლის მოლოდინშიც დიდი ხანია ვარ, უშიშრად მივდივარ აფხაზეთში,

სამსახურის ადგილისკენ, სადაც სხვებთან ერთად საშობაო დღესასწაულს შევხვდები“ (**დინარა დარსალია**. მოვასწარო აფხაზების სიყვარულის დამსახურება. - საპატრიარქოს უწყებანი, 2010, 4-10 ნოემბერი, №36, გვ. 11-14).

აფხაზეთის ახალი ეპისკოპოსი **გერონტი (ჰაპიტაშვილი)**, რომელიც 1857 წ. 7 ოქტომბერს იქნა ხელდასმული, თავისი მოვალეობის შესრულებას 1858 წლის 29 იანვარს შეუდგა, როდესაც ის თავისი ამალით აფხაზეთში ჩავიდა და მთავრის ოჩამჩირის სასახლეში დაბინავდა (სცსია, ფ. 488, ანან. 1. ს. 25273, ფ. 8). არქიმანდრიტ ალექსანდრესაგან საქმეების გადმობარების შესახებ საქართველოს ეგზარქოსს მან იმავე წლის 26 თებერვალს მოახსენა (დოკ. № 64). უშუალოდ აფხაზეთში **გერონტი** დიდხანს არ დარჩენილა. 1859 წლის აგვისტოში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა **გ. რ. ერისთავმა** (1858-1860) მეფისნაცვალ **ა. ი. ბარიატინსკის** წინაშე დასვა საკითხი **გერონტის** სამეგრელოს ეპისკოპოსად დანიშვნის შესახებ. მეფისნაცვალის დაეთანხმა გენერალ-გუბერნატორის წინადადებას ისე, რომ „აფხაზეთის კათედრა არ გაუქმდეს“. აქედანაც ჩანს, რომ ყირიმის ომის დასრულების შემდეგ კავკასიის რუსული ადმინისტრაცია იხილავდა როგორც აფხაზეთის სამთავროს, ისე ეპარქიის გაუქმების საკითხსაც. 1859 წლის 20 აგვისტოს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ **გერონტის** კანდიდატურა უწმინდეს სინოდს წარუდგინა. ამასთანავე კანტორა ითხოვდა აფხაზეთის ეპარქიის დროებით მმართველად არქიმანდრიტ ალექსანდრეს დანიშვნას. 1859 წ. 16 ნოემბერს **გერონტი** სამეგრელოს ეპისკოპოსად დაინიშნა. ეპისკოპოსის რეზიდენციად მარტვილი განისაზღვრა. **გერონტის** ევალეობა აფხაზეთის ეპარქიის მართვა (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 433-434). მიუხედავად ამისა, ეპარქიას ფაქტობრივად კვლავ არქიმანდრიტი ალექსანდრე მართავდა. 1859 წ. 2 მაისიდან ის წმ. ანას III ხარისხის ორდენის კავალერი გახდა.

მისიონერული საქმიანობის წარმართვის თვალსაზრისით,

უაღრესად არახელსაყრელი აღმოჩნდა ყირიმის ომის შემდგომი პერიოდი, როდესაც აფხაზთა ნაწილი მაჰმადიანობას უბრუნდებოდა და ნელ-ნელა მაჰაჯირობის პროცესი იწყებოდა. უარყოფითად მოქმედებდა აფხაზთა რელიგიურ განწყობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის წინააღმდეგ მიურიდებლის დროშით მიმდინარე სისხლისმღვრელი ბრძოლები. მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, არქიმანდრიტი ალექსანდრე აგრძელებდა მისიონერულ საქმიანობას. მხოლოდ 1859 წელს ბზიფის მხარეში, უმეტესად ლიხნში და მის შემოგარენში 160 აფხაზი (86 მამაკაცი და 74 ქალი) მოინათლა, დაურიგდათ მათ თითო აბაზი და თითო ჯვარი. საეგზარქოსოს მიერ დადგენილი წესით შედგენილ ახლადმონათლულთა სიას ადასტურებენ აფხაზეთის მთავრისაგან დანიშნული პირები, მათ შორის მთავრის მოურავი **გიორგი ჩაჩიბაია**, ლიხნის კარის ეკლესიის მღვდელი **იოანე ზაქარიას ძე გევია** და სხვები (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 19130, ფ. 125-129).

აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის არქიმანდრიტი ალექსანდრე ამკარად არ იყო კმაყოფილი სამისიონერო ასპარეზზე მიღწეული შედეგებით. აფხაზეთში შექმნილი რთული ვითარების გათვალისწინებით, მან წერილობით ჩამოაყალიბა „მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“ (დოკ. № 65). დოკუმენტის ხელნაწერის ნაწილობრივ დაზიანების მიუხედავად, თავის დროზე მოხერხდა შესაბამისი საარქივო საქმის ფორმირებისა და დათარიღების დროს დაშვებული უზუსტობების გასწორება.

ალექსანდრე ოქროპირიძის „მოსაზრება“ უნიკალური დოკუმენტია. მას აქვს მოკლე შესავალი, სადაც ავტორი საუბრობს შემოქმედის დიდებისა და საკუთარი ნეტარებისთვის შექმნილი ადამიანის ცხოვრების მიზანზე: «მისდით სინდიდისის ხმას და სახარების ხმას» (следовать гласу совести и гласу евангельскому). ვინც სინდიდისის ხმას და სახარებას არ მისდევს, საბოლოო ჯამში ყოველგვარი უბედურების მსხვერპლად იქცევა; ამიტომ სინდი-

სისა და ღვთიური კანონებით მცხოვრებმა ადამიანებმა სხვებს — თავის მსგავსთ (подобным себе) — უნდა უჩვენონ სწორი გზა. ამის საფუძველზე, — წერს არქიმანდრიტი ალექსანდრე, — უფლება გვაქვს სინანულით შევხედოთ ჩვენს მეზობლებს — აფხაზებს, მიუთითოთ მათ ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ხელისშემწყობ და ხელისშემშლელ მიზეზებზე.

დოკუმენტის პირველ — A ნაწილში სწორედ ხელშემწყობ ფაქტორებზეა საუბარი. პირველი ასეთი ფაქტორი იყო ეპარქიის ხელმძღვანელის კეთილი დამოკიდებულება მთავართან, ვინაიდან „რაც მზე არის დედამიწისთვის, ისაა მთავარი აფხაზეთისთვის“. არქიმანდრიტ ალექსანდრეს მიაჩნდა, რომ აფხაზეთის მთავრის მხარდაჭერის გარეშე სასულიერო ხელისუფლების არც ერთი წამოწყება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა.

წარმატების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საწინდარი, არქიმანდრიტის აზრით, მისიონერისათვის აფხაზური და ქართული ენების ცოდნა გახლდათ; ამასთან, ავტორი ძირითად ყურადღებას ქართული ენის მნიშვნელობაზე ამახვილებდა, ვინაიდან, ჯერ ერთი, იგი იყო ისტორიულად და არის ამჟამადაც ღვთისმსახურების ენა აფხაზეთში; მეორეც, როგორც დამწერლობის მქონე ენა, ქართული ხმარებაშია არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ მთელს შავიზღვისპირეთში, თურქეთის შემადგენლობაში მყოფი ტრაპიზონიდან და ბათუმიდან დაწყებული, ვიდრე რუსეთის საზღვრებამდე — ანაჰამდე და ნოვოროსიისკამდე; მესამეც, ქართული მეტნაკლებად იციან აფხაზებმა, განსაკუთრებით თავადაზნაურობამ, მთავრის ოჯახი კი „სუფთად და თანდაყოლილად ფლობს ქართულ სამოქალაქო და საეკლესიო ენას და რუსულს სრულებითაც არა; საერთოდ, ყველა შარვაშიძის ოჯახი მეტყველებს, კითხულობს და წერს ქართულად; ქართველებს, როგორც მეზობლებს, მეტ პატივს სცემენ აფხაზეთში, ვიდრე სხვა ხალხებს და ქართველთა ენაც უფრო პატივშია აფხაზთა შორის. ქართული იგივეა აფხაზეთში, რაც ფრანგული ევროპაში“, ამიტომ აფხაზეთში მოღვაწე ყველა მისიონერმა უნდა იცოდეს

ეს ენა, — ასკვნის ალექსანდრე ოქროპირიძე და აცხადებს: „გაივლის ასწლეულები და ქართული ენის დიდება არ ჩაქრება (не померкнет) აფხაზეთში“.

დოკუმენტის პირველი ნაწილის მესამე პარაგრაფში ავტორი საუბრობს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთში ქრისტიანობის წარმატებით გასაფრცვლებლად მღვდელმთავრის გულმოდგინე მოციქულებრივ ღვთისმსახურებას, მის ბრწყინვალებას; ამის მისაღწევად კი აუცილებელი იყო გარემოცვა, ამალა (свита), მგალობელთა გუნდი, მდიდრული სამოსი და აგრეთვე მღვდელმთავრისათვის, ზოგადად, სამღვდლოებისათვის ცხოვრების კარგი პირობების შექმნა.

„მოსაზრების“ მეოთხე პარაგრაფი აფხაზეთში სასულიერო სასწავლებლის გახსნის თემას ეძღვნება. 1855 წლიდან სასულიერო სასწავლებლის დახურვის შემდეგ ალექსანდრე ოქროპირიძე პერიოდულად სვამდა ამ საკითხს, მაგრამ ყველა მისი ძალისხმევა (მაგალითად, 1858 წელს) უშედეგო აღმოჩნდა. მან ამჯერადაც სცადა ხელისუფლების ყურადღების მიპყრობა აღნიშნული პრობლემისადმი. აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში, როგორც ალექსანდრე წერდა, აფხაზთა ბავშვები შეისწავლიდნენ ქართულ და აფხაზურ ენებს, დაეუფლებოდნენ ამ ენებზე არსებულ სასულიერო ლიტერატურას; სასწავლებელს „ექნება სასიკეთო გავლენა აფხაზთა ბავშვებზე გონებრივი და მნეობრივი თვალსაზრისით, სასწავლებელში მიღებული კარგი აღზრდისა და მიმართულების პირობებში ბავშვები იქნებიან ფრიად სასარგებლონი საკუთარი სამშობლოსათვის“.

მეხუთე პარაგრაფში ავტორი აფხაზეთში ეკლესიებისა და სამრევლოების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობას ასაბუთებს, მეექვსეში კი — უძველესი საეკლესიო ცენტრების — ანაკოფიის (ფსირცხის), დრანდისა და მოქვის ტაძრების განახლების საკითხს აყენებს, რაც „იქნებოდა ფრიად სასარგებლო და უდიდეს გავლენას მოახდენდა აფხაზთა გონებაზე და გულებზე“.

კიდევ ორ პარაგრაფში ალექსანდრე ოქროპირიძე სამღვ-

დღელოების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და აგრეთვე მისიონერულ საქმიანობაში თავადაზნაურობის მონაწილეობის შესახებ საუბრობს.

რამდენიმე პარაგრაფისაგან შესდგება ასევე „მოსაზრების“ მეორე - B ნაწილი: „რა უშლის ხელს ქრისტიანობის გავრცელებას აფხაზეთში?“

პირველ ხელისშემშლელ ფაქტორად არქიმანდრიტი ალექსანდრე აფხაზური დამწერლობისა და, შესაბამისად, ამ ენაზე ლიტერატურის არარსებობას ასახელებს, მეორე ფაქტორად — აფხაზეთის გეოგრაფიულ მდებარეობას. მემობელი ქვეყნებიდან და რეგიონებიდან აფხაზეთში ვერ შემოდიოდა ქრისტიანობა, რადგანაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას უშუალოდ წარმართები და მაჰმადიანები ესაზღვრებოდნენ; შავი ზღვის მხრიდან მოდიოდა თურქული გავლენა; სამეგრელოს მხრიდანაც ქრისტიანული მოძღვრების სხივები ძლივს აღწევდნენ აფხაზეთამდე, ვინაიდან სამურზაყანო არ იყო ჯეროვნად გაქრისტიანებული, — წერდა ალექსანდრე. ამ ვითარების გათვალისწინებით, აუცილებლობა მოითხოვდა აფხაზეთის შიგნით მისიონერული მუშაობის გააქტიურებას მთავრისა და მღვდელმთავრის ხელშეწყობით; „ამასთანავე მისიონერები, თავის მხრივ, აფხაზეთის მიმართ სიყვარულისა და სიქველის გრძნობით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი“, — თვლიდა არქიმანდრიტი ალექსანდრე.

„მოსაზრების“ მეორე ნაწილის მესამე პარაგრაფში სამღვდელოების რაოდენობის გაორმაგების - რვიდან თექვსმეტამდე გაზრდის საკითხია დაყენებული. მეოთხე პარაგრაფში ნაჩვენებია აფხაზეთში არსებული თურქული დასახლებების (გუდავა, ოჩამჩირე, კელასური და გუდაუთა) საქმიანობა მაჰმადიანობის გავრცელების მიზნით; ეს საქმიანობა კი ხელს უშლიდა მართლმადიდებელ მისიონერებს წარმატების მიღწევაში.

მეხუთე პარაგრაფში საუბარია მაჰმადიან აფხაზთა შორის დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებაზე, რომლის თანახმად გავლენიანი თავადის გარდაცვალებისას რამდენიმე ყმანვილს გლეხთა წრიდან გაანთავისუფლებდნენ ბატონყმური ვალდებულებებისგან და აღ-

საზრდელად თურქებს მიაბარებდნენ. შემდგომში მათი რიგებიდან გამოდიოდნენ მოღლები, რომელთაც გარდაცვლილი ბატონის სულის მოსახსენიებლად მაჰმადიანური წესით ლოცვა ევალებოდათ. ამ გზით ხდებოდა მოღლების გამრავლება აფხაზეთში და მაჰმადიანობის სულ უფრო ფართოდ გავრცელება. იგივე ხერხს აფხაზეთის ეპისკოპოსმა **გერონტიმაც (ჰაპიტაშვილი)** მიმართა. აფხაზ ყმანვილებს ის სამეგრელოს ეკლესია-მონასტრებში (ცაიშა და მარტვილში) აგზავნიდა. მათი რიგებიდან გამოდიოდნენ სასულიერო პირები, რომელთა მოვალეობას გარდაცვლილი ქრისტიანი ბატონის სულის მოსახსენიებელი მართლმადიდებლური წესით ლოცვა წარმოადგენდა. ამ მიზნით აღზრდილთაგან ყველაზე მეტად ცნობილია მღვდელი **იოანე გეგია**. ალექსანდრე ოქროპირიძე აღნიშნავს, რომ მან თავადაც მიმართა ამგვარ წესს და ერთი აფხაზი ყმანვილი ცაიშში მიავლინა სასულიერო განათლების მისაღებად.

ქრისტიანობის გავრცელებას, — წერს არქიმანდრიტი ალექსანდრე მეექვსე პარაგრაფში, — ხელს უშლიდა ყირიმის ომის პერიოდში ცალკეულ თავადთა მიერ ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე გადასვლა. ქრისტიანობისათვის ძალიან საზიანო იყო მაჰმადიან მამაკაცებზე მართლმადიდებლური აღმსარებლობის ქალიშვილების გათხოვებისა და ამ უკანასკნელთა მხრიდან სარწმუნოების შეცვლის ტრადიცია. ეს წეს-ჩვეულება „ძალიან საზიანოა აფხაზური ქრისტიანული სამყაროსათვის“, — აცხადებს არქიმანდრიტი ალექსანდრე „მოსაზრების“ მეშვიდე პარაგრაფში.

ბოლო, მერვე პარაგრაფში ავტორი აღნიშნავს, რომ „აფხაზური ქრისტიანული სამყაროსათვის ძალიან საზიანოა ასევე თავადაზნაურობის (შარვაშიძეთა გარდა) მასობრივი გამაჰმადიანება“. ეს ეხებოდათ მარშანიებს წებელდიდან და გუფიდან, ანჩაბაძეებს — ჭლოუდან, მარღანიებს — ანაკოფიიდან, ინალიფებს — ბიჭვინთიდან და ა. შ. მაჰმადიან აფხაზ თავადებს ჰყავდათ მოღლები; ქვეშევრდომებიც ბატონებს ბაძავდნენ.

დოკუმენტის დასკვნით ნაწილში არქიმანდრიტი ალექსანდრე უფალს შესთხოვს მფარველობას და დახმარებას. „საბრალო

აფხაზეთო! — წერს იგი დასასრულს, — კონსტანტინოპოლის მხრიდან, აგრეთვე ყირიმისა და ყარაჩაის მხრიდან, ზღვისა და ხმელეთის მხრიდან თურქეთმა შემუსრა შენი ზნეობრივი ნორმები და შენი ბედნიერების ვარსკვლავი ჩაქრა. ევედრე ზეცას, დაიკავი შენი ქრისტიანობა, რათა ისევ ამობრწყინდეს ბედნიერების ვარსკვლავი და კვლავ დაბრუნდეს შენი ოქროს ხანა.

საბრალო აფხაზეთო! თავად მიმართე ღმერთს მონოდებით, რომ მან შეგიწყალოს შენ და გიბოძოს თაყვანისცემისათვის თავისი მხსნელი ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელშიც შეგეძლო დაგენახა გადარჩენის საიდუმლო“ (დოკ.№ 65). ასე მოძღვრავს ალექსანდრე აფხაზეთს, რომელიც გულწრფელად შეიყვარა და რომლის ოქროს ხანის დაბრუნებაზე ოცნებობდა.

„მოსაზრების აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“ ძირითადი დებულებები უდევს საფუძვლად არქიმანდრიტ ალექსანდრეს მიერ აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის თაობაზე შედგენილ ანალიტიკური ხასიათის სხვა დოკუმენტებს, რომლებიც საერო და საეკლესიო მთავრობას ეგზავნებოდა.

1860 წლის 7 ივნისს პირველი რანგის კაპიტანმა **გრევემ** ალექსანდრეს სთხოვა გენერალ **ო. ი. ყორღანოვისთვის** (აფხაზეთის ჯარების უფროსი) მიეწოდებინა ინფორმაცია ყირიმის ომის შემდეგ აფხაზეთა შორის მაჰმადიანობის გავრცელების შესახებ. იმ დროისათვის გენერალს უკვე ჰქონდა საკუთარი მოსაზრებები აფხაზეთში სარწმუნოებრივი კუთხით არსებული ვითარების შესახებ. კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის **დ. ა. მილიუტინის** სახელზე 1860 წლის 3 თებერვალს გაგზავნილ წერილში ის აღნიშნავდა, რომ „აფხაზეთში ჩვენი მართლმადიდებლური ეპარქიის მოქმედება სრულიად პარალიზებულია“ (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881. Владелец Абхазии, т. 1, 2023 г., с. 20). ამ შემთხვევაში, როგორც კაპიტანი გრევე წერდა, გენერალ **ო. ი. ყორღანოვს** ანტერესებდა მონაცემები შემდეგ საკითხებზე: (1) ყირიმის ომის

შემდეგ ქრისტიანულად მონათლულთა რაოდენობა, მათ შორის საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნების ან თავადაზნაურთა მითითებით; (2) ომის შემდეგ მაჰადიანურად მოქცეულთა შესახებ, მათ შორის გამორჩეული პიროვნებების მითითებით; (3) მაჰადიანობის გავრცელებით დაკავებული მოღვწისა და ასევე მათ მიერ გახსნილი საოჯახო სკოლების რაოდენობის შესახებ; (4) აფხაზი ქრისტიანების მიერ რელიგიური და საეკლესიო წესების დაცვის შესახებ, განსაკუთრებით ქორწინებებთან მიმართებაში გამორჩეული, ამ მხრივ ცნობილი მაგალითების მითითებით (დოკ. № 66).

კაპიტან გრევეს წერილში მითითებულ ყველა საკითხზე არქიმანდრიტმა ალექსანდრემ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა გენერალ **ო. ი. ყორღანოვს** 1860 წლის 2 და 25 ივლისით დათარიღებულ ორ მოხსენებაში. პირველი მოხსენება ეხება აბჟუის (ოჩამჩირის) ოკრუგს (დოკ. № 68), მეორე – ბზიფის (გუდაუთის) ოკრუგს (დოკ. № 71). 1860 წლის 2 ივლისის მოხსენებაში, სხვათა შორის, ისიც არის აღნიშნული, რომ გუმისთისა და წებელის ოლქების მთელი მოსახლეობა მაჰადიანური აღმსარებლობისაა; რომ აღნიშნულ ოლქებში არ იყო და არც ამჟამად არის პირობები მისიონერული საქმიანობისთვის.

აფხაზეთის ჯარების უფროსისთვის ალექსანდრეს მიერ წარდგენილი მოხსენებები კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ, ასევე საეგზარქოსომ სახელმძღვანელოდ მიიღეს. მათი გათვალისწინებით გარკვეული ზომები გაატარა თავად გენერალმა **ო. ი. ყორღანოვმაც**, მოგვიანებით უკვე ეპისკოპოსის რანგში ალექსანდრე წერდა, რომ მცურავი საშუალებებით აფხაზეთის ნაპირებამდე დიდი რაოდენობით მოღწეულ მოღვწეს გენერალი **ო. ყორღანოვი** იქვე აკავებდა, გემებზე სვამდა და უკან ბათუმში აგზავნიდა, მკაცრად უკრძალავდა აფხაზეთში ოდესმე დაბრუნებას (დოკ. № 109).

გენერალმა **ო. ყორღანოვმა** არქიმანდრიტ ალექსანდრეს 1860 წლის 2 ივლისის მოხსენება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **გ. რ. ერისთავს** წარუდგინა. მის საფუძველზე

გენერალ-გუბერნატორმა შეადგინა საკუთარი მოხსენება აფხაზეთში ქრისტიანობის მდგომარეობისა და მისი აღდგენისთვის საჭირო ზომების შესახებ. 1860 წლის 23 ივლისს იგი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროს **დ. ა. მილოუტინს** წარუდგინა (დოკ. № 70). არქიმანდრიტ ალექსანდრეს მიერ ეგზარქოს **ევსევისთვის** (1858-1878) 1860 წლის 27 დეკემბერს შავად წარდგენილი მოხსენება (დოკ. № 73) მოწმობს, რომ მან ადრე შედგენილი ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტების (დოკ. №№ 65, 68, 71) საფუძველზე მოამზადა კიდევ ერთი მოხსენება აფხაზეთში ქრისტიანობის მდგომარეობის, მაჰმადიანობის აღმოფხვრისა და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ. წინამდებარე კრებულში ქვეყნდება მისი ასლი, რომელიც წარდგენილი იყო კავკასიის მთიელთა სამმართველოში (დოკ. № 72). არქიმანდრიტი ალექსანდრე თვითონ წერდა ეგზარქოსს, რომ მის მოხსენებებში წამოყენებული წინადადებები „თქვენს მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მეტნაკლებად სწორ შეხედულებას ჩამოუყალიბებენ როგორც, პირველ რიგში, აფხაზეთში ქრისტიანობის ამჟამინდელ სავალალო მდგომარეობაზე, ისე, მეორეც, იმაზე, როგორ შევიტანოთ და განვამტკიცოთ ქრისტიანობა აფხაზეთში“ (დოკ. №73).

თავისი შინაარსით უაღესად მნიშვნელოვანი მოხსენებების მომზადების გარდა, ალექსანდრე დაკავებული იყო ყოველდღიური საკითხების მოგვარებით ეპარქიაში, რომელსაც ფაქტობრივად მართავდა. 1860 წლის 22 ივნისს ეგზარქოს ევსევის მან წარუდგინა მოხსენება აფხაზეთში იმჟამად არსებული რვა სამრევლოს საჭიროებებისთვის ქართული წიგნების, ჭურჭლეულობის, შესამოსელის და ა. შ. შექმნის აუცილებლობის შესახებ (დოკ. № 67). ეგზარქოსმა ნებართვისთვის უწმინდეს სინოდს მიმართა. აფხაზეთის სამრევლოებისთვის საჭირო ნივთების შექმნის თაობაზე განკარგულება სინოდმა 1861 წლის 2 იანვარს გასცა. 1861 წლის 1 ივნისს არქიმანდრიტმა ალექსანდრემ ეგზარქოსს სხვადასხვა საეკლესიო ნივთების მიღების შესახებ აცნობა. ააცისა და ტამიშის ეკლესიებისთვის

ნაყიდი ზარები თბილისიდან ქუთაისში ეპისკოპოს **გაბრიელის (ქიქოძე)** სახელზე იყო გაგზავნილი შემდგომში აფხაზეთის ეპარქიაში მათი გადმოგზავნის თხოვნით (დოკ.№№ 74, 78).

1861 წლის 29 ივლისით არის დათარიღებული ტყვარჩელში დასასვენებლად მყოფი ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ ქართულ ენაზე გაკეთებული ჩანაწერები აფხაზეთისა და საქართველოს სხვა ისტორიული კუთხეების, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის საზღვრების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოსაზრებები და მოწოდებები ქართული ენის აღორძინების, ქართველთა საერთო ძალისხმევით მისი განვრცობისა და განმტკიცების აუცილებლობის შესახებ (დოკ. № 79). ამ ჩანაწერების საერთო სათაურია „**ჟუბაზგი — ამბავი**“. დოკუმენტის ბოლოში მიწერილია კვლავ აფხაზური სიტყვა — „**ააფსეით — დავილაღე**“.

ალექსანდრე ოქროპირიძის მიერ 1860-1861 წლებში შექმნილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ მათი ავტორი სრულად ფლობდა სიტუაციას აფხაზეთის ეპარქიაში და გააჩნდა მისიონერული საქმიანობის გაგრძელების მკაფიო გეგმა. იგი წარმოგვიდგება როგორც რუსეთის იმპერიის ბატონობის, ქართული სახელმწიფოსა და ავტოკეფალური ეკლესიის არარსებობის პირობებში მოვლენილი ახალი ტიპის განათლებული, გამოცდილი სასულიერო მოღვაწე, სამშობლოსა და მშობლიური ენის ბედზე დაფიქრებული ერისკაცი, რომელსაც თავისი საქმიანობით, მრწამსით წარსულსა და თანამედროვეობას შორის განყვეტილი კავშირის აღდგენა დაუსახავს მიზნად. ჩანს, რომ იგი მზად იყო ეკისრა მღვდელმთავრის მძიმე მისია საქართველოს ძირძველ კუთხეში — აწინდელ აფხაზეთში.

კავკასიელ მთიელებთან ომის პირობებში, რომლის დამთავრებას აფხაზეთის სამთავროს გაუქმება უნდა მოჰყოლოდა, უწმინდესი სინოდი არ ჩქარობდა აფხაზეთში ახალი მღვდელმთავრის დანიშვნას. იგი მხოლოდ იხილავდა ამ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატურებს. ესენი იყვნენ სინოდალური

კანტორის წევრი, ქვაბთახევის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი **ტარასი**, ხობის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი **ბესარიონი** და აფხაზეთის საეპისკოპოსო კათედრის არქიმანდრიტი ალექსანდრე (ოქროპირიძე). არჩევანი გაკეთდა ალექსანდრემ, რომლის ნამსახურობის ნუსხა (ფორმულიარი) უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებოდა. 1861 წლის 21 ნოემბერს ალექსანდრე ოქროპირიძე აფხაზეთის ეპისკოპოსად დაინიშნა, რის შესახებაც უწმინდესმა სინოდმა თავისი იმავე წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამოაცხადა. აფხაზეთის ახალი ეპისკოპოსის სახელდება მოხდა 1862 წ. 1 მარტს, აფხაზეთის ეპისკოპოსად კურთხევა კი თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში იმავე წლის 4 მარტს შესრულდა (დოკ. №№ 80-85). ეპისკოპოს ალექსანდრეს დანიშვნის შესახებ 1862 წლის 15 მარტს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** ეცნობა (დოკ. № 86). იმავე წლის 28 აპრილს აფხაზეთის ახლად-დანიშნული მღვდელმთავარი მარტვილში ეპისკოპოს **გერონტისთან** ჩავიდა, რომლისგანაც საქმეები გადმოიბარა. ამ პროცესის დასრულების შესახებ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 1862 წლის 30 სექტემბერს საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორას აცნობა (დოკ. №№ 87, 88).

XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისთვის კავკასიის რუსული ადმინისტრაციის წინაშე მწვავედ დადგა რელიგიური საკითხი. მთავრობამ ამ კუთხით გარკვეული ზომებიც მიიღო. ერთ-ერთი ასეთი ზომა იყო ოსური სასულიერო კომისიის გაუქმება. მეფისნაცვალ **ა. ბარიატინსკის** ინიციატივით შეიქმნა ახალი უფრო მძლავრი და მასობრივი მისიონერული ორგანიზაცია სახელწოდებით: კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოება. შესაბამის სიგელს მისი დაფუძნების შესახებ იმპერატორმა ხელი მოაწერა 1860 წლის 9 ივნისს. წესდების მიხედვით, ახალი საზოგადოება დედოფლის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა, მის თავმჯდომარედ თანამდებობრივად მეფისნაცვალი ხდებოდა, მოადგილედ - საქართველოს ეგზარქოსი.

კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სტრუქტურული ჩამოყალიბება 1862-1863 წლებში დასრულდა, როდესაც ეპისკოპოსი ალექსანდრე თავისი მღვდელმთავრული მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იმ დროისათვის აფხაზეთში 13 ეკლესია ფუნქციონირებდა. ახალმა საზოგადოებამ დაგეგმა კიდევ ორი ეკლესიის აშენება დურიფშა და ბაშკიტში. მან ასევე ყურადღება გაამახვილა აფხაზეთში სკოლების არარსებობაზე. 1864 წელს საზოგადოების რევიზორმა **ნ. ლოლობერიძემ**, მოიარა რა სამურზაყანო და აფხაზეთი, თავის ანგარიშში დაათვქსირა 10 სკოლა სამურზაყანოში, სადაც 268 ბავშვი სწავლობდა. იმავე ანგარიშის მიხედვით, აფხაზეთში არც ერთი სკოლა არ ფუნქციონირებდა. მიუხედავად ამისა, ტამიშის მღვდელი გიორგი ახვლედიანი ასწავლიდა ოთხ აფხაზს - **კესარია დადიანისა და ალექსანდრე (ალი-ბეი) შარვაშიძის** შვილიშვილებსა და ნათესავეს. „გარდა ამისა, - წერდა **ნ. ლოლობერიძე**, - კიდევ ვნახე სოხუმში ექვსი ახალგაზრდა აფხაზი, რომლებიც ყოვლადსამღვდლო ალექსანდრეს ხარჯებით სამეგრელოში ცაიშის მონასტერში საეკლესიო წიგნებს სწავლობდნენ“ (დოკ. № 96; **ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ.435).

ეპისკოპოს ალექსანდრეს წინაშე იდგა აფხაზეთში ქრისტიანობის შემდგომ გავრცელებასთან და აფხაზთა განათლებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები. აუცილებელი იყო ეკლესიებისა და მღვდელმსახურების მომრავლება, სასულიერო სასწავლებლისა და კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სკოლების გახსნა.

აფხაზეთის ახალი მღვდელმთავრის პირველ ნაბიჯებზე შეიძლება ვიმსჯელოთ მისი 1862 წლის ანგარიშის მიხედვით. ქრისტიანობის გავრცელების, ყირიმის ომის პერიოდში განდგომილთა მობრუნების საქმეში ხელშეწყობისთვის, უპირველეს ყოვლისა, მან აფხაზეთის მთავარს მიმართა. „მთავარი დაპირდა ყველაფერში ხელშეწყობას და დაუმტა:

არის იმედი, რომ აფხაზეთის ეპარქიაში საქმეები კარგად წავა. მთავარმა აფხაზეთის ბევრ ადგილას ხალხს გამოუცხადა, დატოვონ მაჰმადიანობა და მიიღონ ქრისტიანობა. ამასთანავე ამ მხრივ ჯერ არავითარი შედეგი არ არის“. ეპისკოპოსი ალექსანდრე ცდილობდა მისიონერულ საქმიანობაში სხვა წარჩინებულ პირთა ჩართვასაც. 1862 წლის განმავლობაში მან სამჯერ მოინახულა აფხაზეთის სამრევლოები, სადაც უფლის სიტყვა იქადაგა. ანგარიშში ნათქვამია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდების განათლებას. ეპისკოპოს ალექსანდრეს უკვე ჰყავდა აყვანილი ექვსი მოსწავლე, რომლებსაც საკუთარი ხარჯებით სასულიერო განათლებას აძლევდა. ბავშვებს ქართულ გალობას ასწავლიდა გურიიდან ჩამოყვანილი **ივანე (ნანო) ხავეთასი**, რომელსაც ხელფასს თავად უხდიდა (დოკ. № 90). სასწავლებელი, რომლის შესახებაც წერდა ეპისკოპოსი ალექსანდრე, 1862 წლის 25 ოქტომბერს მანვე გახსნა მთავრის მიერ ოჩამჩირეში მღვდელმთავრისთვის გამოყოფილ სახლში. სასწავლებელში 7 ბავშვი ირიცხებოდა (დოკ. № 89).

1862 წლის 7 აგვისტოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ეგზარქოსს მოახსენებდა იმის შესახებ, რომ არ მიდინარეობს ყირიმის ომის დროს დაზიანებული მღვდელმთავრის სახლის აღდგენა, ასევე ბიჭვინთის ტაძრის განახლება, რის გამოც აფხაზეთის ეპარქია კათედრისა და სასულიერო სასწავლებლის გარეშე რჩებოდა (დოკ. № 91). ამ პირობებში შეუძლებელი იყო სასურველი წარმატების მიღწევა სამისიონერო ასპარეზზე. 1863 წლის 15 აგვისტოს ეპისკოპოსი ალექსანდრე ეგზარქოსს ის წინაშე კატეგორიულად აყენებს საკითხს ბიჭვინთის ტაძრის აღდგენის დაჩქარების შესახებ. იგი წუხდა იმის გამო, რომ მღვდელმთავარს, საეპისკოპოსო კათედრას მისი დაფუძნებიდან 12 წლის შემდეგაც არ გააჩნდათ მუდმივი ადგილსამყოფელი. ასეთ ადგილსამყოფელად უნმინდესმა სინოდმა 1851 წლის 30 მაისს ბიჭვინთა დაადგინა. 15 აგვისტოს მოხსენებაში ეგზარქოსისადმი ეპისკოპოსი ალექსანდრე საუბრობდა ბიჭვინთის უპირატესობებზე, მის ისტორიულ მნიშვნელობაზე. ამასთანავე ის უშვებდა, მთავრობის

სურვილისამებრ, აფხაზეთის კათედრის ადგილსამყოფელის სხვაგან გადატანის შესაძლებლობას (დოკ. № 93).

ხელისუფლება, სამწუხაროდ, აჭიანურებდა ბიჭვინთაში საეპარქიო კათედრის გადაყვანას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსმა 1864 წლის 28 იანვარს კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების კომიტეტს მიმართა, გააცნო მას აფხაზეთის ეპისკოპოსის 1863 წლის 15 აგვისტოს მოხსენების (დოკ. № 93) შინაარსი; ეგზარქოსმა საზოგადოების კომიტეტს შეახსენა, რომ ჯერ კიდევ 1860 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით შედგა ბიჭვინთის ტაძრის განახლების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც კავკასიის არმიის სამხედრო ინჟინერთა უფროსს გადაეგზავნა (დოკ. № 95). საჭირო იყო ამ მიზნით 2 ათასამდე მანეთის გამოყოფა. შესაბამისი თხოვნა მეფისნაცვალს **მიხეილ რომანოვს** (იმპერატორ **ალექსანდრე II**-ის ძმა) ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა წარუდგინა. მეფისნაცვალმა 1863 წლის სექტემბერში პირადად დაათვალიერა ბიჭვინთის ტაძარი. იმავე წლის დეკემბერში მისმა კანცელარიამ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს უპასუხა, რომ ბიჭვინთის ტაძარი თავისი მნიშვნელობით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და უნდა იყოს მიღებული ყველა ზომა ბევრი თვალსაზრისით ამ შესანიშნავი ძეგლის შენარჩუნებისთვის (**ჯემალ გამახარია**, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 438).

ამრიგად, მეფისნაცვალმა ფაქტობრივად უარი თქვა ბიჭვინთის განახლებაზე, შესაბამისად, სამღვდელმთავრო კათედრის იქ განთავსებაზე; ამასთანავე კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების სახსრებიდან მან 2 ათასი მანეთი გამოყო ტაძრის სახურავის შესაკეთებლად. აღნიშნული თანხა ბიჭვინთაში განთავსებული ასეულის მეთაურს მაიორ **ვორონოვს** გადაეცა. გამოყოფილ 2 ათასს მანეთს ღრმად მორწმუნე მაიორმა საკუთარი 1746 მანეთი დაუმატა და ტაძრის განახლებასაც შეუდგა, მაგრამ არა მისი აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრისთვის გადაცემის მიზნით.

1863 წლის 8 აგვისტოთი თარიღდება ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ შედგენილი „აფხაზეთის ეპარქიის სტატისტიკური აღწერა“ (დოკ. № 92). იგი რამდენიმე პარაგრაფისაგან შედგება. პირველ პარაგრაფში ავტორი საქართველოს, მათ შორის სამეგრელო-აფხაზეთის რუსეთთან შეერთების ისტორიას მოკლედ მიმოიხილავს. შემდგომ პარაგრაფებში მოცემულია აფხაზეთის აღწერა, ამასთან განხილულია შემდეგი საკითხები: „ფართობი და მოსახლეობა“, „ადგილი და ნიდაგი“, „კლიმატი“, „ტყეები“, „ცხოველები“, „მცენარეულობა“, „მინერალები“, „მინათმოქმედება“, „ხელოვნური რწყვა“, „მეცხოველეობა“, „მებაღეობა“, „მელვინეობა“. მელვინეობის შესახებ ცნობები მოტანილი არ არის (იხ. კომენტ. 89ა).

„აფხაზეთის ეპარქიის სტატისტიკური აღწერა“ შესანიშნავი პირველწყაროა XIX საუკუნის შუახანებში რეგიონის მოსახლეობისა და ფიზიკურ-ბუნებრივი პირობების შესწავლისათვის. უცნობია, რა მიზანს ისახავდა ეპისკოპოსი ალექსანდრე, როცა აღნიშნულ დოკუმენტს ადგენდა. შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვათ ამასთან დაკავშირებით. მღვდელმთავარი ხედავდა, რომ აფხაზ ხალხში ქრისტიანობის გავრცელებას და განმტკიცებას, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უშლიდა მოსახლეობის საერთო ჩამორჩენილობა. მისი დაძლევა კი მხარის ეკონომიკური დანინაურების გარეშე შეუძლებელი იყო, ვინაიდან „ნეტარება“ ადამიანებისა „დამოკიდებულია მათი ცხოვრების პირობებზე“ (დოკ. № 65 — შესავალი). ვფიქრობთ, საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორაში წარდგენილი „აფხაზეთის ეპარქიის სტატისტიკური აღწერით“ ეპისკოპოსი ალექსანდრე ცდილობდა სასულიერო ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას აფხაზეთის ჩამორჩენილობაზე, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, ამ შესაძლებლობების გამოყენების აუცილებლობაზე და ა. შ.

აფხაზეთის ეპარქიის, მოსახლეობის საჭიროებებისთვის ხელისუფალთა მხრიდან ყურადღების მიპყრობის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. 1864 წლისთვის ცხადი გახდა, რომ რუსეთ-კავკასიის

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. რუსეთი სასტიკად გაუსწორდა ჩრდილოკავკასიელ ხალხებს. დარჩენილი იყო მხოლოდ ბოლო ბრძოლები დასავლეთ კავკასიაში აფხაზეთის საზღვრებთან ახლოს, რომელთა შედეგიც წინასწარ იყო ცნობილი. ერთდროულად მიმდინარეობდა აქტიური მზადება აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისთვის. ჩრდილოკავკასიელთა დამორჩილების შემდეგ მისი არსებობა რუსეთს არაფერში სჭირდებოდა. ამ ვითარებაში აფხაზეთის ეპარქიის წინაშე მდგარმა პრობლემებმა დროებით უკანა პლანზე გადაინაცვლეს.

ათწლეულების მანძილზე მიმდინარე რუსეთ-კავკასიის ომი 1864 წლის 21 მაისს კბაადაში (კრასნაია პოლიანა) ჩატარებული გამარჯვების აღლუმით დასრულდა. მასში **მიხეილ შარვაშიძე** თავის აფხაზურ მილიციასთან ერთად მონაწილეობდა. გამარჯვების აღლუმის დღისთვის პრაქტიკულად გადანყვეტილი იყო აფხაზეთის სამთავროსა და მთავრის ბედიც. იმ დროისათვის პეტერბურგში უკვე იყო მიღებული პრინციპული გადაწყვეტილება სამთავროს გაუქმებისა და უშუალო რუსული მმართველობის შემოღების შესახებ. პროცესის დაჩქარების მიზნით, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ გამოიყენა **მიხეილ შარვაშიძის** მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** სახელზე 1864 წლის 26 მარტს გაგზავნილი წერილი ჯანმრთელობის გაუარესების გამო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владелец Абхазии, 2023г., с. 27).

აღნიშნული წერილის შინაარსი დაუყოვნებლივ გადაეგზავნა მეფისნაცვალს და კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს. გადადგომის სურვილი **მიხეილ შარვაშიძემ** პირადად დაუდასტურა მეფისნაცვალ **მ. რომანოვს**. არსებული დოკუმენტების მიხედვით, იგი უარს კი არ ამბობდა სამთავრო უფლებებზე, არამედ ითხოვდა გადადგომის ნებართვას და თანამმართველად მემკვიდრის დანიშვნას. რუსულ ადმინისტრაციას ამ დროს სულ სხვა მიზნები ჰქონდა. **მიხ. რომანოვის** 1864 წლის 27 მარტის წერილში სამხედრო მინისტრის **დ. ა. მილიუტინის** სახელზე ამ სა-

კითხთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ მან არ დააკმაყოფილა **მიხეილ შარვაშიძის** თხოვნა მისი ვაჟიშვილის **გიორგი შარვაშიძის** თანამმართველად დანიშვნის შესახებ, რაც იმპერატორის პრეროგატივას წარმოადგენდა. გარდა ამისა, - წერდა მეფისნაცვალი, - **გიორგი**, რომელსაც მრავალი პიროვნული ღირსება გაჩნდა, არც ასაკით, არც ხასიათით და არც აღზრდით სულაც არ იყო მომზადებული ისეთი ხალხის მმართველის მოვალეობის შესასრულებლად, რომელსაც სჭირდებოდა ძლიერი ხელი და საკუთარი ყოფის ძირეული გარდაქმნა (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владетель Абхазии, 2023г., с. 28-29, 40).

დ. მილიუტინისადმი 1864 წლის 27 მარტს გაგზავნილ წერილს **მ. რომანოვმა** დაურთო საკუთარი მოსაზრება „აფხაზეთში მდგომარეობის შესახებ“. მასში დასმულია საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და ძალაუფლებისაგან მთავრის ჩამოშორების შესახებ (**Джемал Гамахария, Бадри Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тбилиси, 1997, с. 329-333; Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владетель Абхазии, 2023г., с. 29-31). 1864 წლის 1 მაისს სამხედრო მინისტრმა **დ. ა. მილიუტინმა** მეფისნაცვალს კავკასიაში **მ. რომანოვს** აცნობა, რომ იმპერატორი დაეთანხმა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების, მთავრის (შთამომავლობასთან ერთად) გადაყენებისა და რუსული მმართველობის შემოღების წინადადებას (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владетель Абхазии, 2023г., с. 31).

იმპერატორის აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ მიხეილ შარვაშიძეს 1864 წლის 24 მაისს ეცნობა. იმავე დღეს მეფისნაცვალმა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს **დ. სვიატოპოლკ-მირსკის** დაავალა აფხაზეთში რუსული მმართველობის დაუყოვნებლივ შემოღება. მეფისნაცვლის დავალების შესრულებლად გენერალ-გუბერნატორი 29 ივნისს სოხუმში ჩავიდა. ავადმყოფი **მიხეილ შარვაშიძე** ამ დროს ტყვარჩელაში იმყოფებოდა და ამის გამო ძალაუფლების

გადასაბარებლად სოხუმში ჩამოსვლა ვერ შესძლო. რუსული ადმინისტრაცია მთავრისგან მოითხოვდა არა მხოლოდ ძალაუფლების გადაბარებას, არამედ აფხაზეთის დატოვებასაც. **მიხეილ შარვაშიძის** ავადმყოფობის ფაქტი დაადსტურა მასთან ერთად ტყვარჩელში მყოფმა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ.

1864 წლის 6 ივლისს **მიხეილ შარვაშიძემ** აფხაზებს გამოუცხადა თანამდებობიდან მისი დათხოვნის შესახებ, ხოლო 12 ივლისს სოხუმში მიავლინა აფხაზეთის სამივე ოკრუგის საპატიო წარმომადგენლები და მამასახლისები დ. **სვიატოპოლკ-მირსკისთან** შესახვედრად და უშუალოდ მისგან მითითებების მისაღებად. სოხუმში გამართული შეხვედრის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იმავე დღეს, 12 ივლისს, კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს **ა. პ. კარცოვს** წერდა, რომ აფხაზთა წარმომადგენლებს მან განუმარტა განხორციელებული ცვლილებების საფუძვლები; ასევე აცნობა, რომ ამიერიდან ისინი უნდა დაემორჩილონ იმპერატორის მიერ დანიშნულ უფროსობას. ამრიგად, - წერდა **დ. სვიატოპოლკ-მირსკი**, - აფხაზეთში მმართველობის შეცვლის მიზანი მიღწეულია ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владелец Абхазии, 2023г., с. 58). ამიერიდან, ანუ 1864 წლის 12 ივლისიდან აფხაზეთს რუსი გენერლები და ოფიცრები განაგებდნენ. მის პირველ მმართველად გენერალი **პ. შატილოვი** დაინიშნა (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 1. Владелец Абхазии, с. 58).

გადაყენების შემდეგ რუსული ადმინისტრაცია **მიხეილ შარვაშიძისგან** აფხაზეთის დაუყოვნებლივ დატოვებას მოითხოვდა. ყოფილი მთავარი ავადმყოფობის მომიზეზებით ცდილობდა დროის გაჭიანურებას. რუსულმა ადმინისტრაციამ იგი სახელმწიფო ლალატში (თურქეთში გადასახლების სურვილში) დაადანაშაულა და 1864 წლის 4 ნოემბერს ფაქტობრივად დააპატიმრა. იმავე წლის 7 ნოემბერს გემით ნოვოროსიისკში გაამგზავრეს. იქიდან მალევე, 26 ნოემბერს,

სტავროპოლში გადაიყვანეს, სადაც ნახევარი წელი იმყოფებოდა. 1865 წლის 25 მაისს **მიხეილ შარვაშიძე** ვორონეჟში გადასახლეს (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владелец Абхазии, 2023г., с. 60-62, 69-71, 101).

ეპისკოპოსი ალექსანდრე და ქართული სამღვდელთა სხვა წარმომადგენლები აღმოჩნდნენ **მიხეილ შარვაშიძის** გადაყენების, დაპატიმრებისა და გადასახლების თითქმის ორთვიანი დამამცირებელი პროცესის უშუალო მოწმენი. აფხაზეთში ყოფნის ბოლო თვეებში და კვირეებში, კერძოდ, ოჩამჩირესა და ტყვარჩელში, მის გვერდით მუდმივად იმყოფებოდნენ სასულიერო პირები, მათ შორის ეპისკოპოსი ალექსანდრე, მთავრის სულიერი მოძღვარი, მღვდელმონაზონი **ბესარიონ მიქაბერიძე**, მთავარდიაკონი იოანე თვალთვაძე და იოსებ ტიტვინიძე, მედავითნე გრიგოლ კასრაძე და ალექსი ტიტვინიძე (ჭემალ გამახარია. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 449). გადასახლებაშიც **მიხეილ შარვაშიძე** ეკლესიურ ცხოვრებას ეწეოდა. მისი თხოვნით და ხელისუფალთა ნებართვით 1865 წლის ივნისში მასთან ვორონეჟში მღვდელმონაზონი **ბესარიონ მიქაბერიძე** ჩავიდა. (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1864, т. 1. Владелец Абхазии, 2023г., с. 95, 112). 1866 წლის 16 აპრილს **მიხეილ შარვაშიძე** გადასახლებაში გარდაიყვალა (Очерки из истории Грузии. Абхазия. Тб., 2009, с. 405).

რუსულ ადმინისტრაციას აფხაზეთიდან ეპისკოპოს ალექსანდრეს განვევაც სურდა, როგორც **მიხეილ შარვაშიძესთან** დაახლოებული და აფხაზთა შორის დიდი ავტორიტეტის მქონე პირის. ვფიქრობთ, ამ მიზნით უნდა ყოფილიყო ინსპირირებული მღვდელმთავრის წინააღმდეგ აფხაზეთის სამღვდელთა ბის „საჩივარი“ კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების სახელზე (1865 წ. 20 მაისი). დოკუმენტს ხელს აწერდნენ აფხაზეთის კათედრის მღვდელმონაზონი **ბესარიონი (მიქაბერიძე)**, მღვდლები: ტამიშის — **გიორგი ახვლედიანი**, ეშკეტის — **გიორგი ჭარაია**, მოქვის — **სპირიდონ ჩხიკვაძე**, კვიტოულის — **იულონ თოფურია**, ილორის — **ზოსიმე ხელაია**,

ათარის — ანტონ გრიგოლია, შუანყლის — გიორგი გეგეჭკორი, ააცის — მიხეილ სახოკია, ლიხნის — იოანე გეგია, ღურიფშის — იოანე თვალთვაძე, ბალიქითას — თადეოზ სარსანი, ფოქეშის — ისაია საჯაია. საჩივარი სინოდალურ კანტორას გადაეგზავნა, რომელმაც 1865 წ. 15 სექტემბერს ეპისკოპოსს ალექსანდრესაგან „სათანადო ახსნა-განმარტება“ მოითხოვა. გაირკვა, რომ „საჩივარი“ შეუდგენიათ და მღვდლებისთვის მოტყუებით ხელი მოუწერინებიათ იღუმენ გრიგოლს (დადიანი), ბესარიონ მიქაბერიძეს, გიორგი ახვლედიანს, იულონ თოფურიას და ანტონ გრიგოლიას. დანარჩენმა ცხრა მღვდელმა დაადასტურა, რომ მათ არ იცოდნენ რას აწერდნენ ხელს, რომ შეცდომაში არიან შეყვანილი, ეპისკოპოსს ალექსანდრესთან კი არავითარი პრეტენზია არა აქვთ; რომ, პირიქით, იგი ყველანაირად ხელს უწყობდა მათ ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და ა. შ. (ცსია, ფ. 489, აღწ. 1, ს. 64847, ფ. 1-9). ეპისკოპოსს ალექსანდრეს აფხაზეთიდან განვევის გეგმა 1865 წელს ჩავარდა, თუმცა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

რუსული მმართველობის შემოღებით აფხაზეთის სამთავრომ როგორც ცალკე პოლიტიკურმა ერთეულმა არსებობა შეწყვიტა. იგი სოხუმის სამხედრო განყოფილებად გარდაიქმნა და ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა. თავის მხრივ, განყოფილება შედგებოდა რუსი ოფიცრების მმართველობის ქვეშ მყოფი ბზიფის, სოხუმისა და აბჟუის ოკრუგებისაგან. სოხუმის სამხედრო განყოფილების შემადგენლობაში შედიოდნენ სამურზაყანოსა და წებელის საბოქაულოები, რომლებსაც ასევე რუსი ოფიცრები განაგებდნენ.

ქართველ მისიონერებს ეპისკოპოსს ალექსანდრეს ხელმძღვანელობით, საქმიანობა უხდებოდათ ისეთ რთულ პირობებში, როდესაც აწინდელ სოხუმის სამხედრო განყოფილებაში რადიკალური ცვლილებებისა და საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული აფხაზი ხალხის ყოფაცხოვრების ძირეული გარდაქმნის მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა. აფხაზეთის ეპისკოპოსის გვერდით იღწვოდნენ მღვდელმონაზონი

ბესარიონ მიქაბერიძე, 1858 წლიდან ბიჭვინთის, ხოლო 1859 წლიდან აბჟუის ოკრუგების კეთილმონღესე (ბლალოჩინი), 1862 წლიდან კი სამღვდელმთავრო კათედრის ილუმენი; **გრიგოლ დადიანი** (ერისკაცობაში გიორგი ელიზბარის ძე დადიანი) - გენერალ **გრიგოლ შარვაშიძის** ცოლისძმა (1886 წლიდან გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი, 1898 წლიდან მოსკოვის სინოდალური კანტორის წევრი, პენსიაზე გასვლის შემდეგ ცხოვრობდა გელათისა და ჭყონდიდის მონასტრებში). 1865 წელს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ **გრიგოლ დადიანის** დახმარებით 65 აფხაზი მონათლა. იმ პერიოდში გამოჩნდნენ აფხაზი სასულიერო პირებიც, მათ შორის პირველი აფხაზი მღვდელი **იოანე გეგია**, ასევე **იოანე არგუნი და პეტრე ფილია**. აფხაზეთში სხვა ღირსეული მღვდლებიც მოღვაწეობდნენ, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აფხაზთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში.

სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსად 1865 წლის მაისში **ვ. მ. კონიარი** დაინიშნა. მალევე მან მოხსენება წარუდგინა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** აფხაზეთის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 1865 წელს ბზიფის ოკრუგის დაბალ ფენებში 2907 ქრისტიანი და 15853 მაჰმადიანი ირიცხებოდა. იმავე წელს წებელში არ იყო არც ერთი ქრისტიანი, სამურზაყანოში კი, 23 მაჰმადიანის გარდა, მთელი მოსახლეობა ქრისტიანულ სარწმუნოებას აღიარებდა (Документы по истории Грузии. Под ред. Проф. Ш. К. Чхетия. Серия II, т. 1, ч. 1. Тб., 1954, с. 503, 505, 510-513; სცსია, ფ. 416, ანან. 3, ს. 1255, ფ. 40). **ვ. მ. კონიარი** 1866 წლის 5 თებერვალს იმავე **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** აცნობებდა, რომ აფხაზმა თავადმა დალიდან **ალმასხიტ მარშანია** მას გამოუცხადა ქრისტიანულად მონათვლის სურვილის შესახებ (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.17). მალე ის მეფისნაცვლის **მიხ. რომანოვის** სახელზე თბილისში ეგზარქოსის ჯვრის ეკლესიაში მოინათლა (დოკ. №

109). შემდგომში **ალმასხიტ მარშანია** ჯგერდამი დასახლდა და გარკვეული როლი შეასრულა ქრისტიანობის გავრცელებაში.

აფხაზეთში არსებული ობიექტური ხასიათის დაბრკოლებების მიუხედავად, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 1866 წლის მაისში შეიმუშავა პროექტი აფხაზეთში ქრისტიანობის უფრო შეუპოვრად და წარმატებით გავრცელებისთვის აუცილებელი ზომებისა და ხერხის შესახებ. პროექტი ითვალისწინებდა ბიჭვინთის საკათედრო ტაძრის კურთხევის დაჩქარებას და იქვე სასულიერო სასწავლებლის გახსნას; კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მომავალ სკოლებში სემინარია დამთავრებული სასულიერო პირების მოზიდვას; მღვდლების მიერ აფხაზური ენის შესწავლას; მათთვის ანაზღაურების გაზრდას; ეპისკოპოსისთვის სათანადო პირობების შექმნას და ა. შ. (დოკ. № 98).

აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების პერმანენტული გამწვავება, სამწუხაროდ, ხელს უშლიდა ეპისკოპოს ალექსანდრეს გეგმების განხორციელებას. სამთავროს გაუქმებამ, მთავრის გადასახლება და გადასახლებაშივე მისმა გარდაცვალებამ, კოლონიზატორულმა პოლიტიკამ, აფხაზეთის სოციალური და საზოგადოებრივი წყობის გათვალისწინების გარეშე საგლეხო რეფორმის მომზადებამ მოსახლეობის მასობრივი უკმაყოფილება გამოიწვია. 1866 წლის 26 ივლისს ლიხნში შეკრებილმა აჯანყებულმა აფხაზებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი **ვ. მ. კონიარი**. მთავრობამ სასტიკად ჩაახშო აჯანყება და აჯანყებულები მკაცრად დასაჯა. უნდა აღინიშნოს, რომ ახლადმონათლული **ალმასხიტ მარშანია** იმ დღეებში თავისი რაზმით ეხმარებოდა რუს ჯარისკაცებს ნებელში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 450).

1866 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ აფხაზეთში აღმინისტრაციული რეფორმა განხორციელდა. 1866 წლის 11 აგვისტოს დამტკიცებული დებულების მიხედვით, სოხუმის სამხედრო გან-

ყოფილება გაიყო ბიჭვინთის, დრანდის, წებელისა და ოქუშის ოკრუგებად. ქალაქი სოხუმი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა (Очерки по истории Грузии. Абхазия, с.407).

აფხაზთა 1866 წლის აჯანყების სასტიკი მეთოდებით ჩახშობას ჰქონდა ტრაგიკული გავრძელება. 1867 წელს რუსულმა ადმინისტრაციამ მოახდინა მისი აზრით „არასაიმედო“ მაჰმადიან აფხაზთა ოსმალეთში მასობრივი გადასახლების (მუჰაჯირობა) პროვოცირება და ორგანიზება. უნდა აღინიშნოს, რომ მუჰაჯირობა აფხაზთა აჯანყებამდეც მზადდებოდა. შესაბამისი მითითება ამის თაობაზე მეფინაცვალმა **მ. რომანოვმა** ჯერ კიდევ 1866 წლის თებერვალში გასცა. კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსი **ა. პ. კარაცოვი** თავის 1866 წლის 28 თებერვლის წერილში ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისადმი მეფისნაცვლის პოზიციაზე მითითებით აღნიშნავს, რომ რადგანაც აფხაზეთის მოსახლეობა ჩვენდამი მტრულადაა განწყობილი და ძნელია ქრისტიანულ ცივილიზაციასთან მისი ზიარება, უნდა მივიღოთ ყველა ზომა აფხაზურ მოსახლეობაში მაჰმადიანური ელემენტის შესაძლო დასუსტებისთვის ან სრული განადგურებისთვის; საჭიროა, რომ აღნიშნული მიზნისკენ ვიაროთ თანდათანობით (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.18). 1866 წლის 27 ივლისით დათარიღებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ გავრელებს დიდი ხანია სურთ გადასახლება თურქეთში, სადაც მათი ნათესავები ცხოვრობენ (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.19). ნათესავებში, რა თქმა უნდა, კავკასიაში ომის დასრულების შემდეგ 1864 წელს გადასახლებული მეზობელი ტომები იგულისხმებიან. მოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ოსმალეთში აფხაზთა გადასახლების გეგმა 1866 წლის აჯანყებამდეც არსებობდა.

ოსმალეთში აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება 1867 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა. **მის. რომანოვის** 1867 წლის 4 აპრილის წერილში **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკისადმი** განსაზღვრულია გადასახლების მთავარი მიზანი. მისი აზრით, უნდა მომხდარიყო „ჩვენი საზღვრებიდან“ რუსეთისადმი

მტრულად განწყობილი მოსახლეობის განდევნა, რომელიც საგარეო პოლიტიკური შეტაკებებისას არ იძლევიან ერთგულებისა და სიმშვიდის საკმარის გარანტიას. პირველ რიგში, - წერდა მეფისნაცვალის, - საჭირო იყო გადამწყვეტი ზომების მიღება წებელისა და დალის მკვიდრთა, ასევე აფხაზეთის მთიან ადგილებში მცხოვრებ მაჰმადიანთა გადასახლებისთვის, რომლებიც ნაკლებად არიან მიდრეკილები, დაექვემდებარონ სამოქალაქო ცხოვრების წესებს. შემდეგ მოდის გადასახლების პროცესის ორგანიზაციის 12 პუნქტიანი ინსტრუქცია. მეორე პუნქტში ნათქვამია, რომ თურქეთის მთავრობასთან შეთანხმებით, გადასახლებულთა საერთო რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო 4 ათას ოჯახზე მეტი; მესამე პუნქტის მიხედვით, იკძალებოდა ქრისტიანთა გადასახლება; უფრო მეტიც, გადასახლება არ შეეხებოდა იმათაც, ვინც მონათვლის სურვილს გამოხატავდა (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.45-46). ქრისტიანი აფხაზებისადმი ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსს, გადასახლების პროცესის უშუალო ხელმძღვანელს **მ. ნ. ტოლსტოისაც** (ფედმარშალ მ. ი. კუტუზოვის შვილთაშვილი), ასევე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის**. „მე მიმაჩნია, - წერდა იგი კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსს **ა. პ. კარცოვს** 1867 წლის 1 აპრილს, - რომ ქრისტიანებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს თურქეთში გადასახლების უფლება“ (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.43).

ოსმალეთში აფხაზთა პირველი მასობრივი გადასახლება - ანუ მუჰაჯირობა 1867 წლის 3 ივნისს დასრულდა. იმავე წლის 22 ივნისს **მ. ტოლსტოიმ** კავკასიის მთიელთა სამმართველოში წარადგინა საბოლოო მონაცემები აფხაზთა გადასახლების შესახებ. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, ბიჭვინთის ოკრუგიდან გაასახლეს 226 ოჯახი (1367 სული), დრანდის ოკრუგიდან - 629 ოჯახი (3245 სული), წებელიდან - 2503 ოჯახი (14740 სული). მთლიანობაში აფხაზეთიდან გაასახლეს 3358

ოჯახი ანუ 19342 სული (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с.88).

მოტანილ ცნობებში, როგორც სარკვეში აისახა აფხაზეთის ეთნიკური და რელიგიური რუკა, ასევე ეპისკოპოს ალექსანდრესა და სხვა ქართველი მისიონერების მრავალწლიანი შრომის შედეგები. ისინი მონშობენ, რომ რომ ოქუმის ოკრუგიდან (სამურზაყანო), რომელიც ძირითადად ქართული ქრისტიანული მოსახლეობისაგან შედგებოდა, თურქეთში არავინ გადასახლებულა. მუჰაჯირები არ ჩანან ქალაქ სოხუმიდანაც, რომლის 820 მუდმივი მოსახლიდან ქრისტიანები 770 სულს შეადგენდნენ. მუდმივი მოსახლეობისა და ქრისტიანთა უმრავლესობა ქართველები იყვნენ - 450 სული; ქალაქში ცხოვრობდა ასევე 217 ბერძენი, 78 სომეხი, 25 აფხაზი, 25 რუსი და 25 თურქი (Документы по истории Грузии. Под ред. проф. Ш. К. Чхетия. Серия II, т. 1, ч. 1, с. 76-77, 79).

მუჰაჯირობის შედეგები გვიჩვენებენ, რომ სრულად დაიკალა მთლიანად მაჰმადიანი აფხაზებისაგან შემდგარი წებელი; იქ ქართველმა მისიონერებმა ვერ შეაღწიეს, როგორც ამის შესახებ 1860 წელს წერდა ჯერ კიდევ არქიმანდრიტის ხარისხის მქონე ალექსანდრე (დოკ. № 68). წებელის შემდეგ ყველაზე მეტი აფხაზი უპირატესად მაჰმადიანებით დასახლებული დრანდის ოკრუგიდან გადასახლდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მუჰაჯირთა შედარებით მცირე რაოდენობა ბიჭვინთის ოკრუგიდან, სადაც ასევე დიდად ჭარბობდა მაჰმადიანური მოსახლეობა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოკრუგს უფრო დიდი ტრავმადია მისმა მაშინდელმა უფროსმა **დიმიტრი ჭავჭავაძემ** და ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ააცილეს. როგორც საარქივო დოკუმენტები მონშობენ, ოკრუგის უფროსმა, რომელიც მოსახლეობის მხრიდან ნდობით სარგებლობდა, ბევრ აფხაზს ათქმევინა უარი ოსმალეთში გადასახლებაზე. იცოდა რა მეფისნაცვლისა და რუსული ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლების პოზიციის შესახებ ქრისტიანების, ასევე გაქრისტიანების მსურველთა

მიმართ, **დიმიტრი ჭავჭავაძემ** გადაწყვიტა რაც შეიძლება მეტი აფხაზის მონათვლა. მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი მუჰაჯირის მძიმე ხვედრის თავიდან აცილება. სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი **მ. ტოლსტოი** ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს 1867 წლის 25 მარტს წერდა, რომ ბიჭვინთის ოკრუგში 22 დეკემბრიდან 1 მარტამდე 800 ადამიანი უკვე მონათლა და ეს პროცესი გრძელდება (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 2. Махаджирство, 2023, с. 45). ეპისკოპოს ალექსანდრეს მხარდაჭერით, **დიმიტრი ჭავჭავაძემ** სულ 2867 აფხაზი მონათლა და ამით ათასობით ადამიანი მუჰაჯირობისაგან იხსნა (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 453; იხ, ასევე კომენტ. 107). აქვე უნდა ითქვას, რომ ბიჭვინთის ოკრუგის მოსახლეობა ქრისტიანობის მიღებისას ხელმძღვანელობდა არა იმდენად რელიგიური, არამედ უფრო პოლიტიკური მოსაზრებებით. ამის შესახებ სამართლიანად წერდა სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი **გენერალი ვ. გვიმანი** და მას ამაში ეთანხმებოდა ეპისკოპოსი ალექსანდრე (დოკ. №№ 108, 109).

მიუხედავად ამისა, ბიჭვინთის ოკრუგის მკვიდრნი უსაზღვრო მადლიერებას გამოხატავდნენ თავისი უფროსის მიმართ. აფხაზური თავადაზნაურობის 30 წარმომადგენლის ხელმოწერით 1868 წლის ნოემბერში სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროს **ვ. გვიმანისთვის** წარდგენილ თხოვნაში აღნიშნულია **დ. ჭავჭავაძის** დიდი დამსახურება ოკრუგის მოსახლეობის წინაშე. როცა დაიწყო თურქეთში გადასახლება, - ნათქვამია დოკუმენტში, - ოკრუგის უფროსმა სრული აკრძალვა გამოაცხადა; მოსახლეობას განუმარტავდა, რომ ბევრად უკეთესია ცხოვრება ციმბირში, ვიდრე თურქეთში. აფხაზური თავადაზნაურობის წარმომადგენლები **ვ. გვიმანს** სთხოვდნენ მთელი მოსახლეობის ნდობით აღჭურვილი **დიმიტრი ჭავჭავაძის** კიდევ ორი წლით - საგლეხო რეფორმის გატარებამდე ოკრუგის უფროსად დატოვებას, რადგანაც, მათი აზრით, ის „ყველაზე კარგად იცნობს ჩვენს მდგომარეობას“ და „კარგად მართავს ჩვენს არაკეთილ-

გონიერ ხალხს“. თხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აფხაზები აპირებდნენ აღნიშნულ საკითხზე მეფისნაცვლისადმი მიმართვას (Архивные документы по истории Абхазии. 1863-1881, т. 3. Махаджирство, 2023, с. 7-8). აფხაზური საზოგადოების წარმომადგენელთა თხოვნა ვ. გეიმანმა არ დააკმაყოფილა.

შეიძლება ითქვას, რომ მუჰაჯირობის მასშტაბები ამა თუ იმ ოკრუგში პირდაპირ იყო დამოკიდებული ქართველი მისიონერების წარმატებებზე თუ წარუმატებლობაზე. მისიონერთა გარეშე დარჩენილი წებელის, დალის ხეობის, ფსხუს და მთიელი საზოგადოებების მოსახლეობა მთლიანად თურქეთში გადასახლდა. სხვა ოკრუგებში, სადაც ქართველი მისიონერების ძალისხმევით ეკლესიები ფუნქციონირებდნენ, მუჰაჯირობის შედეგები ნაკლებად კატასტროფული აღმოჩნდა.

ცხადია, ყოველივე ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ეპისკოპოს ალექსანდრეს და ქართული სამღვდელთა სხვა წარმომადგენლებს. **ამბროსი ხელაიას** სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ უბედურ დროს, როცა აფხაზთათვის ყველა ქრისტიანის სახელის მატარებელი საზიზღარი იყო, მხოლოდ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს ჰქონდა აფხაზებთან კავშირი, მხოლოდ მას უზიარებდნენ თავიანთ ჭირ-ვარამს, მას ენდობოდნენ“ (დოკ. №145). **ამბროსი ხელაიას** მოჰყავს თავისი სიტყვების დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითი: მუჰაჯირობის დღეებში ეპისკოპოს ალექსანდრეს 12 წლის შვილთან ერთად ეახლა მაჰმადიანი აფხაზი სახელად **ურუსი**, რომელსაც თურქეთში გადასახლება გადაუწყვეტია; **ურუსს** მეუღლე და დანარჩენი შვილები გარდაცვლილი ჰყავდა; ვინაიდან არ იცოდა წინ რა განსაცდელი ელოდა, საკუთარი შვილი აღსაზრდელად **ურუსმა** ეპისკოპოს ალექსანდრეს დაუტოვა. ალექსანდრემ საკუთარი სახსრებით აღზარდა ის აფხაზი ბიჭი, რომელიც შემდგომში ღირსეული ქრისტიანი გახდა.

აფხაზთა მუჰაჯირობას მორიგი ადმინისტრაციული რეფორმა მოჰყვა. 1866 წლის შემდეგ არსებული ოთხი ოკრუგის ნაცვლად 1868 წელს შეიქმნა ორი - ბიჭვინთისა და ოჩამჩირის.

ორივე ოკრუგი უბნებად იყოფოდა. ბიჭვინთის ოკრუგში შედი-
ოლნენ გუდაუთისა და გუმისთის უბნები; ოჩამჩირის ოკრუგი კი
კოდორისა და სამურზაყანოს უბნებად იყოფოდა. წებელი ცალკე
იმართებოდა. ადმინისტრაციულ რეფორმას ყოველთვის თან
ახლდა შესაბამისი ცვლილებები ეპარქიის სტრუქტურაში.

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ სამღვდელთაგანთან ერთად
სწრაფად მოახდინა ახალ პირობებთან ადაპტირება და გააგრ-
ძელა მისიონერული და პედაგოგიური საქმიანობა. მთავარხუ-
ცესებისგან იგი მოითხოვდა ყოველწლიური ანგარიშების წარ-
მოდგენას განულები მუშაობის შესახებ (დოკ. № 100). 1868 წლის
მონაცემებით, ქრისტიანთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა.
სამურზაყანოში კვლავაც მთელი მოსახლეობა - 22 426 ადამიანი
ქრისტიანულ სარწმუნოებას იზიარებდა; გუდაუთის უბანში 8126
ქრისტიანი და 14451 მაჰმადიანი თუ წარმართი ცხოვრობდა;
გუმისთის უბანში, სადაც ადრე არც ერთი ეკლესია არ ფუნქცი-
ონირებდა, ქრისტიანთა რაოდენობა იყო 507, მაჰმადიანების
- 6021; კოდორის უბანში აღრიცხული იყო 6671 ქრისტიანი და
7645 მაჰმადიანი თუ წარმართი. მთლიანად აფხაზეთში სამურ-
ზაყანოს გარეშე, ქრისტიანთა რაოდენობა შეადგენდა 15 404,
მაჰმადიანებისა და წარმართების - 28 127 სულს. გაიხსნა ახალი
ეკლესიები. საკუთრივ აფხაზეთში მათი რიცხვი 15-მდე გაიზარ-
და, იმდენივე იყო მღვდლების რაოდენობაც (**ჯემალ გამახარია**.
აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 938-948).

ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 1868 წელს საკუთარი სახსრე-
ბით ორი ეკლესია აღადგინა. მათ შორის ერთ-ერთი, რომელიც
სოხუმთან ახლოს მდებარეობდა, განაახლა „მოსახსენებლად
იმპერატორის **ალექსანდრე მეორის** სასწაულებრივი გადარ-
ჩენისა 4 აპრილს 1866 წელსა” (იგულისხმება იმპერატორზე ტე-
რორისტ **დ. კორაკოზოვის** თავდასხმა); 1868 წელს აფხაზეთის
ეპისკოპოსმა ასევე საკუთარი სახსრებით სოხუმის სასაფლაოს
ეკლესია განაახლა, სადაც მღვდლად **ტიმოთე სახოკია (თედო**
სახოკიას მამა) იქნა გამწესებული (**ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი
და მართლმადიდებლობა, გვ. 456).

სოხუმის სამხედრო განყოფილებების უფროსმა **ვ. გეიმანმა** თავის 1867 წლის 6 სექტემბრით დათარიღებულ წერილში ეპისკოპოს ალექსანდრესადმი შეუვასება მისცა სარწმუნოებრივი თვალსაზრისით აფხაზეთში არსებულ არც თუ ისე სახარბიელო ვითარებას და ჩამოაყალიბა საკუთარი ხედვები ამ კუთხით მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. იმავე წერილში **ვ. გეიმანმა** საკათედრო ტაძრის სოხუმში აშენების წინადადება წამოაყენა (დოკ. № 108; **ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 456-457). 1867 წლის 7 ნოემბერს ეპისკოპოსმა ალექსანდრემ თავის საპასუხო წერილში ყურადღება გაამახვილა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და მხარდაჭერისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე. ის არ ნასულა **ვ. გეიმანის** წინადადების წინააღმდეგ სოხუმში საკათედრო ტაძრის აშენების თაობაზე, თუმცა, მრავალი თვალსაზრისით, ბიჭვინთა უფრო შესაფერის ადგილად მიაჩნდა, როგორც ეს იყო განსაზღვრული უწმინდესი სინოდის 1851 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაში აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრის დაფუძნების შესახებ (დოკ. № 109). სოხუმში საკათედრო ტაძარი მხოლოდ 1884 წელს გაიხსნა.

ეპისკოპოსი ალექსანდრე განსაკუთრებულ ყურადღებას აფხაზი ყმანვილების განათლების საკითხებს უთმობდა. კრებულში შეტანილია მისი ხელმოწერით სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნილი დოკუმენტები, რომლებიც ეხება აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის აღდგენას, მოსწავლეებითა და პედაგოგებით მის დაკომპლექტებას, დაფინანსებას, სახელმძღვანელოებითა და სხვა აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას. ეყვეცნდება მომავალი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა სია. 30 მოსწავლეს შორის აღნიშნულია **ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია** - საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი წმინდა აღმსარებელი **ამბროსი**. დოკუმენტებში ეპისკოპოსი ალექსანდრე საუბრობს პირად მოსწავლეებზეც (სულ რვა), რომლებსაც საკუთარი სახსრებით ასწავლიდა და ინახავდა (დოკ. № 99, 101-107).

აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1862 წლიდან აყვანილ პირად მოსწავლეებზე ზრუნვას მეუფე ალექსანდრემ არაერთი წელი მოანდომა. როგორც ის წერდა, ცაიშის მონასტერში „მათ ძალიან კარგად შეისწავლეს ქართული საღვთისმსახურო წიგნები; საღვთისმსახურო წიგნები თბილისიდანაც იქნა გამოწერილი, ხსენებული მოსწავლეებიდან სამმა ძალიან კარგად ისწავლა გალობა. 1862, 1863 და 1864 წლებში ხსენებული მოსწავლეებისათვის გურიიდან გამოვიწერე და დავიქირავე მგალობელი **ნანო ხავთასი**. ამ მგალობელ **ხავთასს**, რომელიც გურიის ეპისკოპოს **გაბრიელის** მგალობელთა რიგებიდან არის, ყოველწლიურად, გარდა ჯამაგირისა, ვუხდი ას-ას ვერცხლის მანეთს. საერთოდ, ხსენებული აფხაზები — ჩემი საშინაო მოსწავლეები, ძალიან კარგად გალობენ, კითხულობენ და საუბრობენ ქართულად, საუბრობენ მეგრულად. ისინი აგრეთვე რიგინად კითხულობენ, წერენ და საუბრობენ რუსულად. ზოგიერთი მათგანი მედავითნედ გამოდგება...” ეპისკოპოს ალექსანდრეს აფხაზი მოსწავლეები ქართულ და აფხაზურ ენებს ასწავლიდნენ მოსკოვის სასულიერო აკადემია დამთავრებულ მღვდელმონაზონ **იონასს**, რომელსაც აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანამდებობა უნდა დაეკავებინა. ამ სასწავლებელში აპირებდნენ სწავლის გაგრძელებას ეპისკოპოს ალექსანდრეს მოსწავლეებიც. „ისინი იქნებიან სასწავლებლის მშვენება, - წერდა აფხაზეთის ეპისკოპოსი; - იმ მოსწავლეთა სახით მე პირველად ჩავეყარე საფუძველი აფხაზი ყმანვილების კაპიტალურ სასულიერო განათლებას. ვავიმეორებ, სამეცნიერო მოღვაწეობის, განათლების, უმაღლესი აღზრდისთვის მოსწავლეთა მომზადების სარბიელზე გავაკეთე სიკეთე, რამდენიც შემეძლო. ყოვლადმსუფვემა და გულთამხილველმა ღმერთმა უწყის, თუ რაოდენ მონადინებული ვარ აფხაზთა ზნეობრივი და გონებრივი განათლებისთვის“ (დოკ. № 101).

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-განათლების საქმეს აფხაზთა შორის სწორედ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ ჩაუყარა საფუძველი. ბიჭვინთის

სასულიერო სასწავლებლის გახსნის თუ აღდგენის თაობაზე კრებულში შეტანილი მრავალრიცხოვანი დოკუმენტები აფხაზეთის ეპისკოპოსის სამომავლო საგანმანათლებლო გეგმებზეც მიუთითებენ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლებელში ქართული და აფხაზური ენების შესწავლას, ეგზარქოსისგან მოითხოვდა მღვდელ **იოანე გეგეიას** დანიშვნას სასულიერო სასწავლებელში აფხაზური ენის მასწავლებლად (დოკ. № 103); არანაკლებ მზრუნველობას იჩენდა რუსული ენის მიმართაც (დოკ. № 106).

1867 წელს ბიჭვინთაში სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხებზე მიმონერამ შედეგი ვერ გამოიღო, სასწავლებელი ხელისუფლებამ არ გახსნა, აუცილებელი წინასწარი სამუშაოების მაღალ დონეზე შესრულების მიუხედავად. ამის მიზეზი კვლავაც მთავრობის პოლიტიკაში, აფხაზი ხალხისადმი მის დამოკიდებულებაში უნდა ვეძიოთ, განსაკუთრებით 1866 წლის აჯანყებისა და მუჰაჯირობის შემდეგ.

აღნიშნულ ტრაგიკულ მოვლენებამდე ხელისუფლება გარკვეულწილად ითვალისწინებდა ჯერ არქიმანდრიტის, შემდეგ კი ეპისკოპოს ალექსანდრეს რეკომენდაციებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1860 წლის მაისში მან პირველმა ოფიციალურად დასვა საკითხი აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნის შესახებ (დოკ. № 65). უკვე 1862 წელს მუშაობას შეუდგა კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მიერ შექმნილი შესაბამისი კომისია. 1865 წელს კომისიამ გამოსცა აფხაზური საანბანო წიგნი სახელწოდებით „მართლმადიდებელთა კეთილი საკითხავი“. მასში ძირითადი ქრისტიანული ჭეშმარიტებებიც შეიტანეს. საანბანო წიგნი განკუთვნილი იყო კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მომავალი სკოლებისთვის. მაგრამ 1868 წელს აღნიშნული საზოგადოების საბჭომ აფხაზური ენა „ჩვილ და განუვითარებელ“ ენად გამოაცხადა. იმავე საბჭოს გადაწყვეტილებით, აფხაზურ ენაზე „წმინდა წიგნის გადმოცემის ყოველგვარი მცდელობა შეწყდა“ (Обзор Деятельности

Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе за 1860-1910 гг. Тифлис, 1910, с.149-150, 157). დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება ატარებდა პოლიტიკურ ხასიათს, დაკავშირებული იყო 1866-1867 წლების მოვლენებთან და რუსიფიკაციის სამთავრობო პოლიტიკასთან.

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი, ჩვენი აზრით, გახდა აფხაზეთში ახალი საეკლესიო პოლიტიკის მსხვერპლი. მისი ავტორი გახლდათ სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი **ვ. გვიმანი**. სწორედ იმ დროს, როდესაც სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხი დადებითად იყო გადაწყვეტილი, მან მეფისნაცვალს **მიხეილ რომანოვს** მოხსენება წარუდგინა (1867 წ. 14 ნოემბერი) აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობისა და მისი განმტკიცებისათვის აუცილებელი ზომების შესახებ. **ვ. გვიმანის** აზრით, ქრისტიანობის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზს „გაუგებარ ქართულ ენაზე“ ღვთისმსახურება, სკოლებში კი „აფხაზი ბავშვებისათვის სრულიად უცხო ქართულ ენაზე“ სწავლება წარმოადგენდა; **ვ. გვიმანს** არ მოსწონდა თუ რა გარემოებაში და როგორ ატარებდა ღვთისმსახურებას „ძველ და ჭუჭყიან სამოსში გამოწყობილი“ აფხაზეთის ეპისკოპოსი (ღვთისმსახურების ბრწყინვალეების უზრუნველყოფას სულ ითხოვდა ეპისკოპოსი ალექსანდრე – კომენტ. 111). მდგომარეობის გამოსასწორებლად, სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი საჭიროდ მიიჩნევდა აფხაზეთის ეპარქიის გაუქმებას მოსახლეობის სიმცირის გამო და ორი სამთავარხუცესოს (საბლალოჩინოს) დაფუძნებას, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას უფროსი მთავარხუცესი გაუწევდა; ამ თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატად მას მიაჩნდა **დავით მაჭავარიანი**, რომელმაც სამურზაყანოში მრავალწლიანი მოღვაწეობით იმპერიული ხელისუფლების დიდი ნდობა მოიპოვა. იგი უნდა გამხდარიყო აფხაზეთში უმაღლესი სასულიერო პირი. გათვალისწინებული იყო ასევე გაუქმებული ეპარქიის იმერეთის ეპისკოპოს **გაბრიელისთვის** დაქვემდებარება, ისტორიული ტაძრების აღდგენა, სკოლების დაფუძნება „უფრო მყარ (ე. ი. რუსულ — ჯ.

გ.) საფუძველზე”, გამორჩეული მოსწავლეების სტავროპოლის სასულიერო სემინარიაში გაგზავნა და ა. შ. (დოკ. № 110; **ჯემალ გამახარია**. აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, გვ. 932-937).

აღნიშნული მოხსენება ნიშნავდა აფხაზეთის რუსიფიკაციისკენ გეზის აღებას. ასეთ პირობებში არავის სჭირდებოდა აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი, ქართული და აფხაზური ენების სწავლება. მეფისნაცვალმა და ეგზარქოსმა მოიწონეს **ვ. გეიმანის** წინადადებები, მათ შორის აფხაზეთის ეპარქიის გაუქმების, მისი რეორგანიზაციის შესახებ.

კავკასიის საერო და სასულიერო ხელისუფლება აფხაზეთის ეპარქიის რეორგანიზაციის გეგმის შემუშავებას შეუდგა. 1868 წლის 20 აპრილს კავკასიელ მთიელთა სამმართველოში გენერალ **ი. ბარტოლომეის**, ეპისკოპოს **გაბრიელისა** და სხვათა მონაწილეობით ჩატარდა თათბირი, სადაც განიხილეს საკითხი აფხაზეთში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აუცილებელი ზომების შესახებ. გადაწყდა, ეთხოვოს ეპისკოპოს **გაბრიელს** აფხაზეთის სამრევლოების მიმოხილვა, არსებულ პრობლემებში გარკვევა და სათანადო წინადადებების წარდგენა კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოში. აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად ეპისკოპოსმა **გაბრიელმა** აფხაზეთში 1868 წლის მაის-ივნისში იმოგზაურა (წმინდა მღვდელმთავარი **გაბრიელი (ქიქოძე)** და აფხაზეთი. თბ., 2007, გვ. 354-418).

ამ დროიდან ეპისკოპოსი ალექსანდრე ფაქტიურად უკვე არ ასრულებდა აფხაზეთის მღვდელმთავრის მოვალეობას. 1868 წლის ივნისში იგი თბილისში გაიწვიეს, თუმცა ფორმალურად კიდევ ერთი წელიწადი რჩებოდა ძველ თანამდებობაზე. ქალაქის საზოგადოებამ ღრმა პატივისცემის ნიშნად ეპისკოპოს ალექსანდრეს 1868 წ. 10 ივნისს გულთბილი ადრესი მიართვა (დოკ. № 113). გენერალმა **გრიგოლ შარვაშიძემ**, შეიტყო რა აფხაზეთის ეპისკოპოსის მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ, 1868 წ. 17 მაისს სთხოვა მას ნებართვა „გეახლოთ და თაყვანის ვსცე მეუფებასა თქვენსა, ვითარცა ითხოვს მოვალეობა ჩემი“ (დოკ. № 112).

1868 წლის 15 ივნისს მღვდელი **ივანე ალექსეევი** ეპ. ალექსანდრეს წერდა, რომ სოხუმისა და აფხაზეთის მცხოვრებნი სინანულს გამოთქვამენ აქედან თქვენს გამგზავრებასთან დაკავშირებით, რომ ამის გამო შენუხებული იყო «თქვენი მოსიყვარულე და თქვენი საყვარელი სამწყსო - любящий Вас и любимый Вами паства» (**ვ. კეკელიძის** სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 425). 1868 წლის 28 ივნისს მღვდელმონაზონი **ანტონი (დგებუაძე)**, მეუფეს აცნობებდა რა სოხუმში დატოვებული მისი ნივთების გაყიდვისა და სახლის გაქირავების შესახებ, წერდა: „სხვებრ ვახლავართ შენუხებული თქვენის მეუფების მოშორებით. ყველანი ოჯახებით და ერთობით მრავალნი პირნი აქ სოხუმში მცხოვრებნი დიდის სასოებით თაყვანისცემას და მარჯვენათა ანბორებით ლოცვა-კურთხევას გამოითხოვს თქვენის მეუფებისგან (**ვ. კეკელიძის** სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 445).

სოხუმიდან გამგზავრების წინ ეპისკოპოსმა საკუთარი ბიბლიოთეკა აფხაზეთის მომავალ სასულიერო სასწავლებელს (რომელიც არ გახსნილა) გადასცა (**ვ. კეკელიძის** სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 419). თბილისში გადაყვანის მიუხედავად, ეპისკოპოსი ალექსანდრე ინარჩუნებდა კავშირს აფხაზეთის ეპარქიასთან, აქაურ სამღვდელოებასთან (დოკ. №№ 114, 116, 117 და ა. შ.). 1869 წლის 2 იანვარს მან მიიღო მღვდელმონაზონ **იონას** წერილი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მისიონერული საქმიანობის, ასევე ბიჭვინთის ტაძარში აღდგენითი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (დოკ. №118).

1869 წლის 12 აპრილს **ვ. გვიმანმა** ეგზარქოს **ვესევის** სახელზე სოხუმიდან 225 მან. და 25 კაპ. გადმორიცხა ეპისკოპოს ალექსანდრესთვის გადასაცემად. ამასთანავე იგი განმარტავდა, რომ ეს თანხა წარმოადგენდა იმპერატორის „მონყალეზას“ აფხაზეთში 1866 წლის აჯანყების დროს მიყენებული ზარალის

ასანაზღაურებლად (დოკ. №120). სოხუმში ეპისკოპოსი ალექსანდრე ფლობდა საკუთარ სახლს, რომელიც 1877 წლის რუსეთურქეთის ომის დროსაც დაზარალდა. რამდენიმე დოკუმენტი პირად საკითხებს, კერძოდ სოხუმში ეპისკოპოს ალექსანდრეს კუთვნილი მიწის ნაკვეთის, სახლის, ასევე წიგნების გაყიდვას ეხება. სახლი მიზარებული ჰქონდა მღვდელ **ტიმოთე სახოკიას**. 1885 წელს ეპისკოპოს ალექსანდრეს სახლი სოხუმში იყიდა **მარკოზ მიმინოშვილმა** (დოკ. №№125, 127, 128, კომენტ. 114).

აფხაზეთიდან გამგზავრების შემდეგ ეპისკოპოსი ალექსანდრე ცდილობს კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების პირველი თანრიგის მუდმივი წევრის წოდების მინიჭებას და წმინდა ნინოს ჯვრის გადმოცემას. ამის თაობაზე მან საზოგადოების საბჭოს 1868 წლის 22 აგვისტოს მიმართა (დოკ. №115). 1869 წლის 22 იანვარს იმავე საბჭოს სთხოვს მისთვის კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების მეოთხე თანრიგის მუდმივი წევრის წოდების მინიჭებას (დოკ. №119).

1869 წლის 30 მაისს იმპერატორის ბრძანებულებით გორის ეპისკოპოსი **გერონტი** (აფხაზეთის ყოფილი ეპისკოპოსი, რომელიც თავის დროზე ალექსანდრე ოქროპირიძემ შეცვალა) განთავისუფლდა თანამდებობიდან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით. მის აღვილზე ამჯერადაც ეპისკოპოსი ალექსანდრე დაინიშნა. იმავე ბრძანებულებით ეპისკოპოს **გაბრიელს (ქიქოძე)** აფხაზეთის ეპარქიისა და სამურზაყანოს საბლალოჩინოს ეკლესიების მართვა დაევალა (დოკ. № 121). ალექსანდრე ოქროპირიძე ერთდროულად გახდა საქართველოს ეპარქიის ვიკარი, რომლის მოვალეობასაც, უწმინდესი სინოდის 1843 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, ეგზარქოსის დავალებების შესრულება და სინოდალური კანტორის სხდომებზე შეძლებისდაგვარად დასწრება (როგორც კანტორის წევრისა) წარმოადგენდა (სცსია, ფ. 489, ანაწ. 1, ს. 27140, ფ. 4).

გორის ეპისკოპოსად დანიშვნის შემდეგაც მეუფე ალექსანდრე აფხაზეთთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა, თუმცა

მხოლოდ ერთხელ - 1888 წლის აგვისტოში - იყო ჩამოსული ყოფილ სამწყსოში, ისიც მხოლოდ ახალ ათონში (დოკ. № 133). ხშირად იღებდა ინფორმაციას ეპარქიაში არსებული ვითარების შესახებ. ეს კარგად ჩანს აფხაზეთის უფროსი მთავარხუცესის დეკანოზ **დავით მაჭავარიანის** და სხვა სასულიერო პირების წერილებიდან. 1872 წლის 28 ნოემბერს დეკანოზი აცნობებდა სოფელ აკატაში ჩამოსული ვილაც „ემმაკი კაცის“ შესახებ, რომელიც მოსახლეობაში მოტყუებით ისლამს ავრცელებდა (დოკ. № 123). 1877 წლის 1-5 ივნისს დეკანოზმა **დავით მაჭავარიანმა** და მღვდელმა **ტიმოთე სახოკიამ** ეპისკოპოსს თურქეთთან ომის შედეგად ქ. სოხუმის გადაწვის, სოფლებში ეკლესიების აოხრების, მოგვიანებით (1882 წლის 28 ნოემბერს) კი მათი აღდგენის შესახებ შეატყობინეს (დოკ. №№ 125, 126, 129). ალექსანდრე ოქროპირიძემ **დავით მაჭავარიანისაგან** (1885 წ. 12 ოქტომბრის წერილი) აფხაზეთში ეგზარქოსის ჩამოსვლისა და ადგილობრივ კათედრაზე რუსი ეპისკოპოსის მოსალოდნელი დანიშვნის თაობაზე ინფორმაცია მიიღო (დოკ. № 130). რუსი ეპისკოპოსის მოსალოდნელ დანიშვნას, აფხაზეთში გახშირებულ სიკვდილიანობას ეხება დეკანოზის 1886 წლის დეკემბრის წერილი (დოკ. № 131). 1893 წლის 20 ოქტომბრის წერილში მეუფისადმი დეკანოზი სოხუმის ეპისკოპოსად **პეტრეს** დანიშვნისა და სოხუმის საკათედრო ტაძრის გაფართოების შესახებ ინერებოდა (დოკ. № 138). შემდგომ წერილებში (1894 წლის 1 იანვარი, 1895 წლის 4 აპრილი) დეკანოზი **დავით მაჭავარიანი** დადებითად ახასიათებდა ეპისკოპოს **პეტრეს** მოღვაწეობას, რომელიც სულ მალე სოხუმს მოამორეს და მის ნაცვლად „ძლიერ კარგი (?!), მაგრამ კარგად მოხუცებული“ მღვდელმთავარი (ეპ. **არსენი**) დანიშნეს (დოკ. №№ 139, 141). **დავით მაჭავარიანი** 1892 წ. 20 ოქტომბერს მეუფე ალექსანდრეს სოხუმის ეპისკოპოს **აგაფოდორის** რუსეთში შესაძლო გადაყვანის შესახებ წერდა და დასძინდა: „ვინიცობაა ეს ხმა მართალი გამოდგეს, მაშინ თქვენ რომ ინებებდეთ აფხაზეთში გადმოსვლას, ვგონებ, ურიგო არ იყოს. აქ დამოუკიდებელ მღვდელმთავრად იქნებით და უფრო თავისუფ-

ფალი და, იმედია, უნაყოფოთაც არ დარჩეს თქვენი ღვანლი ამ ქვეყანაში, რომელსაც ზედმიწევნით იცნობთ” (დოკ. № 136). ეპისკოპოს ალექსანდრეს სოხუმის ეპარქიაში დაბრუნების საკითხი, სამწუხაროდ, არც დასმულა.

ალექსანდრე ოქროპირიძე, როგორც საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის წევრი, უამრავ თხოვნას იღებდა აფხაზეთიდან. ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელმა **ზოსიმე ხელაიამ** აფხაზეთის ყოფილი მღვდელმთავარი ორჯერ (1872 წლის 17 ნოემბერი და 1873 წლის 15 დეკემბერი) შეანუხა დედის პენსიის დანიშვნასთან დაკავშირებით (დოკ. №№ 122, 124). მამა-შვილ **დავით** (1880 წლის 27 აპრილი) და **კონსტანტინე** (1893 წლის 11 მარტი) **მაჭავარიანებს** სრულიად განსხვავებული მიზნებისათვის აფხაზეთის ეპარქიის დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებდათ (დოკ. №№ 127, 137). 1890 წლის 4 ნოემბერს გენერალ-მაიორი **ზურაბ ჩქოტუა** მის მიერ საბერიოში აშენებული ეკლესიის კრებულისათვის ხელფასის დანიშვნას ეპისკოპოს ალექსანდრეს სთხოვდა (დოკ. № 134). დეკანოზ **დავით მაჭავარიანის** შეამდგომლობით (1894 წლის 20 აგვისტო) მასვე უნდა გადაეწყვიტა ოტობაიელი მღვდლის შვილის — **ალექსანდრე რურუას** მასწავლებლად დანიშვნის საკითხიც (დოკ. № 140).

ქ. არმავირში საცხოვრებლად გადასული დრანდის მონასტრის ყოფილი რუსი წინამძღვარი — ილუმენი **ვარლამიც** კი ქართველ ეპისკოპოს ალექსანდრეს (და არა რუსებს) სთხოვდა დახმარებას (1888 წლის 19 ივლისი) მონასტრის აღდგენისას დახარჯული საკუთარი თანხების ნახევრის (ანუ 12 ათასი მანეთის) ანაზღაურებასთან დაკავშირებით (დოკ. № 132). კრებულში შეტანილია გამართული ქართულით შედგენილი დოკუმენტი — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის **მისხილ შარვაშიძის** ქალიშვილის, ეპისკოპოს ალექსანდრეს ნათლულის — **თამარის** მიერ 1892 წლის 11 აპრილს ნათლიასადმი გაგზავნილი წერილი (დოკ. № 135).

ეპისკოპოსი ალექსანდრე სხვადასხვა თანამდებობაზე გუღმოდგინე სამსახურისათვის 1871 წლის 22 ოქტომბერს წმ.

ანას პირველი ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა; 1878 წელს იგი კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების კომიტეტის წევრად დაამტკიცეს. 1882 წლის 2 აპრილიდან 1886 წლის 2 მარტამდე ეპისკოპოსი ალექსანდრე გურიის ეპარქიას მართავდა, რის შემდეგაც კვლავ გორის ეპისკოპოსის ძველ თანამდებობას დაუბრუნდა. გურიის ეპარქიაში სამსახურისთვის მას მოციქულთა სწორის – ვლადიმირის მეორე ხარისხის ორდენი ებოძა. 1886 წლის 7 მარტიდან ეპისკოპოსი ალექსანდრე ერთდროულად დავით გარეჯის მონასტრის წინამძღვარია, 1887 წლის 3 მარტიდან კი მის მიერ აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერს ხელმძღვანელობდა.

1893 წლის 15 მაისს იმპერატორმა **ალექსანდრე მესამემ** ეპისკოპოსი ალექსანდრე დააჯილდოვა სიგელით, რომელშიც ნათქვამია: „ყოველ ვიღე რა თქვენი ხანგრძლივი წარჩინებული და გულმოდგინე სამსახური მართლმადიდებელი ეკლესიის სასარგებლოდ, გინცალობებ ამასთანავე წარმოგზავნილ ძვირფასის ქვებით მოჭედილს გულზედ დასაკიდ სამღვდელმთავრო ხატსაო“. გარდა ამისა, ეპისკოპოსმა ალექსანდრემ დაჭრილ და ავადმყოფ მეომართათვის მზრუნველი საზოგადოებისაგან 1882 წლის 23 ივნისს წითელი ჯვარი მიიღო; იმპერატრიცა **მარია ალექსანდრეს ასულის** სახელზედ დაარსებულმა უსინათლოთა სამზრუნველოს საბჭომ მას სიკვდილამდე გულზე სატარებლად 1896 წლის 5 იანვარს ოქროს ნიშანი უბოძა.

1896 წლის 12 მაისს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ეპისკოპოსი ალექსანდრე საპატიო წევრად აირჩია „ნიშნად პატივისცემისა იმ დიდი ღვანლისათვის, რომელიც მას მიუძღვის საქართველოს წინაშე როგორც იმითი, რომ ჰბეჭდავს წარჩინებულთა სასულიერო მწერალთა თხზულებათ, აახლებს შესანიშნავ დანგრეულ ტაძართა და ცდილობს აღადგინოს ძველი ქართული გალობა და ამისათვის ყოველგვარს ღონისძიებასა ჰლონობს, ისე იმითი, რომ ხელს უწყობს საქართველოს ხალხის გონებრივს განვითარებას და თავისის ხარჯით ჰზრდის ბევრს ობოლს

სხვადასხვა სასწავლებელში” (გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე, გვ. 26-27; სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, გვ. 79-80).

1898 წლის 5 აპრილს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ (№ 500) პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ორი ვრცელი ინფორმაცია ალექსანდრე ოქროპირიძის გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად (ეს იყო მსცოვანი მღვდელმთავრის ბოლო ოფიციალური თანამდებობა) და მისი ძმისშვილის — არქიმანდრიტ **ლეონიდე** ოქროპირიძის გორის ეპისკოპოსად დანიშვნის შესახებ. 1898 წლის 17 მაისს სიონის საკათედრო ტაძარში ჩატარდა ეპისკოპოს ალექსანდრეს გაცვილებასთან დაკავშირებული პარაკლისი, რომელიც ეპისკოპოსმა **ლეონიდემ** გადაიხადა; სიტყვა **ილია ჭავჭავაძემ** წარმოთქვა; გამოვიდა ეპისკოპოსი ალექსანდრეც. თავის მოკლე სიტყვაში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა ხალხს სარწმუნოების შენარჩუნებისკენ, ეკლესიის სიყვარულისკენ, მორჩილებისკენ, სასიქადულო წინაპართა ანდერძის დაცვისკენ მოუწოდა. შეკრებილმა საზოგადოებამ საყვარელ მღვდელმთავარს საჩუქრად მიართვა მოსკოვიდან გამოწერილი კვერთხი წარწერით: **„ალილე კვერთხი ესე და წაიყვანე ერი ჩვენი გზასა სიმართლისასა. 15 მაისი 1898 წ.“** (ცნობის ფურცელი, 1898, 19 მაისი).

ქართულმა საზოგადოებამ და სამღვდელოებამ 1902 წლის 4 მარტს ალექსანდრე ოქროპირიძეს ეპისკოპოსად (აფხაზეთისა) კურთხევის 40 წელი მიულოცა (ცნობის ფურცელი, 1902, 3, 7 და 9 მარტი). გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე ღიად დაუპირისპირდა ქართველი ერის გათიშვის, სამეგრელოდან ქართული ენის გამოდევნის იმპერიულ პოლიტიკას, რომელიც **ი. ვოსტორგოვის** ხელით ხორციელდებოდა. ეს დაპირისპირება მძაფრად გამომულაგნდა 1902 წლის აპრილშიც, როცა ეგზარქოსი **ალექსი** იმ ავადსახსენებელი **ი. ვოსტორგოვის** თანხლებით ჯერ აფხაზეთს, მერე კი სამეგრელოს სტუმრობდა და ქართულ-მეგრულ ენებს შორის განსხვავებას „სწავლობდა“ (იხ. Прибавление к Духовному Вестнику Грузинскаго Экзархата, 1903, № 22, с. 10-47;

1904, № 1-2, с. 20-36; Духовный Вестник Грузинского Экзархата, 1904, № 4, с. 26-41 — **ი. ვოსტორგოვის წერილები**).

დასავლეთ საქართველოდან თბილისში დაბრუნებულმა ეგზარქოსმა უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორ **კ. პობედონოსცევს** საიდუმლო წერილი გაუგზავნა აფხაზეთში არქიმანდრიტ **ამბროსი ხელაიას**, გურია-სამეგრელოში კი ეპისკოპოს ალექსანდრეს „ანტისახელმწიფოებრივი“ მოღვაწეობის შესახებ. „სენაკის მაზრის უფროსი სავსებით კონფიდენციალურად მატყობინებს — წერდა ეგზარქოსი **ალექსი**, — რომ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ღია შეკრებებზე თავადების თანდასწრებით ზოგჯერ საკუთარ თავს რუსი ხალხისა და რუსული ხელისუფლების მისამართით უხამსი გამოხდომის უფლებას აძლევს, მოუწოდებს თავადებს გაერთიანდნენ თავისუფლების დასაცავად” (დოკ. № 142). გარდა ამისა, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ალექსანდრე „შემჩნეული“ იყო აფხაზეთში მოქმედი ე.წ. ქართული პარტიის მფარველობაშიც, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა რუსიფიკაციის პოლიტიკას (წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, გვ. 156). ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო საქართველოს საეგზარქოსოს ეპარქიების საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების ზედამხედველის დეკანოზ **იოანე ვოსტორგოვის** მიერ ვითომ **თედო ყორდანიას** დასაცავად 1903 წლის 11 ოქტომბერს ეგზარქოსის სახელზე დაწერილმა წერილმაც (დოკ. №№143, 144).

ვფიქრობთ, ეგზარქოს **ალექსისა** და **იოანე ვოსტორგოვის** წერილებმა, აფხაზეთში „ქართული პარტიის“ მფარველობის ბრალდებას დიდწილად განაპირობეს 1903 წლის ნოემბერში გურია-სამეგრელოს ეპისკოპოს ალექსანდრეს სამსახურიდან დათხოვნა და მის ადგილზე რუსოფილობით ცნობილი **დიმიტრი აბაშიძის** დანიშვნა. ე. ფოთის მოურავმა **ნიკო ნიკოლაძემ** და ქალაქის საზოგადოებამ ადგილობრივ სამღვდელოებასთან ერთად 1903 წლის 30 ნოემბერს გულთბილი გაცვილება მოუწყვეს ეპისკოპოს ალექსანდრეს (ცნობის ფურცელი 1903, 23 ნოემბერი, 3 დეკემბერი).

ცხოვრების დარჩენილი წლები ერის საყვარელმა მოძღვარ-მა მის მიერ აღდგენილ შიო-მღვიმის მონასტერში გაატარა (იხ. კომენტ. 164). მასზე დამთრგუნველად იმოქმედა დიდი **ილიას** ვერაგულმა მკვლელობამ 1907 წლის 30 აგვისტოს (12 სექტემბერს). სულ მალე — 1907 წლის 9 (22) ნოემბერს გამოჩენილი სასულიერო მოღვაწე ალექსანდრე ოქროპირიძე გარდაიცვალა. დიდი პატივით დაიკრძალა შიო-მღვიმის მონასტერში 16 (29) ნოემბერს. იმ დღეს სიტყვით გამოსულმა არქიმანდრიტმა **ამბროსი ხელაიამ** საზოგადოებას შეახსენა მეუფის აფხაზეთში მოღვაწეობისა და იმ უზარმაზარი ნდობის შესახებ, რომლითაც ის აფხაზთა შორის სარგებლობდა (დოკ. № 145).

(56) **Григорий Александрович Шарвашидзе** (1818-1898); с 1848 года в чине штабс-капитана управлял Абжуйским, а затем Сухумским округами; активный участник военных действий 1853-1856 и 1877-1878 годов; принимал участие в создании абхазской письменности; с 1878 года – генерал-майор. Был женат на **Агатии Елизбаровне Дадияни** (1829-1919). Док. № 65.

გრიგოლ შარვაშიძე (1818-1898); 1848 წლიდან ჯერ აბუჟის, შემდეგ კი სოხუმის ოკრუგების მმართველი; 1853-1856 და 1877-1878 წლების საომარი მოქმედებების აქტიური მონაწილე; 1878 წლიდან - გენერალ-მაიორი; მონაწილეობდა აფხაზური დამწერლობის შექმნაში; დაქორწინებული იყო **აღათი ელიზბარის ასულ დადიანზე** (1829-1919). დოკ. №65.

(57) В соответствующем архивном деле документ подшит и датирован неправильно. При формировании архивного дела ошибочно подшита сначала вторая (В), а затем первая (А) часть рукописи документа. Датирован он также ошибочно – 1863 годом, что не соответствует действительности (წმინდა მღვდელმთავარი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)** და აფხაზეთი, გვ. 22-23). Док. № 65.

შესაბამის საარქივო საქმეში დოკუმენტი ჩაკერილია და დათარიღებულია არასწორად. საარქივო საქმეში ჩაკერილია დოკუმენტის ხელნაწერის ჯერ მეორე (В), შემდეგ კი პირველი (А) ნაწილი. ხელნაწერი 1863 წლით არის დათარიღებული, რაც ასევე უხეში შეცდომაა (წმინდა მღვდელმთავარი **ალექსანდრე (ოქროპირიძე)** და აფხაზეთი, გვ. 22-23). დოკ. №65.

(58)Известны два брата по фамилии Грeve – контр-адмирал **Артур Иванович Грeve** (1820-1900); капитаном первого ранга он стал только в 1867 году, а с 1879 года служил начальником Батумского порта; его родным братом был контр-адмирал **Иван Иванович Грeve** (1819-1874). На наш взгляд, последний и является автором настоящего письма. Док. № 66.

გრევეს გვართ ცნობილია ორი ძმა - კონტრ-ადმირალები. **არტურ ივანეს ძე გრევე** (1820-1900) მხოლოდ 1867 წელს გახდა პირველი რანგის კაპიტანი; 1879 წლიდან იყო ბათუმის პორტის უფროსი. მისი ღვიძლი ძმაა **ივანე ივანეს ძე გრევე** (1819-1874). ეს უკანასკნელი უნდა იყოს ამ წერილის ავტორი. დოკ. № 66.

(59)Имеется в виду наместник царя на Кавказе **А. И. Барятинский** (см. коммент.44). Док. №66.

ავტორს მხედველობაში ჰყავს მეფისნაცვალის კავკასიაში **ა. ი. ბარიატინსკი** (იხ. კომენტ. 44). დოკ. № 66.

(60) К документу архимандрит Александр 22 июня 1860 года сделал следующую приписку: Я указал на «преосвященного **Геронтия** и это отношение к его преосвященству послали. Я не понимаю о таком деле, как пишут нам мимо экзарха. Эта довольно серьезная новость». Док. №66.

არქიმანდრიტმა ალექსანდრემ 1860 წლის 22 ივნისს დოკუმენტს გაუკეთა მინაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ მისი თხოვნით წერილი ეპისკოპოს გერონტისთანაც გაიგზავნა; გამოთქვამს გაკვირვებას და სერიოზულ სიახლედ მიიჩნევს, ასეთ საქმეზე წერილის გამოგზავნას ეგზარქოსის გვერდის ავლით. დოკ. № 66.

(61) **Евсей (Ильинский)** – архиепископ, экзарх Грузии в 1858-1877 годах. Док. № 67.

ევსევი (ილინსკი)— არქიეპისკოპოსი, საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წწ. დოკ. № 66.

(62)Просьба архимандрита Александра была удовлетворена (см. док. №№ 74-78). Док. № 67.

არქიმანდრიტ ალექსანდრეს თხოვნა დაკმაყოფილდა (იხ. დოკ. №№ 74-78). დოკ. №67).

(63)**Генерал-майор Осип Иванович Корганов** (1811-1870); родился в Тбилиси; с 1834 года служил в Кавказской Армии;

в 1852 году, будучи начальником Нухинского уезда, убил сподвижника имама **Шамиля – Хаджи Мурата**; участник Крымской войны; в 1860-1862 годах служил начальником войск в Абхазии; уволен в запас в 1862 году; похоронен в Верийской кладбище в Тбилиси. Док. №68.

გენერალ-მაიორი ო. ი. ყორღანოვი (1811-1870); დაიბადა თბილისში; 1834 წლიდან მსახურობდა კავკასიის არმიაში; 1852 წელს, როდესაც ნუხის მაზრის უფროსად მსახურობდა, მოკლა **იმამ შამილის** თანამებრძოლი **ხაჯი-მურატი**; მონაწილეობდა ყირიმის ომში; 1860-1862 წლებში მსახურობდა აფხაზეთში ჯარების უფროსად; 1862 წლიდან თადარიგშია; დასაფლავებულია თბილისში ვერის სასაფლაოზე. დოკ. №68.

(64)**Николай (Гиди) Шарвашидзе** (1832-1886)–брат генерала **Гр. Шарвашидзе**. Был женат на **Анне Дадияни** – дочери **Дуту Дадияни** (сын бывшего владельца Мегрелии **Манучара Дадияни**) и **Мариам Дадешкелиани**. В другом документе зятем **Дуту Дадияни** называется **Константин Шарвашидзе** (см. док. № 72), что является ошибкой (см. док. №79). Док. №68.

ნიკოლოზ (გიდი) ალექსანდრეს ძე შარვაშიძე (1832-1886)–გენერალ გრიგოლ შარვაშიძის ძმა. დაქორწინებული იყო სამეგრელოს ყოფილი მთავრის **მანუჩარ დადიანის** შვილის **დეტუსა და მარიამ დადეშქელიანის** ქალიშვილზე **ანა დადიანზე**. სხვა დოკუმენტში **დეტუ დადიანის** სიძედ მიჩნეულია **კონსტანტინე შარვაშიძე** (იხ. დოკ.№72), რაც შეცდომა უნდა იყოს (იხ. დოკ.№79). დოკ. №68.

(65) **Дмитрий Шарвашидзе** (1818-1858), сын **Гасан бея**, следовательно, не племянник, а двоюродный брат **Михаила Шарвашидзе**; полковник, начальник Абхазского (Сухумского) округа; участник Крымской войны. **Дмитрий** был женат на **Екатерине Дадияни** (рано скончалась)– дочери **Левана V Дадияни**; их общий сын **Георгий Шарвашидзе** – известный общественный деятель, генерал, бывший губернатор Тбилисской губернии, начальник канцелярии матери императора **Николая II**. Док. № 68.

დიმიტრი ჰასან ბეის ძე შარვაშიძე (1818-1858); იყო არა მიხეილ შარვაშიძის ძმისშვილი, არამედ ბიძაშვილი; პოლკოვნიკი, აფხაზეთის (სოხუმის) ოკრუგის უფროსი; ყირიმის ომის

მონაწილე. დიმიტრის ცოლად ჰყავდა **ლევან V დადიანის** ქალიშვილი **ეკატერინე** (ადრე გარდაიცვალა), მათი შვილია **გიორგი** — ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გენერალი, თბილისის ყოფილი გუბერნატორი, იმპერატორ **ნიკოლოზ II-ის** დედის კანცელარიის უფროსი. დოკ. №68.

(66) Копия письма к генералу **О. И. Корганову** от 2 июля 1860 г. для сведения была послана на имя экзарха Грузии 11 июля 1860 года (см. док. №69). Док. № 68.

1860 წლის 2 ივლისის წერილის ასლი გენერალ **ო. ი. ყორღანოვისადმი** იმავე წლის 11 ივლისს ცნობისთვის საქართველოს ეგზარქოსს გადაეგზავნა. დოკ. № 68.

(67) Зарегистрировано в канцелярии экзархата 18 августа 1860 года под №979; канцелярская резолюция гласит: «1860г. сентября 3-е. Приобщить к делу, в ожидании сообщений по сему предмету от гражданского начальства». Док. №69.

საეგზარქოსოს კანცელარიაში რეგისტრირებულია 1860 წლის 18 აგვისტოს 979-ე ნომრით. 1860 წლის 3 სექტემბრის საკანცელარიო რეზოლუციის მიხედვით, დოკუმენტი დართულია საქმეზე სამოქალაქო ხელისუფლებისაგან აღნიშნულ საკითხზე ცნობების მიღების მოლოდინში. დოკ. №69.

(68) **Г. Р. Эристов/Эристави** (1812-1891) – князь, по материнской линии внук царя **Ираклия II**; генерал от инфантерии; с 8 февраля 1858 года до 13 мая 1861 года – Кутаисский генерал-губернатор; в последующие годы служил в Кавказском военном округе. Док. № 70.

გ. რ. ერისტოვი/ერისტავი (1812-1891)–თავადი, დედის ხაზით მეფე ერეკლე მეორის შვილიშვილი; 1858 წლის 8 თებერვლიდან 1861 წლის 13 მაისამდე ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი. შემდგომში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქში. დოკ. № 70.

(69) Датируется по содержанию документа №72; раньше ошибочно датировалась 23 июля 1861 г. (წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.98). Док. № 70.

დათარიღებულია №72 დოკუმენტის შინაარსის მიხედვით; ადრე დათარიღებული იყო 1861 წლის 23 ივლისით, რაც შეცდომა აღმოჩნდა (წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე (ოქროპირიძე) და აფხაზეთი, გვ.98). დოკ. № 70.

(70) Имеются в виду «Просительные пункты» о приеме Абхазии под покровительство Российской империи, утвержденные императором **Александром Первым** 17 февраля 1810 года (Внешняя политика России, т. V. М., 1967, с. 372-373). Док. №70.

იგულისხმება „სათხოვარი პუნქტები“ რუსეთის მთავრე-
ლობის ქვეშ აფხაზეთის მიღების თაობაზე, რომლებიც
იმპერატორმა **ალექსანდრე პირველმა** 1810 წლის 17
თებერვალს დაამტკიცა (Внешняя политика России, т. V. М.,
1967, с. 372-373). დოკ. №70.

(71) **Константин Георгиевич Шарвашидзе** (1812-1883), майор;
окончил Пажский корпус; за участие в заговоре 1832 года был
выслан из Кавказа, жил в Ярославле и Феодосии. Впоследствии
помилован. Док. №71.

კონსტანტინე გიორგის ძე შარვაშიძე (1812-1883), მაიორი;
დაამთავრა პაჟთა კორპუსი; 1832 წლის შეთქმულებაში
მონაწილეობისათვის კავკასიიდან გაასახლეს. ცხოვრობდა
იაროსლავლსა და ფეოდოსიაში. შემდგომში შეიწყალეს. დოკ. №71.

(72) **Александр Шарвашидзе** (1818-1880) – младший брат
владельца, подполковник; в период Крымской войны, когда
Михаил Шарвашидзе находился в Мегрелии, **Александр**
исполнял обязанности владельца; до упразднения Абхазского
княжества в 1864 году управлял Бзыбским округом. Док. № 71.

ალექსანდრე შარვაშიძე (1818-1883) - მთავრის უმცროსი
ძმა, ვიცე-პოლკოვნიკი; ყირიმის ომის პერიოდში, როდესაც
მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში იმყოფებოდა, **ალექსანდრე**
ასრულებდა მთავრის მოვალეობას; 1864 წელს სამთავროს
გაუქმებამდე იყო ბზიფის მხარის მმართველი. დოკ. № 71.

(73) В ранней публикации документ ошибочно был
датирован периодом до 21 ноября 1861 года (წმინდა
მღვდელმთავარი **ალექსანდრე** (ოქროპირიძე) და აფხაზეთი,
გვ. 109). Док. №72.

ადრინდელ პუბლიკაციაში დოკუმენტი შეცდომით
დათარიღებული იყო პერიოდით 1861 წლის 21 ნოემბრამდე
(წმინდა მღვდელმთავარი **ალექსანდრე** (ოქროპირიძე) და
აფხაზეთი, გვ. 109). დოკ. №72.

(74)Заключительная часть настоящего документа, посвященная заботе о грузинском языке, впервые опубликовал протоиерей **Микаэл Чабашвили** См. его „წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსის ერთი წერილი მშობლიური ენის სინმინდის დაცვის შესახებ“ (ჟურნ. მარადისი, 1998, № 1. გვ. 6-7). Док. № 79.

დოკუმენტის ეს ბოლო ნაწილი პირველად დეკანოზმა **მიქაელ ჭაბაშვილმა** გამოაქვეყნა. იხ. მისი „წმ. ალექსანდრე ეპისკოპოსის ერთი წერილი მშობლიური ენის სინმინდის დაცვის შესახებ“ (ჟურნ. მარადისი, 1998, № 1. გვ. 6-7). დოკ. № 79.

(75)Должен быть епископ Мегрелии в 1865-1871 годах **Тарасий (Элиава)**. Док. № 80.

უნდა იყოს 1865-1871 წლებში სამეგრელოს ეპისკოპოსი **ტარასი (ელიავა)**. დოკ. № 80.

(76) Архимандрит **Виссарион (Чичуа- 1804-1864)** – в 1863-1864 годах епископ Мегрелии. Док. № 80.

არქიმანდრიტი **ბესარიონი (ჩიჩუა-1804-1864)** – 1863-1864 წლებში სამეგრელოს ეპისკოპოსი. დოკ. № 80.

(77)Грузино-Имеретинская Синодальная Контора своим решением от 28 февраля 1862 года подтвердила предложение экзарха о наречении архимандрита Александра во епископа 1 марта. Док. №81.

1862 წლის 28 თებერვალს საქართველო-იმერეთის სინოდალურმა კანტორამ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა ეგზარქოსის წინადადება 1 მარტს არქიმანდრიტ ალექსანდრეს ეპისკოპოსად სახელდების შესახებ. დოკ. № 81.

(78)Формуляр составлен в 1859 году и дополнен после 4 марта 1862 года. Док. №82.

ფორმულიარი შედგენილია 1859 წელს და შევსებულია 1862 წლის 4 მარტის შემდეგ. დოკ. №82.

(79)Опушен полный текст отдельно публикуемого указа Святейшег Синода от 21 декабря 1861 года (док. №80). Док. № 84.

გამოტოვებულია უწმინდესი სინოდის 1861 წლის 21 დეკემბრის ბრძანებულების სრული ტექსტი, რომელიც ცალკე ქვეყნდება (დოკ.№80). დოკ. №84.

(80)В 1862 году Кутаисским генерал-губернатором являлся генерал-лейтенант **Н. П. Колюбакин** (Кавказский Календарь на

1863 год. Тифлис, 1862, с.361). Несмотря на это, 15 марта 1862 года уведомление было послано **Д.И. Святополк-Мирскому** (док. №86), ставшему Кутаисским генерал-губернатором с 1863 года (Кавказский календарь на 1864 год. Тифлис, 1863, с.312). Док. №84.

1862 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი იყო გენერალ-ლეიტენანტი **ნ. პ. კოლიუბაკინი** (Кавказский Календарь на 1863 год. Тифлис, 1862, с.361). მიუხედავად ამისა, 1862 წლის 15 მარტს შეტყობინება გაიგზავნა **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** სახელზე (დოკ.№86), რომელიც ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი 1863 წლიდან გახდა (Кавказский календарь на 1864 год. Тифлис, 1863, с.312). დოკ.№84.

(81) В канцелярии Грузино-Имеретинской Синодальной Конторы 14 мая 1862 года над документом наложена резолюция: «Принять к сведению, приобщить к делу, которое считать конченным и сдать в свое время в архив». Док. №87.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიაში 1862 წლის 14 მაისს დოკუმენტზე დადებულია შემდეგი რეზოლუცია: „მიღებულ იქნას ცნობად, დაერთოს საქმეს, რომელიც ჩაითვალოს დამთავრებულად და თავის დროზე ჩაბარდეს არქივს“. დოკ.№87.

(82) В канцелярии Грузино-Имеретинской Синодальной Конторы 29 октября 1862 года над документом наложена резолюция: «Рапорт Абхазскаго епископа приобщить к делу, которое считать оконченным и сдать в архив». Док. № 88.

საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის კანცელარიაში 1862 წლის 29 ოქტომბერს დოკუმენტზე დადებულია რეზოლუცია: „აფხაზეთის ეპისკოპოსის მოხსენება დაერთოს საქმეს, რომელიც ჩაითვალოს დამთავრებულად და ჩაბარდეს არქივს“. დოკ.№88.

(83) Датируется с учетом письма экзарха **Евсевия** от 31 декабря 1862 года в Комитет Восстановления Православного Христианства На Кавказе с приложением данного рапорта епископа Александра (ЦГИАГ, ф. 488, оп. 1, д. 20076, л.4). Док. № 89.

თარიღდება კავკასიაში მართმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების კომიტეტში ეგზარქოს **ევსევის** მიერ

1862 წლის 31 დეკემბერს გაგზავნილი წერილის მიხედვით, რომელსაც თან ერთვის ეპისკოპოს ალექსანდრეს ეს მოხსენება (სცსია, ფ. 488, ანან. 1, ს. 20076, ფ. 4). დოკ. №89.

(84) **Нано Хавтаси** – родился в 1824 году; с 1857 года – певчий Гурийского кафедрального собора; из Абхазии вернулся опять в Гурию (**ი. თავბერიძე**. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა, გვ.26). Док. № 89.

ნანო ხავთასი - დაიბადა 1824 წელს; 1857 წლიდან იყო გურიის საკათედრო ტაძრის მგალობელი; აფხაზეთიდან კვლავ გურიაში დაბრუნდა (**ი. თავბერიძე**. XIX საუკუნის ქართველი მოღვაწეები და საეკლესიო გალობა, გვ.26). დოკ. № 89.

(85) Предположительно, **Виссарион (Василий) Микаберидзе** - духовник **Михаила Шарвашидзе**. Док. №89.

სავარაუდოდ, **ბესარიონ (ვასილ) მიქაბერიძე** - მიხეილ შარვაშიძის სულიერი მოძღვარი. დოკ. №89.

(86) Допущена неточность - 15 апреля 1851года последовал указ императора (см. еще коммент. 109), а 30 (не 15) мая того же года - решение Святейшего Синода об учреждении Абхазской Епархии (см. док. № 47). Док. №91.

დაშვებულია უზუსტობა - აფხაზეთის ეპარქია დაფუძნდა იმპერატორის 1851 წლის 15 აპრილის ბრძანებულებითა (იხ. კიდევ კომენტ. 109) და უწმინდესი სინოდის იმავე წლის 30 (და არა 15) მაისის გადაწყვეტილებით (იხ. დოკ. №47). დოკ. № 91.

(87) Автор допускает неточности. Прошение на имя императора **Александра I** о принятии Мегрелии в подданство России в декабре 1803 года представил владетель Мегрелии **Григорий Дадiani** (1788-1804). Его супруга – **Нино Багратиони-Дадiani** после кончины мужа управляла княжеством и сыграла значительную роль в утверждении России в Мегрелии и Абхазии. С 1811 года ее отозвали в Россию, находилась в «почетном плену» в Петербурге, Воронеже, Рязани и опять в Петербурге, где и скончалась в 1847 году. Разобравшись в истинных целях России, она сочувствовала восстанию в Имеретии (1820 год) и заговору 1832 года. Док. №92.

ავტორი უშვებს უზუსტობებს. თხოვნა იმპერატორ **ალექსანდრე I**-ს სახელზე რუსეთის ქვეშევრდომობის

ქვეშ მიღების თაობაზე 1803 წლის დეკემბერში წარადგინა სამეგრელოს მთავარმა **გრიგოლ დადიანმა** (1788-1804). მისი მეუღლე **ნინო ბაგრატიონი-დადიანი** მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მართავდა სამთავროს და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეგრელოსა და აფხაზეთში რუსეთის დამკვიდრების საქმეში. 1811 წლიდან ის რუსეთში გამოიძახეს, იმყოფებოდა „საპატიო ტყვეობაში“ პეტერბურგში, ვორონეჟში, რიაზანში და ისევ პეტერბურგში, სადაც 1847 წელს გარდაიცვალა. რუსეთის ნამდვილ მიზნებში გარკვევის შემდეგ დაუპირისპირდა იმპერიულ პოლიტიკას, თანაუგრძობდა აჯანყებას იმერეთში (1820 წ.), ასევე 1832 წლის შეთქმულებას (**თამარ პაპავა**. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ., 1990, გვ. 173-212).. დოკ. №92.

(88)**Тамара Дадияни** (1778-1849) была дочерью не **Георгия, а Кациа Дадияни**. Она же сестра **Григория Дадияни**, супруга **Георгия Шарвашидзе**, мать **Михаила Шарвашидзе**. После кончины мужа (1820) в период малолетства восседавших на княжеском престоле сыновей **Дмитрия** (1821-1822) и **Михаила** (1823-1864) была фактической правительницей Абхазии. Док. №92.

თამარა დადიანი (1778-1849) იყო არა **გიორგის**, არამედ **კაციას** ასული ანუ **გრიგოლ დადიანის** და, **გიორგი შარვაშიძის** მეუღლე, **მიხეილ შარვაშიძის** დედა; მეუღლის გარდაცვალების (1820 წ.) შემდეგ სამთავრო ტახტზე ასული შვილების **დიმიტრისა** (1821-1822) და **მიხეილის** (1823-1864) მცირეწლოვნობის პერიოდში **თამარა დადიანი** გახლდათ აფხაზეთის ფაქტობრივი მმართველი. დოკ. №92.

(89) Супруга Имеретинского царя **Соломона II** (1789-1810) **Мариам Кациевна Дадияни** (1781-1841) была орестована в 1810 году и переведена в Тбилиси; в 1811 году ее сослали в Воронеж, в 1817 году перевели в Москву, в 1819 году – в Петербург, где и скончалась в 1841 (а не в 1849) году (**თამარ პაპავა**. დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ., 1990, გვ. 288-322). Док. №92.

იმერეთის მეფის **სოლომონ II** - ს (1789-1810) მეუღლე **მარიამი კაციას ასული დადიანი** (1781-1841) რუსულმა ადმინისტრაციამ 1810 წელს დააპატიმრა და თბილისში გადაიყვანა. 1811 წელს **მარიამი** ვორონეჟში გადაასახლეს, 1817 წელს მოსკოვში, ხოლო 1818 წელს პეტერბურგში გადაიყვანეს, სადაც 1841 (და არა 1849)

წელს გარდაიცვალა (**თამარ ჰაჰავა**, დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში. თბ., 1990, გვ. 288-322). დოკ. №92.

(89a) О состоянии виноделия в Абхазии во второй половине XIX века см. **К. Мачавариани**. Абхазские вина. Статья опубликована в газ. Кутаисские Губернские Ведомости, 1888, № 124; перепечатана в сб.: Абхазия и Абхазы в русской периодике (XIX – нач. XX вв.). Книга II. Составители **Агуажба Р.Х., Ачугба Т. А.** Сухуми, 2008, с. 203-204. Док. №92.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზეთში მეღვინეობის მდგომარეობის შესახებ იხ. **К. Мачавариани**. Абхазские вина. სტატია გამოქვეყნებულია გაზ. Кутаисские Губернские Ведомости, 1888, № 124; გადაიბეჭდა კრ. Абхазия и Абхазы в русской периодике (XIX – нач. XX вв.). Книга II. Составители **Агуажба Р.Х., Ачугба Т. А.** Сухуми, 2008, с. 203-204. დოკ. №92.

(90) Датируется по содержанию документа № 95; ошибочно помещен в архивном деле, датированном сентябрем 1857 года Док. №93.

თარიღდება № 95 დოკუმენტის შინაარსის მიხედვით; შეცდომით არის მოთავსებული 1857 წლის სექტემბრით დათარიღებულ საარქივო საქმეში. დოკ. №93.

(91) Имеется в виду Великомученик **Дмитрий Солунский** или Фессалоникийский (умер в 306 году). День памяти 26 октября (8 ноября). Док. № 94.

იგულისხმება დიდმოწამე **დიმიტრი თესალონიკელი**, მრონმდინარე (გარდაიცვალა 306 წელს). ხსენების დღე - 26 ოქტომბერი (8 ნოემბერი). დოკ. № 94.

(92) Далее следует текст на осетинском языке: «Ваше преосвященство, или приезжайте и окрестите моего мальчика или же позвольте, чтобы окрестить его на ваше имя. Если из этих двух одну не выполните, тогда не пустим Вас в Самурзакано и потом куда денетесь, дорога будет перекрыта». Док. № 94.

შემდეგ მოდის ოსურ ენაზე დანერლილი ტექსტი: „თქვენო უსამღვდელოესობავ, ან თქვენ ჩამოდიოთ და მომინათლეთ ბიჭი, ან ნება მოგვცით და თქვენს სახელებზე მოვნათლავთ. ამ ორიდან ერთი თუ არ შეასრულეთ, მაშინ სამურზაყანოში აღარ შემოვიშვებთ თქვენ და მერე საღ წახვალთ, გზას რომ არ მოკვცემთ“. დოკ. № 94.

(93) Эკзарх Грузии **Евсевий** перед Обществом Восстановления Православного Христианства На Кавказе поставил вопрос, чтобы суммы, принадлежавшие Лыхненскому храму (1539 руб. и 55 коп.), Илорской Св. Георгия церкви (2877 руб. и 85 коп.) хранились в банке. Комитет Общества потребовал, чтобы вышеуказанные суммы хранились в Закавказском Приказе Общественного Призрения и об этом письменно сообщил Кутаисскому генерал-Губернатору **Д. И. Святополку-Мирскому**. Генерал-Губернатор переадресовал письмо начальнику войск в Абхазии генералу **П. Шатилову** для заключения. Генерал переслал письмо епископу Александру с просьбой сообщить ему свои соображения по данному вопросу. Настоящий документ является ответом епископа Александра на просьбу генерала **П. Шатилова**. В июле 1867 года на хранение были переданы средства Илори в объеме 2327 руб. и 78 коп. Начальник Сухумского военного отдела **В. Гейман** потребовал возвращения их для нужд самой Илорской церкви (док. № 110; ЦГИАГ, ф. 493, оп. 1, д. 72, лл. 8, 9, 18-20). Здесь же необходимо отметить, что принадлежавшие Илорской церкви 2474 руб. епископ **Гавриил (Кикодзе)** использовал для строительства новых церквей в селах Абхазии - Акафа, Калдахвара, Отхара и Куланурхва (Святой Архиерей **Гавриил** и Абхазия, с. 60-62, 276-277, 282-283 и др.). Док. № 97.

საქართველოს ეგზარქოსმა **ევსევიმ** კავკასიაში მართლ-მადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების წინაშე დასვა საკითხი ლიხნის ეკლესიის კუთვნილი 1539 მან. და 55 კაპ., ასევე ილორის 2877 მან. და 85 კაპიკი ნაღდი ფულის ბანკში შენახვის შესახებ. საზოგადოების კომიტეტმა აღნიშნული თანხების საზოგადოებრივი სამზრუნველოს ამიერკავკასიის პრიკაზში შენახვა მოითხოვა და ამის შესახებ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ **დ. ი. სვიატოპოლკ-მირსკის** წერილობით შეატყობინა. გენერალ-გუბერნატორმა წერილი დასკვნისათვის აფხაზეთში ჯარების სარდალს გენერალ **პ. შატილოვს** გადაუგზავნა, ამ უკანასკნელმა კი — აფხაზეთის ეპისკოპოსს. ქვეყნდება სწორედ ეპისკოპოს ალექსანდრეს პასუხი და წინადადებები ამ საკითხთან დაკავშირებით; 1867 წლის ივლისში შესანახად ჩაბარდა ილორის ეკლესიის კუთვნილი 2327 მან. და 78 კაპიკი. სოხუმის სამხედრო

განყოფილების ახალმა უფროსმა **ვ. გეიმაწმა** ამ თანხის უკან დაბრუნება და ილორის ეკლესიის განახლებისთვის მისი გამოყენება მოითხოვა (დოკ. № 110; სქსია, ფ. 493, აღწ. 1, ს. 72, ფ. 8, 9, 18-20). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეპისკოპოსმა **გაბრიელმა (ქიქოძე)** ილორის ეკლესიის კუთვნილი 2474 რუბლი გამოიყენა ახალი ეკლესიების მშენებლობისთვის აფხაზეთის სოფლებში აკაფა, კალდახვარა, ოთხარა და კულანურხვა (წმინდა მღვდელმთავარი **გაბრიელი** და აფხაზეთი, გვ. 60-62, 276-277, 282-283 და სხვ.). დოკ. № 97.

(94) В собственности Илорской Св. Георгия церкви находились до ста дворов крестьян из сел. Кухи (около Хони), которые ежегодно платили налог в пользу церкви (Святой Архиерей **Гавриил** и Абхазия, с.60, 238-239, 275 и др.). Док. № 97.

ილორის წმინდა გიორგის ეკლესიის კუთვნილებაში იყო ხონთან ახლოს მდებარე სოფელ კუხის ასამდე კომლი, რომელიც ყოველწლიურ გადასახადს იხდიდა ეკლესიის სასარგებლოდ (წმინდა მღვდელმთავარი **გაბრიელი** და აფხაზეთი, გვ. 60, 238-239, 275 და სხვ.). დოკ. № 97.

(95) Освящение Пицундского храма в качестве не кафедрального собора, а приходской церкви совершил епископ **Гавриил (Кикодзе)** 27 сентября 1869 года (Святой Архиерей **Гавриил** и Абхазия, с. 259-263, 421-422). Док. № 98.

ბიჭვინთის, არა როგორც საკათედრო ტაძრის, არამედ სამრევლო ეკლესიის კურთხევა განახორციელა ეპისკოპოსმა **გაბრიელმა (ქიქოძე)** 1869 წლის 27 სექტემბერს (წმინდა მღვდელმთავარი **გაბრიელი** და აფხაზეთი, გვ. 259-263, 421-422). დოკ. № 98.

(96) В тексте ошибочно указана другая дата – 23 мая 1863 года. Док. № 101.

ტექსტში შეცდომით მითითებულია სხვა თარიღი - 1863 წლის 23 მაისი. დოკ. № 101.

(97) Среди названных учеников самым известным стал **Петр Пилия**. С 1868 года он служил диаконом в Ешерах, а затем в Лыхни. В 1879 году не без помощи епископа Александра **Петр Пилия** становится священником Блабурхвской церкви. В Последующие годы он служил священником Гупской церкви. В 1888 гуду лишен сана священника за вторую женитьбу по

абхазским правилам. Несмотря на развод со второй женой (первая скончалась), не был восстановлен в сане священника. В своих письмах на имя епископа Александра за 1888–1895 годы, написанных на грузинском языке, **Петр Пилия** доказывал свою невиновность и просил возвращения прихода. Грузино-Имеретинская Синодальная Контора, от которой зависела разрешенная данной проблемы, не удовлетворяла его просьбу. Доведенный до отчаяния, продолжал писать письма епископу Александру, но безрезультатно (Национальный Центр Рукописей Грузии им. **К. Кекелидзе**, ф. Александра Окропиридзе, д. 1471-1476, 1478, 1480). **Петр Пилия** считается представителем дореволюционной Абхазской интеллигенции (**Г. А. Дзидзария**. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, с. 137). Док. № 101.

დასახელებულ მოსწავლეთა შორის ცნობილი პიროვნება იყო **პეტრე ფილია**. 1868 წლიდან ის დიაკვნად მსახურობდა ჯერ ეშერაში, მერე ლიხნში. 1872 წლის 28 ნოემბერს აფხაზეთის უფროსი ბლალოჩინი დეკანოზი **დავით მაჭავარიანი** ეპისკოპოსს ალექსანდრეს წერდა, რომ ის „კარგი ხასიათის ყმაწვილია, მშვიდობიანი და წყნარი და ღირსია სამღვდელო წოდებისა“ (დოკ. № 123). 1879 წ. 6 ივნისს **პეტრემ** ეპისკოპოსს ალექსანდრეს სთხოვა დახმარება მღვდლად კურთხევის საქმეში. მასწავლებელმა ყურად იღო მოსწავლის თხოვნა — 1879 წ. 6 აგვისტოს **პეტრე ფილია** ბლაბურხვის ეკლესიის მღვდლად აკურთხეს. „ამაზე დიდ მადლობას მოგახსენებთ შენი ჭირიმე, შენი წყალობა არის...“ — წერდა მამა **პეტრე** ეპისკოპოსს ალექსანდრეს 1879 წ. 30 აგვისტოს. შემდგომში **პეტრე ფილია** გუფის ეკლესიის მღვდელია. 1888 წ. მღვდლის ხარისხი ჩამოერთვა იმის გამო, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ხელახლა დაქორწინდა აფხაზური წესით. **პეტრე ფილია** თავის წერილებში ეპისკოპოსს ალექსანდრესადმი (1888-1895 წწ.) უდანაშაულობის გამო სამრევლოს დაბრუნებას ითხოვდა. 1895 წლის 14 დეკემბრით დათარიღებულ ერთ-ერთ ასეთ წერილში ვკითხულობთ: „დიდი მოხარული ვარ, რომ ხმა არის აქ, ვითომც თქვენ იქნებით ეპისკოპოსად ქუთაისშიო. თუ ღმერთმან ქნა ნამდვილი, მე იქ გეახლებით მოსამსახურედ. მაინც კანტორა აქ

არ მაყენებს. აი, ბატონო, ეს გასაკვირალია, რომ ცოლი შეერთო **ფილიამო** და მღვდლობა ამხადეს. ახლა მე არ მყავს ის ქალი და არცა სხვა ქალი... გუფიდან დამითხოვეს, ვარ გუმისთის უჩასტკაში სოფელს მერხეულში მღვდელს **სიმონ ჯაშთან...** კანტორა კითხულობს, **ფილია** იმ ქალთან ცხოვრობს თუ არა და სად ცხოვრობსო... მაცხოვარმან ისე აცხოვროს თავისი სახლში ჩემი დამჩაგვრელი.

ბატონო ყ~დ მონყალეო ჩემო, უკანასკნელ მღვდომარეობაში ვარ, ისე, რომ დრანდაში აღგილი რომ მქონდა, იქ რუსები დაასახლეს, ბახჩა და ვენახი, რომელიც მქონდა ნაყიდი მღვდელ **ნიკოლოზ საჯაისაგან** გუფის ეკლესიის მახლობლად, ისიც... ეკლესიას მიაზომესო. დავრჩი უნუგემოდ... ამისთანა უბედურება კაცს არ მოსწრებია, არც მღვდლობა მაქვს, არც ცოლი, არც ქალი, არც შვილი და არც აღგილი, მამული — ყოველისფრისგან ხელაღებული ვარ. რას მიპირობს კანტორა არ ვიცვი,... თორემ თავს მოვიკლავ, მან კანტორაში ის არ ეკონოთ, ზოგიერთ მღვდელს (რომ) მოუთმენია..." (კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. აღექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 1471-1476, 1478, 1480). სამწუხაროდ, უცნობია, როგორ წარიმართა შემდგომში სინოდალური კანტორის მიერ სასონარკვეთილებამდე მიყვანილი **პეტრე ფილიას** ბედი; სავარაუდოდ, მღვდლის ხარისხში არ აღუდგენიათ (იხ. აგრეთვე მის შესახებ: **Г. А. Дзидзария**. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, с. 137). დოკ. № 101.

(98) **Гурийский епископ Гавриил Туския** (1800-1881). Служил епископом в 1859-1881 годах. Док. №101.

გურიის ეპისკოპოსი **გაბრიელ ტუსკია** (1800-1881). ეპისკოპოსად მსახურობდა 1859-1881 წლებში. დოკ. № 101.

(99) **Андроник Гегечкори** – в будущем священник Атарской Св. Георгия церкви. Док. № 101.

ანდრონიკ გეგეჭკორი — ათარის წმ. გიორგის ეკლესიის მომავალი მღვდელი. დოკ. № 101.

(100). **Амвросий Исповедник** (1861-1927) – в 1919-1921 годах – Цхум-Абхазский митрополит; в 1921-1927 годах – Католикос-Патриарх всея Грузии. Его отец **Зосим Хелая** в 1860-1895 годах служил священником Илорской Св. Георгия церкви. Док. №101.

ცხუმ-აფხაზეთის მომავალი მიტროპოლიტი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი **ამბროსი (ხელაია)** — წმ. ამბროსი აღმსარებელი (1861-1927 წწ.). მისი მამა — **ზოსიმე ხელაია** ილორის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელია 1860-1895 წლებში. დოკ. №101.

(101). **Константин Саджая** – В будущем священник Киндгской Иоанно-Крестительской церкви. Док. №101.

კონსტანტინე საჯაია — მომავალში კინდლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელი. დოკ. №101.

(102) Личными учениками епископа Александра являлись семь мальчиков под номерами 12-18. Док. №101.

ეპისკოპოს ალექსანდრეს პირადი მოსწავლეებია შვიდი ყმაწვილი 12-18 ნომრებით. დოკ. №101.

(102a) **Герасим Каландаришвили** (1836-1874) – известный общественный деятель, публицист и педагог, смотритель Кутаисского Духовного Училища; в 1866 году издал, а в 1868 году переиздал учебник «Начальный практический курс русского языка для грузин, составленный **Герасимом Каландаришвили**». Док. № 102.

გერასიმე კალანდარიშვილი (1836-1874) - ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და პედაგოგი, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი; 1866 წელს პირველად, ხოლო 1868 წელს მეორედ გამოსცა სახელმძღვანელო „რუსული ენის დანყებითი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის, შედგენილი **გერასიმე კალანდარიშვილის** მიერ“. დოკ. №102.

(103) **К. Д. Ушинский** (1823-1870) – основоположник научной педагогики в России; автор учебника «Родное Слово» и книги «Руководство к преподаванию по «Родному Слову» для учителей и родителей». Они широко использовались в школах России. Док. № 102.

კ. დ. უშინსკი (1823-1870) - მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი რუსეთში; სახელმძღვანელოსა («Родное Слово») და წიგნის («Руководство к преподаванию по «Родному Слову» для учителей и родителей») ავტორი, რომლებიც ფართოდ გამოიყენებოდა რუსეთის სკოლებში. დოკ. № 102.

(104) **И. И. Паульсон** (1825-1898) – русский педагог, автор учебников «Книга для чтения», «Способ обучения грамоте по первой учебной книжке» и других. Док. №102.

ი. ი. პაულსონი (1825-1898) - რუსი პედაგოგი, სხვადასხვა სახელმძღვანელოების («Книга для чтения» და «Способ обучения грамоте по первой учебной книжке» და სხვათა) ავტორი. დოკ. № 102

(105) Генерал **В. Гейман** (1823-1878); начальник Сухумского военного отдела в 1867-1872 годах. Док. №108.

გენერალი **ვ. გეიმანი** (1823-1878); სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი 1867-1872 წლებში. დოკ. №108.

(106) Генерал **М.Н. Толстой** (1829-1887); начальник Сухумского военного отдела в 1866-1867 годах. Док. №109.

გენერალი **მ. ნ. ტოლსტოი** (1829-1887); სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსი 1866-1867 წლებში. Док. №109.

(107) В отчете Обществ Восстановления Православного Христианства На Кавказе за 1867 год отмечается, что из 43058 абхазов христианами являются 15383 человек, мусульман – 27675. Начальник Пицундского округа **Д. С. Чавчавадзе** в отчете не упоминается, но сказано, что в отчетном году число новокрещенных абхазов составляет 2867 человек (Отчет Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе, за 1867 год. Тб., 1868, с. XXVII, 70). Док. № 109.

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1867 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 43058 აფხაზიდან 15383 ქრისტიანია, დანარჩენი 27675 კი მაჰმადიანია. ბიჭვინთის ოკრუგის უფროსის **დ. ს. ჭაფჭავაძის** მოხსენიების გარეშე ნათქვამია, რომ საანგარიშო წელს 2867 აფხაზი მონათლა (Отчет Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе, за 1867 год. Тб., 1868, с. XXVII, 70). დოკ. № 109.

(108) Из отчета Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе за 1867 год видно, что собственно в Абхазии (без Самурзакано) только Шкацкарском приходе числились пять учеников – три абхаза и два грузина. В Самурзакано действовали школы в Окуми, где обучались 76 учеников; в Первом Саберио – 6 учеников, во втором Саберио – 30; Дихазургах - - 52; Набакеви –

23; Баргеби -20; Чубурхинджи – 17; в Гудае – 16; Бедях – 13; в Тагилами – 11. Кроме того, в Самурзаканских школах обучались до 43 девочек. Из общего числа учеников (307) 300 самурзаканцев православного вероисповедания, 7 абхазов – мусульмане (Отчет Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе, за 1867 год.Тб., 1868, с.61, 63-64). Док. № 109.

კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების 1867 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საკუთრივ აფხაზეთში (სამურზაყანოს გარეშე) მხოლოდ შქაწყარის სამრევლოში ირიცხებოდა 5 მოსწავლე - 3 აფხაზი და 2 ქართველი. სამურზაყანოში მოქმედებდნენ სკოლები ოქუშში, სადაც 76 ბავშვი სწავლობდა; პირველ საბერიოში 6 მოსწავლე ირიცხებოდა; მეორე საბერიოში - 30; დიხაზურგაში - 52; ნაბაკევი - 23; ბარლებში - 20; ჭებურხინჯში - 17; გუდავაში - 16; ბელიაში - 13; თავილონში - 11. გარდა ამისა, სამურზაყანოს სკოლებში 43 გოგონა სწავლობდა. მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან (307) 300 იყო მართმადიდებლური აღმსარებლობის 300 სამურზაყანოელი და 7 მაჰმადიანი აფხაზი (Отчет Общества Восстановления Православного Христианства На Кавказе, за 1867 год.Тб., 1868, с.61, 63-64). დოკ. № 109.

(109) Еще одно подтверждение, что Абхазская Архиерейская Кафедра и Абхазское Духовное Училище были учреждены одним указом императора за 15 апреля 1851 года (см. коммент.86). Док. № 109.

იმ ფაქტის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ აფხაზეთის სამღვდელმთავრო კათედრა და აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელი დაფუძნდა იმპერატორის ერთი ბრძანებულებით 1851 წლის 15 აპრილს (იხ. კომენტ. 86). დოკ.№ 109.

(110) Такова была реакция генерала **О. И. Корганова** на письма архимандрита Александра за 2 и 25 июля 1860 г. (док.№№ 68, 71). Док. № 109.

ასეთი იყო გენერალ **ო. ი.კორღანოვის** რეაქცია არქიმანდრიტ ალექსანდრეს 1860 წლის 2 და 25 ივლისის წერილებზე (დოკ.№№ 68, 71). დოკ. № 109.

(111)Александр (Окропиридзе) не раз ставил перед начальством вопрос о необходимости исправления такого

положения, подчеркивая значение «великолепной службы» и «великолепной жизни» для успеха миссионерской деятельности (док. №№ 65, 98, 109). Несмотря на это, власти ничего не сделали для исправления положения. Соответственно, претензии заслуживало само начальство, а не епископ Александр. Док. №110.

ალექსანდრემ (ოქროპირიძე) უფროსობის წინაშე არაერთხელ დასვა საკითხი ასეთი მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. ის ხაზს უსვამდა მისიონერული საქმიანობის წარმატებისთვის ბრწყინვალე ღვთისმსახურებისა და ისეთივე საცხოვრებელი პირობების მნიშვნელობას (დოკ. №№ 65, 98, 109). მიუხედავად ამისა, ვითარება ამ კუთხით არ გაუმჯობესებულა. შესაბამისად, პრეტენზიები ეკუთვნის ხელისუფლებას და არა ეპისკოპოს ალექსანდრეს. დოკ. №110.

(112)Предположительно, имеется в виду **Александр Маргания**, который учился в Кутаиси и являлся активным членом местного народнического кружка, учрежденного в 1875 году (Г.А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, с. 85). Док. № 124.

სავარაუდოდ, საუბარი არის იმ ალექსანდრე მარღანიანზე, რომელიც ქუთაისში სწავლობდა და 1875 წელს დაფუძნებული ადგილობრივი ხალხოსნური წრის აქტიურ წევრად აცნობილი (Г.А. Дзидзария. Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, с. 85). დოკ. № 124.

(113)Священник **Давид Хелая** (дед **Святого Исповедника Амвросия**) служил в Самурзакано со второй половины 30-х годов XIX века. Док. №124.

მღვდელი დავით ხელაია (წმინდა აღმსარებელი ამბროსის ბაბუა) სამურზაყანოში XIX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსახურობდა. დოკ. №124.

(114)**Тимофей Сахокия** (отец **Федора Сахокия**) – с начала 60-х годов XIX века служил в Абхазии, с 1868 года и до конца жизни (1887г.) был священником Сухумской кладбышенской церкви, восстановленной Александром; настоящее письмо свидетельствует о близких личных отношениях между епископом и священником. Протоиерей **Давид Мачавариани** в письме к Александру от 5 июня 1877 года подтверждал правдивость всего

того, о чем пишет здесь **Тимофей Сахокия**; выражал уверенность, что он сдержит слово. Так и произошло. Из других писем **Тимофея Сахокия** к епископу Александру видно, что он добросовестно выполнил свои обязательства перед владыкой. Совместно с **Давидом Мачавариани**, он помог ему в получении от государства вознаграждения за материальный ущерб, понесенный в войне 1877 года, а также в разрешении разных вопросов, связанных с продажей и переоформлением дома епископа Александра. Его Сухумский дом в 1885 году купил **Марк Миминошвили** (Национальный Центр Рукописей Грузии им. **К. Кекелидзе**. Фонд Александра Окропиридзе, д. 445, 919, 923, 1338, 1384, 13 86, 1387). Док. № 125.

ტიმოთე სახოკია (თედო სახოკიას მამა) – XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან მსახურობდა აფხაზეთში, 1868 წლიდან გარდაცვალებამდე (1887 წელი) იყო ეპისკოპოს ალექსანდრეს მიერ აღდგენილი სოხუმის სასაფლაოს ეკლესიის მღვდელი. წერილი მიუთითებს ეპისკოპოსსა და მღვდელს შორის არსებულ ახლო ურთიერთობაზე. დეკანოზი **დავით მაჭავარიანი** თავის წერილში ალექსანდრესადმი ადასტურებდა ყველაფერ იმის სისწორეს, რის შესახებაც წერს **ტიმოთე სახოკია** და იმედს გამოთქვამდა, რომ ის სიტყვას შეასრულებდა. ასეც მოხდა – **ტიმოთე სახოკიამ** პირნათლად შეასრულა თავისი ვალდებულებები მეუფის წინაშე. **დავით მაჭავარიანთან** ერთად ის დაეხმარა ეპისკოპოს ალექსანდრეს 1877 წლის ომის დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებაში სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე სახლ-კარის გაყიდვასთან და გადაფორმებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში. ეპისკოპოს ალექსანდრეს სახლ-კარი სოხუმში შეიძინა **მარკოზ მიმინოშვილმა** (კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 445, 919, 923, 1338, 1384, 1386, 1387). დოკ. №125.

(115) Опушена часть письма, касающаяся **Тимофею Сахокия** (док. №125). Док. №126.

გამოტოვებულია წერილის ის ნაწილი, რომელიც **ტიმოთე სახოკიას** ეხება (დოკ. № 125). დოკ. № 126.

(116) В 1880 году Пасха праздновалась 2 мая. Док. № 127.

1880 წელს აღდგომის დღესასწაული 2 მაისს აღინიშნებოდა. დოკ. № 127.

(117)29 апреля 1880 года **Тимофей Сахокия** епископу Александру писал, что за убытки ваших домов в результате русско-турецкой войны 1877-1878 годов - 635 руб. и 40 коп. получил и за вычетом мелких расходов вышлет почтой (Национальный Центр Рукописей Грузии им. **К. Кекелидзе**, ф. Александра Окропиридзе, д. 1387). Док. 127.

1880 წლის 29 აპრილს მღვდელი **ტიმოთე სახოკია** ეპისკოპოს ალექსანდრეს აცნობებდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების შედეგად თქვენი სახლების ზარალის ფული — 635 მანეთი და ორი აბაზი მივიღე და მცირე ხარჯების გამოკლებით ფოსტით გავაგზავნიო (**ვ. ვეკელიძის** სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდი, ს. 1387). დოკ. 127.

(118)**Давид Мачавариан** имеет в виду предстоящую административную реформу, когда в 1883 году Сухумский военный отдел был преобразован в Сухумский округ в составе Кутаисской губернии. Док.№ 128.

დავით მაჭავარიანს მხედველობაში აქვს მომავალი ადმინისტრაციული რეფორმა, როდესაც 1883 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილება გარდაიქმნა სოხუმის ოკრუგად ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში. დოკ.№ 128.

(119)Сухумский Кафедральный Собор открыт в 1884 году. Док.№ 128.

სოხუმის საკათედრო ტაძარი 1884 წელს გაიხსნა.დოკ.№ 128.

(120) **Иоанн Твалтвადзе** - с начала 60-х годов XIX века служил священником Дурипшской церкви, позже был переведен в Ешкети. Находился рядом с **Михаилом Шарвашидзе** летом 1864 года – в последние дни его пребывания в Абхазии. Док. № 128.

იოანე თვალთვაძე - XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან მსახურობდა მღვდლად დურიფში, მოგვიანებით გადაიყვანეს ეშკეტში. 1864 წლის ზაფხულში - **მიხეილ შარვაშიძის** აფხაზეთში ყოფნის ბოლო დღეებში მის გვერდით იმყოფებოდა. დოკ. № 128.

(121)В каталоге фонда Александра Окропиридзе документ ошибочно датирован 1889 годом. Док. №130.

ალექსანდრე ოქროპირიძის ფონდის კატალოგში

დოკუმენტი შეცდომით 1889 წლით არის დათარიღებული. დოკ. №130.

122. Экзарх Грузии в 1882-1887 годах **Павел (Лебедев)** прибыл в Абхазию 1 сентября 1885 года. Целью его визита было освящение возобновленного Пицундского храма, присоединенного к Новоафонскому монастырскому комплексу. Освящение проведено 3 сентября в присутствии главноуправляющего на Кавказе (1882-1890) **А. М. Дондукова-Корсакова**. Док. № 130.

1882-1887 წლებში საქართველოს ეგზარქოსი **პავლე** (ლებედევი) აფხაზეთში 1885 წ. 1 სექტემბერს ჩამოვიდა. მისი ვიზიტის მიზანი ხელახლა აღდგენილი და ახალი ათონის სამონასტრო კომპლექსთან მიერთებული ბიჭვინთის ტაძრის კურთხევა გახლდათ; კურთხევა 3 სექტემბერს ჩატარდა კავკასიის მთავარმართებელ **ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის** (1882-1890) თანდასწრებით. დოკ. №130.

(123) Имеется в виду указ императора от 12 июня 1885 года о создании Сухумской Епархии, в состав которой вошли приходы Абхазии и Черноморской области. Док. №130.

იგულისხმება იმპერატორის 1885 წლის 12 ივნისის ბრძანებულება სოხუმის ცალკე ეპარქიის შექმნის შესახებ, რომლის შემადგენლობაში აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის ოლქის სამრევლოები შევიდნენ. დოკ. №130.

(124) Дата получения письма адресатом. Док. №131.

ადრესატის მიერ წერილის მიღების თარიღი. დოკ. №131.

(125) **Константин Мачавариани** (1857-1826) – сын протоиерея **Давида Мачавариани**; известный краевед и педагог; вместе со своим учеником **Дмитрием Гулия** в начале 90- годов XIX века осуществил реформирование абхазской письменности; его публикации по истории Абхазии заложили основу сепаратистской историографии, поныне продолжающей фальсификацию истории Грузии. Док. №131.

კონსტანტინე მაჭავარიანი (1857-1926) - დეკანოზ დავით მაჭავარიანის შვილი; ცნობილი მხარეთმცოდნე და პედაგოგი; XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში თავის მოსწავლესთან **დიმიტრი გულიასთან** ერთად განახორციელა აფხაზური

დამწერლობის რეფორმა; მისმა პუბლიკაციებმა აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე საფუძველი ჩაუყარეს სეპარატისტულ ისტორიოგრაფიას, რომელიც დღემდე აგრძელებს საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას. დოკ. №131.

(126) Когда **Давид Мачавариани** писал настоящее письмо, на Сухумскую кафедру уже был назначен (29 ноября 1886 года) первый русский епископ **Геннадий (Павлинский)**. «Года через два,-говорил он,- у нас будет не менее ста школ, а лет через десять все абхазцы и самурзаканцы будут русскими людьми». Такова была главная цель епископа **Геннадия** и последующих Сухумских русских архиереев. დოკ. №131.

როდესაც **დავით მაჭავარიანი** ამ წერილს წერდა, სოხუმის კათედრაზე უკვე იყო დანიშნული (1886 წლის 29 ნოემბერი) პირველი რუსი ეპისკოპოსი **გენადი (პავლინსკი)**. „ორ წელიწადში, - ამბობდა იგი, - ჩვენ არანაკლებ ასი სკოლა გვექნება, ათი წლის შემდეგ კი ყველა აფხაზი და სამურზაყანოელი რუსი ადამიანი გახდება“. ასეთი იყო ეპისკოპოს **გენადისა** და სოხუმის შემდგომი მღვდელმთავრების მთავარი მიზანი. დოკ. №131.

(127)**Варлаам** - бывший монах Афонского русского монастыря, один из авторов обращения (1880 год) к правительству России с ходатайством об основании Драндского монастыря; с учетом указанного ходатайства последовал высочайший указ от 9 мая 1881 года об учреждении монастыря в Драндах; прибывшие из Афона **Варлаам, Модест** и еще 10 монахов в 1883 году приступили к восстановительным работам. Освящение Драндского Успения Богородицы Монастыря было исполнено епископом **Гавриилом (Кикодзе)** 27 сентября 1886 года. **Игумен Варлаам** являлся его первым настоятелем. На этой должности он оставался до 1887 года; затем уехал в Армавир и через некоторое время возглавил Кизлярский монастырь, основанный грузинскими миссионерами в 1737 году. Док.№ 132.

ვარლაამი - ათონის რუსული მონასტრის ყოფილი ბერი; დრანდის მონასტრის დაფუძნების თაობაზე რუსეთის მთავრობის წინაშე შუამდგომლობის (1880 წელი) ერთ-ერთი ავტორი; აღნიშნული შუამდგომლობის გათვალისწინებით,

1881 წლის 9 მაისს გამოიცა იმპერატორის ბრძანებულება დრანდის მონასტრის დაფუძნების შესახებ. ათონიდან ჩამოსული **ვარლაამი, მოლესტი** და კიდევ 10 ბერი 1883 წლიდან შეუდგნენ აღდგენით სამუშაოებს. 1886 წლის 27 სექტემბერს ეპისკოპოსმა **გაბრიელმა (ქიქოძე)** დრანდის ღრმთისმშობლის მიძინების მონასტერი აკურთხა; მის პირველი წინამძღვრი ილუმენი **ვარლაამი** გახდა. ამ თანამდებობაზე ის 1887 წლამდე რჩებოდა; შემდგომში ქალაქ არმავირში გადავიდა; მოგვიანებით დაინიშნა ქართველი მისიონერების მიერ 1737 წელს დაფუძნებული ყიზლიარის მონასტრის წინამძღვრად. დოკ. №132.

(128)**Харлампий** – с 31 января 1888 года исполнял должность настоятеля Драндского монастыря; на этой должности утвержден Святейшим Синодом 21 мая 1890 года. С 4 сентября 1891 года Драндским монастырем управляли Сухумские архиереи. Док. № 132.

ხარლამპი - 1888 წლის 31 იანვრიდან ასრულებდა დრანდის მონასტრის წინამძღვრის მოვალეობას. ამ თანამდებობაზე უწმინდესმა სინოდმა 1890 წლის 21 მაისს დაამტკიცა. 1891 წლის 4 სექტემბრიდან დრანდის მონასტერს სოხუმის მღვდელმთავრები მართავდნენ. დოკ. № 132.

(129) **Зураб Манучарович Чхотуа** (1808-1892) – князь, генерл-майор, участник Русско-Турецких и Крымских воин; за совершенные подвиги получил земли в Самурзакано; в Саберио построил церковь и школу, проложил дороги; отец известного грузинского писателя, публициста и ученого **Давида Чхотуа** (1849-1926). Док. № 134.

ზურაბ მანუჩარის ძე ჩხოტუა (1808-1892) - გენერალ-მაიორი, თავადი; რუსეთ-თურქეთისა და ყირიმის ომების მონაწილე; ჩადენილი გმირობისთვის უბოძეს მიწები სამურზაყანოში; საბერიოში ააშენა ეკლესია, გახსნა სკოლა, გაიყვანა გზები; არის ცნობილი ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და მეცნიერის **დავით ჩხოტუას** (1849-1826) მამა. დოკ. № 134.

(130)**Тамар Михайловна Шарвашидзе** (1841-1925); письмо еще раз подчеркивает близость епископа Александра к семье владельца, теплое отношение членов его семьи к Александру; кроме того, оно подтверждает слова архиерея Абхазии о

том, что «семейство представителя Абхазии, его светлости, владетеля, чисто и природно владеет грузинским гражданским и церковным языком, а отнюдь не русским; и вообще семейства всех Шервашидзеых говорят, читают и пишут на грузинском языке» (док. № 65). Док. № 135.

თამარ მიხეილის ასული შარვაშიძის (1741-1925 წწ.) წერილი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აფხაზეთის მთავრის ოჯახთან ეპისკოპოს ალექსანდრეს სიახლოვეს, ასევე მიუთითებს **მიხეილ შარვაშიძის** ოჯახის წევრების გულთბილ დამოკიდებულებაზე ეპისკოპოს ალექსანდრეს მიმართ. გარდა ამისა, წერილი ადასტურებს ეპისკოპოს ალექსანდრეს სიტყვებს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის მთავრის ოჯახის წევრები სუფთად და მშობლიურივით ფლობენ ქართულ სამოქალაქო და საეკლესიო ენას და არა რუსულს; და საერთოდ ყველა შარვაშიძის ოჯახის წევრები საუბრობენ, კითხულობენ და წერენ ქართულ ენაზე“ (დოკ. № 65). დოკ. № 135.

(131) **Пагава Ноэ и Андриан** вероятно являются родственниками второго мужа **Тамар Шарвашидзе - Джвече Пагава** (ее первым мужем был **Николай Елизбарович Дадияни** – брат жены генерала **Григория Дадияни – Агатия**). Док. № 135.

ნოე და ანდრიანე ფალავები უნდა იყვნენ **თამარ შარვაშიძის** მეორე ქმრის **ჯვებე ფალავას** ნათესავები (პირველი ქმარი იყო **ნიკოლოზ ელიზბარის ძე დადიანი** - გენერალ **გრიგოლ შარვაშიძის** მეუღლის **ალათის ძმა**). დოკ. № 135.

(132) Многоточие здесь и далее поставлены взамен нераборчивых слов. Док. № 135.

მრავალწერტილი აქ და ქვემოთ დასმულია გაურკვეველი სიტყვების ნაცვლად. დოკ. № 135.

(133) Имеется в виду Сухумский епископ со 2 марта 1882 года до августа 1893 года **Агафодор (Преображенский)**. Док. №136.

ივლისხმება სოხუმის ეპისკოპოსი 1882 წლის 2 მარტიდან 1893 წლის აგვისტომდე **აგათოდორი (პრეობრაჟენსკი)**. დოკ. № 136.

(134) **Виссарион Дадияни** (1832-1900); в 1874-1885 годах – епископ Мегрелии (викарий Имеретинской Епархии); с 1 марта 1886 года – Алавердский епископ (викарий Грузинской

Епархии); с 1896 года - после кончины епископа **Гавриила (Кикодзе)** управлял и Имеретинской Епархией. Док. №136

ბესარიონ დადიანი (1832-1900)— 1874-1885 წლებში — სამეგრელოს ეპისკოპოსი (იმერეთის ეპარქიის ვიკარი); 1886 წლის 1 მარტიდან ალავერდელი ეპისკოპოსი (საქართველოს ეპარქიის ვიკარი); ეპოსკოპოს გაბრიელის (ქიქოძე) გარდაცვალების შემდეგ - 1896 წლიდან, ალავერდთან ერთად, იმერეთის ეპარქიასაც მართავდა. დოკ. № 136.

(135)**К. Мачавариани** тенденциозно освещает историю Сухумской Епархии (церковную историю Абхазии) в книге «Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу. С историко-этнографическим очерком Абхазии». Сухум, 1913, с. 328-347. У нас нет сведений передал ли ему епископ Александр какие-нибудь материалы. Док. № 137.

სოხუმის ეპარქიის ისტორია (აფხაზეთის საეკლესიო ისტორია) **კ. მაჭავარიანს** რამდენადმე ტენდენციურად აქვს გაშუქებული წიგნში: «Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому округу. С историко-этнографическим очерком Абхазии». Сухум, 1913, с. 328-347. ამავე დროს, ჩვენთვის უცნობია, მიაწოდა თუ არა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ რაიმე მასალა **კ. მაჭავარიანს**. დოკ. № 137.

(136)**Марий Броссе** (1802-1880) – французский грузиновед; на французском языке издал многочисленные исследования и источники по истории Грузии, в том числе «Житие Грузии» в семи томах. Часть его трудов переведена на грузинский язык. Док. № 137.

ბროსე მარი (1802-1880 წწ.) ფრანგი ქართველოლოგი. ფრანგულ ენაზე გამოსცა არაერთი გამოკვლევა და ასევე წყაროები საქართველოს ისტორიის საკითხებზე, მათ შორის „ქართლის ცხოვრება“ შვიდ ტომად. მისი შრომების ნაწილი თარგმნილია ქართულადაც. დოკ. № 137.

(137) **Царевич Вахушти** (1696-1737) - автор капитального труда «Описание Царства Грузинского». Док. № 137.

